

# პრილი

№3 (166)

საზოგადოებრივი-ლიბერალური ჟურნალი

22 თებერვალი


1134 +

2001

ფასი 50 თეთრი

## #3

## 2001



# პრილი

საზოგადოებრივ-ლიბერალური  
ასოციაცია "პრილი" გაერთიანება

პრილი - დასასვენებელი სიწმინდე(ნი)  
სულხან-საბა

პრილი - მზის შუკი, რამეზე დამდგარი  
ძარღული მის  
ბანაბარბაბითი ლაუსაძინი

## მთავარი რედაქტორი შადივან შამანაძე

### სარედაქციო საბჭო

მალხაზ ხარბელია  
(მთ.რედაქტორის მოადგილე)

ლევან აბაშიძე

ია ანთაძე

ირმა არჩუაშვილი

ანდრო ბუაჩიძე

ნოდარ ებრაღიძე

თამაზ ვასაძე

ნინო ზურიაშვილი

დათო თედორაძე

ზაზა თვარაძე

ზურაბ კვიციანი

ვახტანგ კომახიძე

ვასილ მაღლაფერიძე

დავით ნინიკაშვილი

(პასუხისმგებელი მდივანი)

ზვიად რატიანი

ირაკლი სამსონაძე

გულსუნდა სიხარულიძე

სოზარ სუბელიანი

ზაზა ფაჩუაშვილი

ზაზა ჭილაძე

ბესო ხვედელიძე

### დირექტორი

მიხეილ ჩიტაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
თამაზ ჩხაიძე

ტელ: 93-40-35, 93-52-96;

ფაქსი: 98-67-90;

e-mail: kharbedia@yahoo.com

მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №3

ფურნალი იმეფება გაზეთ

"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე



№3 ხუთშაბათი, 22 თებერვალი, 2001

გამომდის ორ კვირაში ერთხელ

### ლიბერალურა

#### ლირიკის აპოთეოზი

საუბარი ანდრო ბუაჩიძესთან.....1

ანდრო ბუაჩიძე

ლექსები.....5

მამუკა დოლიძე

გზა.....7

მიხეილ ძვლივიძე

ვაპირებ ცხოვრებას.....9

თეონა გაძიშვილი

ლექსები.....13

ფორდ ველოქს ფორდი

კონრადი და ზღვა.....15

მანუელ ვისინაძი

პომეროსის ნენიანი.....18

მიხეილ ჯოჭიაძე

მოთხრობები.....19

ხულიო კორტასარი

ედგარ პოს ცხოვრება.....21

### პერსონა

ლელა სამინაშვილი

საიდან მოდის ყველა ინტერსენტიზე

ერთად დაკვირის იდეა.....24

სალმან რუშდი

ციცხლოვანი ფრინველის ბუდე.....26

### კულტურისტიკა

სოფო ზივივილი

ცივილიზაციათა შეჯახება თუ

დიპლოგი ცივილიზაციათა შორის.....32

მირაბ ხიბინანი

ეროვნული და ზეეროვნული.....35

ნოდარ ებრაღიძე

თბილისი მტერიანი და ქარიანი ქალაქი... ..37

ზაზა ფაჩუაშვილი

ვიყავი შაშვი მგალობელი.....38

1134  
2001



# ლირიკის აკორეოზი



## საშუაარი ანდრო ბუაჩიძესთან

ბულის კვალდაკვალ "სვლას" და ეგზალტირებულ ლირიკულ ცივ დინებათა კვალდაკვალ მიყოლას, ვინაიდან სწორედ ლირიკული იმპერტონები ქმნის მისი სტილის უცნაურობას.

პოეზიაშიც ასეა. მხოლოდ აქ უფრო რთული ვითარებაა. ამ სირთულეს "ლექსად სტრუქტურირებული სივრცე" კი არ ქმნის, არამედ თვითონ პოეზიის ბუნება. ეს ბუნება ლაკონიზმს, შეკუმშულ ფორმას მოითხოვს, ყოველი ფრაზა აუცილებლობით უნდა იყოს ნაკარნახევი და მნიშვნელობას "ფლობდეს". პოეზიის არსი დღესაც უცვლელია, როცა პროზაული რეალობის შეჭრა ხდება პოეზიაში. ეს ტენდენცია სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პოეზია პროზად უნდა იქცეს, - მათ შორის უშველელეი წყალგამყოფია. ლექსი, რომლიდანაც არცერთი ფრაზა არ დაგამახსოვრდება, ლექსი არ არის.

**- ზემოთადაც თუ სწავლობდი ლექსებს?**  
- არასოდეს. მე მიმამჩნია, რომ პოეზია თვითონ, ძალდაუტანებლად უნდა შემოვიდეს ადამიანში. ეს პოეზიის თვისებაა. დაზემოება უფრო მექანიკური პროცესია, როცა ზენოლა ხდება საკუთარ თავზე და ტექსტზეც დაზემობიერებული ლექსი, პირადად ჩემთვის, მნიშვნელობას კარგავს. აქ ერთი აზრობრივი ნახტომიც მინდა გაგავიხსენო. ზოგს შეჩინა (ამ ბოლო დროს არაერთი ასეთი ადამიანი გავიცინე), რომ პოეზია, ლექსი, "ინტელექტუალური კრისტალი" მსგავსი რამაა. ასეთ ტექსტს იოვად მხოლოდ ტექსტუალური შიფრავენ. ჩვეულებრივი მკითხველიც შიფრავს და მას სწორედ გაშიფვრის პროცესი ანიჭებს, მათი აზრი, საიმეოვნებას. ეს შეცდომაა. პოეზია, უპირველეს ყოვლისა, ემოციურ ზემოქმედებას უნდა ახდენდეს მკითხველზე.

**- ზომ არ ფიქრობ, რომ პოეზიამ უკვე მოჭამა თავისი დრო?**

- არა, არ ვფიქრობ. მართალია, არაპოეტურ დროში ვცხოვრობთ, მაგრამ სწორედ ეს არაპოეტურობა, სამყაროს ძველ ნუსრივში შეჭრილი დისონანსი ნარწმუნობას დღეს პოეზიის იმპულსებს. დღევანდელი პოეტისთვის, ჩემი აზრით, მთავარი მსოფლმეგრძენების თანადროლობაა. - მოვლენათა დრამატული აღქმა, ეპიპროზიზმი, რომანტიკული მარკანდელისგან განთავისუფლება, საკუთარი ინტონაციის ძიება, იქნებ საგანთა ხედვის რაკურსის შევსოვაც - მცირეოდენი ენობრუსტიკური გროტესკული გადახრაც ასეა თუ ისე, თანამედროვე პოეტი ამ აღქმისაკისრ შტავს, რომელიც მოთმინებით აზავებს პროზაულ ანუ ეპიპროზულ მასალას პოეტურ სუბსტანციამ. პოეზიას თავის დრო არ მოუჭამია, ვიდრე არსებობს ღრმა ლირიკული გრძნობის ან განცდის უნარი მეტყველ ადამიანში, იარსებებს პოეზიაც. პოეზია, უპირველეს ყოვლისა, ლირიკული განცდის უნდა იმპროვიზაცია.

**- შოდა, მეც მაგას ვამბობ. იქნებ ეს განცდა საერთოდ დაკარგოს ადამიანმა ე.წ. კომპიუტერის ეპოქაში?**

- შეიძლება, რომ თქმა უნდა, შეიძლება, ვინაიდან ადამიანი ჩვენს დროში თვითონაც კომპიუტერის ემსგავსება. რეალობაც იგივეს გვეკარნახობს - თვალში

**- ვიცი, რომ არ გიყვარს პათეტიკა, ამიტომ XXI საუკუნეს ხმაურიანი სიტყვებით არ შეხვდები.**

- სასაცილოა, XXI საუკუნეში შევდივარ და ნათქურის ფითილზე ვზრუნავთ. უნდა ამონიო ფითილი, ანთო ასანიო (თუ იპონე სინფელემ) და მერე დაიწყოს ლაპარაკი, თუ გაქვს ამის ხალისი. გარშემო წყვადია, მხოლოდ ფანჯრიდან მანქანის წყვილი ნითაბი სინათლე მოჩანს და სვედიანად გიმღერებს გუნებას.

**- ეს უკვე ლირიაა.**  
- მერე რა მოხდა, იყოს ლირიკა, ლირიკა მირჩენია რიტორიკას. ლირიკა ჩემთვის ძალიან ახლოდელი იყო ყოველთვის. ლირიკის გარეშე წარმოდგენილია ყოველგვარი ეპიკა და არა მხოლოდ ეპიკა, არამედ საერთოდ, ხელოვანი კაცის, შემოქმედი. პოეზიაში მთავარი ლირიკაა. ვისაც სამყაროს ლირიკული შეგრძნება არა აქვს, ის ეპიკურ ნაწარმოებსაც ვერ შექმნის.

**- გიყვარს ზოგადთეორიული მსჯელობანი?**

- აქ სიყვარული არ არის მთავარი. უბრალოდ, ზოგჯერ გინდა, რაც შეიძლება ზუსტად დაახასიათო ესა თუ ის მოვლენა. გინდა არა ფარისცვლური, სწობური "მსჯელობა მსჯელობისათვის", არამედ მართლა რაღაცის ახსნა გნადია. როცა კარგი კრიტიკოსის წერილს კითხულობ, სინანული გეუფლება: რასაც შენ მძაფრად, მაგრამ ინტუიტურად გრძნობდი, სხვამ უმარტივესი სიტყვებით გამოხატა. ამ სინანულს სიხარულიც ახლავს. ბუნებრივად, რომელიც სირთულედ არის მონათლული, არ მიყვარს, რადგან ის ყოველთვის სწორხაზოვნებასთან ასოცირდება, ნატივად, ნაღვლად გამოთქმული აზრი კი - მრავალნაზხაოვნებასთან. საერთოდ, ნათლად აზროვნება, "ფოკუსის გასწორება" ძალიან ძვილია.

**- აქ პოეზიასაც გულისხმობ?**

- არა თქმა უნდა. პოეზიასაც და პროზასაც. მხოლოდ არა მარტივი სათქმელის მარტივად გამოთქმას, არამედ რთულის მკაფიოდ გამოხატვას, სადაც, ვთქვით, ფოკუსი არ ვერ ახერხებს შეძლებისდაგვარად ნათლად წერას და "გაუვალ ტერმებს" ახეავებს, იქ ის დამარცხებულია. ისე კი მისი საუკეთესო რომანტი "ხმაური და მქვიანარება" და "ავტოსტოს ნათელი" გარკვევით და გასაგებად არის დანერგილი. დაბულა წყვეტილია, ქრება და მერე ისევ იჩენს თავს. მოვლენათა რეალობები უცნაურად არის ჩართული მთლიან ჯაჭვში. აქ თანაბარი მნიშვნელობა აქვს ფა-

საქართველოს  
დემოკრატიული  
რესპუბლიკის  
ადამიანთა უფლებების  
დაცვის სააგენტო

საცემად მომრავლდნენ ამ გრძნობას აბსოლუტურად მოკლებული პიროვნებები. პოეტის არსებობა ასეთ დროში ათავსა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრეან თავის წიაღში ინახავს პრომეთეოსის ცეცხლს - იგივე ამ ლირიკულ განცდას, სამყაროს ესთეტიკური ხედვის პირველსაბავეს, უწრფელისდაც ადამიანს არ იტყობდა და, რაც არის ჩვენს წარმოდგენაში ამიტომ, ვიდრე პოეტი და პოეზია არსებობს, ქვეყნიერება უფრო სრულყოფილია და სრულსებრილი.

- **საბოლოოდ, რომ პოეზია თანადროული იყოს, იქნებ, გარკვეულწილად ექსპერიმენტებია საჭირო?**

- აბა, რა გიხსობა, პოეზიასთან მიმართებაში ეს სიტყვა როგორღაც მებაზობუბა. ჩემთვის წარმოუდგენელია ექსპერიმენტატორი როლზე, ბოლოჯი ან გალაკტიონი. ექსპერიმენტი თითქოს უფრო ფორმალისტური ძიებების გამომხატველი ცნებაა. XX საუკუნის სამი უდიდესი პოეტის შემოქმედებაში ნოვატორული ძვრები ღრმა "შინაგან ხმასთან" კავშირის მეშვეობით იკავებდა ფეხს. რილკეს საგანი-ლექსები მისი მსოფლმხედველობის და მსოფლშეგრძობის საფუძველზე აღმოცენდა, ე.ი. აქ საკმაოდ უცნაური ფორმა შინაარსთან გაპირობებული აუცილებლობით დიახვდა. ბოლოჯი შესახებ ერთი რუსი კრიტიკოსი წერდა, რომ ამ პოეტის ინტონაციური ფლერადობა ხშირად იმეორებს წინამორბედ პოეტთა ფლერადობას, მაგრამ მან იმეულა სულიერება, გზნება, ტემპერამენტი, დრამატული გაქანება ჩადო საკუთარ სტრიქონებში, რომ სულ სხვა სინათლე გამოასხივო. ასევე გალაკტიონთან, დაკვირვებული თვლი მისი ადრეული ლექსებიდანვე შეამჩნევს (ვთქვათ, როგორცაა "შე დაღამე"), რა უცნაური ბეგერბული ვიბრირება აღწევს სტიქივლის ყირთასთანმადე. სწორედ რხევით, ბეგარება მუდმივი ვიბრაციით იყო გალაკტიონის მთელი არსება მოყოლი.

ასე რომ, ისინი ექსპერიმენტატორები კი არა, ნოვატორები იყვნენ, ამ სიტყვის უღრმესი მნიშვნელობით და ისიც უნდა ითქვას, რომ მათი ნოვატიციები არა მხოლოდ ღრმა "შინაგან ხმასთან", არამედ უპირველეს ყოვლისა, საკუთარეულად ტრადიციასთან იყო დაკავშირებული. ეს ვრცელად საუბრის თემაა.

ისეც გალაკტიონს მინდა მივუბრუნედე. მე ჩგონია, მან სხვებზე უუეთესად აღნიშნა თავის პოეტური ნიჭიერების თვისობრივი უნიკალობა, როცა თქვა, ძაღვი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტისო. მისი პოეზია მართლაც ნერვებად დაქსელილ უწერებლს ძაღვებზე ასმელობს. ჩემში ამ ბოლო დროს სოკოებივით მომრავლდნენ სნობები და პიროვნებადები (ეს ერთ რამე ერთმანეთს არ გამოირცხავს), რომლებიც ქართული ლიტერატურის მიმართ აკეპტიკური დამოკიდებულების მეშვეობით, საკუთარი პერსონის ვითომდა კულტუროსნობას აფლავებენ. მათ გასაგონად მინდა ვთქვა: XX საუკუნე ამდთავრდა და ძნელი წარმოსადგენია ისეთი სახელოვანი ლირიკოსი - რილკე იქნება ეს, მანედელე ამი თუ პაუნდი - რომელიც გალაკტიონს ოდნავ მაინც დაბრძოლავს. გალაკტიონი უცლას გაუთავანსწორდება (არ ვამბობ, აღმავტება-მეტიც). გენიალური პოეტების შეუფასებას აზრი არა აქვს; ერთი რომ კი უნდა ითქვას: გალაკტიონთან ძალზე გამჭვირვალედ ჩანს გენიალობა, რაც, ალბათ, გენიოსთა შორისაც იშვიათია ხედვრია. ამას აშკარა რეალობა შეკრანახოს და არა "ნაციონალისტური აღტკინება".

- **ქართული ლიტერატურისამდე ვილაკვების სექციები დამოკიდებულებაზე რომ აღაპარაკობ, რას გულისხმობ, ღირებულებათა გადაფასების ხანას ხომ არა?**

- პოსტამბქოთა პერიოდს ვგულისხმობ, როცა "განუცკეულნილად მართლა უნდა გადაფასებულიყო ღირებულებები. ბოლშევიზმის ღადე და ქუჩაყ უნდა მოსიკლუბოდა ქართულ კულტურას. უნდა აღდგენილიყო ის კრიტიკიკრები, რომლებიც კომუნისტებმა გაპარულეს მახინჯი იდეოლოგიის მეშვეობით. არადა, გარკვეულ წრეებში (კიდევ კარგი, ლოკალური მასშტაბით) მოხდა საპირისპირო რამე, განადა საპირისპირო ტენდენცია: მოვიდნენ არასრულგისოვნების კომპლექსით დასწეწეწობა ტიპები და რაც კომუნისტებმა დააკლეს ქართულ კულტურას, იმის აღსრულებაზე მოედომეს. ღირებულებების გადაფასებაზე ღაპარაკი უნდა მთავრდებოდა (რომელი მათგანი იყო გადაფასებული), ამ ტენდენციას უნდა დაერქმეოდა (ან ღირებულებების შეღახვა კარგად მახსოვს, როგორც ნა-მოხტა ან რამდენიმე წლის წინ ერთ აუდიტორიაში მავანი და დიორიალა: "რუსთაველი არარაობაა! რატომ არ უნდა გვეკონოს დღეს ჩვენ ამის დაფუქსირების უფლება?" ასევე კარგად მახსოვს სხვა ტიპის გამობხდომე-

**ბნელმეტყველება, რომელიც სირთულედ არის მონათლული, არ მიყვარს, რადგან ის ყოველთვის სწორხაზოვნებასთან ასოცირდება, ნატიფად, ნათლად გამოთქმული აზრი კი - მრავალნახანაგონებასთან. საერთოდ, ნათლად აზროვნება, "ფოკუსის გასწორება" ძალიან ძნელია.**

ბიც - ვერ სასებებით უმიზეზოდ ფედერიკო ფელინის ლანდესებს მოჰყავ, თან ისეთი ტონით, იფიქრებდი, ეს უკანასკნელი მისი მეზობელიაო, მერე კი მკაცრად წარმოთქვა: "რა გახდა ამისთანა, მომაშორეთ ბოლისდაბოლოს ეს თქვენი საზიზარო დღსტოვესკი და ფოლკნერი!" ამგვარი წამობხდომის საკმაოდ ხალხმრავალ აუდიტორიაში გაისმოდა. მე პირადად, ყოველივე ამას ვუცქერდი, როგორც არასანტერესო ვიდეოცნება. ელიას კანტის რომანში "დებამეგება" არის ერთი მწითური დარაჯი, რომელიც თავის თავში უზარმაზარ აბსურდს ატარებს. სწორედ ამ პერსონაჟს მახსენებდნენ ეს ადამიანები... მაგრამ კარიკატურული პერსონაჟები ამ ბოლო დროს ნაკლებად მიტაცებენ. კულტუროფობია ყველა დროში სხვადასხვაგვარად ინიღბებოდა, ბოლისდაბოლოს ჩვენს ქვეყანაში პროლეტარული არსებობდნენ, რომელთაც კულტუროფობის, ანტიკართული გამოკონიერების, მიზანთრობის შესანიშნავი "ნიშნები" დაგვიტოვეს.

- **შენ არ იტყოდი XX საუკუნის ქართულ კულტურაზე, ზოგადად, რა თქმა უნდა?**

- აქ შენეგონების და კულტურის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე საციელობისტებმა უნდა თქვან თავიანი კომპეტენტური სიტყვა. მე, უზარალოდ, მინდა ჩემი ადფირიონება გამოეხატო იმ დაქტით, რომ XX საუკუნის პირველ ოცდაათწლეულში მთელ კულტურულ მსოფლიოში შეირიწმებოდა სულიერ-ინტელექტუალური აღზვევა და ეს მძლეობა ტალღა არც საქართველოს ასცდა. რუსებმა ამ ეპოქას "ვრცელის საუკუნე" უწოდეს. ეს იყო ბოლო და ამბატოვას, პასტერნაკის და მანდელშტაიმის, ბულგაკოვის და პლტორინის, ბერდიაევის და როზნაოვის, აგრეთვე, სხვათა მოღვაწეობის დრო. ამ ეპოქას "ძია ლენინმა" და "ძია სტალინმა" მოუთავსეს ხელი. საქართველოში, მოგეხსენება, დამსჯელ ღონისძიებებს ლავრენტი ბერია განაგებდა. ამ არაშადად არაერთი დიდი ქართველი ხელოვანი და მწერალი ანამა და გამოასალმა სიკვდილეს, თუნდც მიზეზი ჯვავიწმეილი და ეკვენი მიქელაძე გაეხსენსეთო. ყოველივე ეს ცნობილია, მაგრამ ახლა უკვე დანას სინათლეზე შეიძლება შეზზარევი ფაქტების გამოტანა და განაღლებოდა. იცის ასალმა ზარამბ, ვინ იყო მიხეილ ჯვავიწმეილი, ან ეკვენი მიქელაძე? იცის, რომ ასეთი ნიჭით მაღლმოსილი ადამიანები იშვიათად იბადებო-



ან არა მართკ საქართველოში, არამედ საერთოდ, სადაც არ უნდა იყოს? მე მგინი საამაყო, რომ XX საუკუნის უპირველესი, უშველებელი ხელოვანების და სწავლულების ღირსეული მონაფთა შორის ქართველებიც იყვნენ. ვთქვათ, ოკიუსტ როდენის მონაფე იყო იაკობ ნიკოლაძე, ედმუნდ შუსერლისა - კოტე ბაქრაძე. პირველმა ქანდაკების სკოლა შექმნა საქართველოში, მეორემ - ფილოსოფიური აზროვნებისა. გერონტი ქიქოძე შვეიცარიაში სწავლობდა, ბერნის უნივერსიტეტში. ლაიფციგის უნივერსიტეტში დაცევა 1909 წელს სადოქტორო დისერტაცია დიპტორი უზნიძემ. ამავე უნივერსიტეტის ფილოსოფიის დეკლტორი დაამთავრა გრიგოლ რობაქიძემ. ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი და დავით კაკაბაძე პარიზში XX საუკუნის უპირველესი მხატვრების გვერდით შედგნენ თავიანი ნაშრომების. არ შეიძლება დავივიწყოთ ადრე გარდაცვლილი ბრწყინვალე მხატვარი შალვა ქიქოძე - ქართველი იმპრესიონისტი, რომელიც პარიზშივე ქმნიდა თავის ტილოებს. პირობაში ნიკოლორ თქვიანიძემ, რომელიც ასევე ევროპაში სწავლობდა, შეიძლება თანამედროვეობა. მწელა ყველას ჩამოთვლა. უბრალოდ, აქ ერთი რამ არის მთავარი და არსებითი: ეს ადამიანები ღვთისგან ბოძებული ნიჭის მეშვეობით ყველაფერს, რასაც ქმნიდნენ, ქართულ ელენურ ანიჭებდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევროპაში მიღებულ გამოცდილებას ქართულ ნიადაგზე ამყობდნენ. ასე ევროპაში და მყარი საფუძველი ჩვენში XX საუკუნის კულტურას.

**- იყო თუ არა ეს კულტურა თანამედროვე?**  
- სწორედ რომ იყო, და აი, ეს არის მწიფელოვანი. აზრი, ესთეტიკა, პოეტიკა, ფორმათქმნილობა - ყველაფერი თანამედროვე იყო, ყველაფერი ევროპაში მიმდინარე პროცესებს პასუხობდა. ამგვარი სინქრონილობა, არ თქმა უნდა, უშუალოდ პირველწყაროსთან, ევროპულ ფასეულობებთან ზიარებამ განაპირობა. ვთქვათ, ხშირად საუბრობენ გრიგოლ რობაქიძეზე. შეიძლება დღეს, უკვე XXI საუკუნეში არ მოგვენონოს მისი ესა თუ ის ნაწარმოები, რომელიც, ფაქტობრივად, XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა და კარგად გამოიხატავდა თავის ეპოქას ფორმითაც და სათქმელითაც, მაგრამ ეს არ არის მთავარი, გრიგოლ რობაქიძე იყო კაცი, რომელმაც პირველად გააცნო ქართულ კულტურულ საზოგადოებას ფორმირის ნივთის ნაზრევი. რობაქიძის ლექციებს დიდადობი ხალხს ესრეობდა - იმხანად წყურვილიც დიდი იყო სიახლეა წვდომისა. გრიგოლ რობაქიძეს პატვის სცემდნენ ნიკოლაი ბურდიაკი, ანდრეი ბელი, ზინადა გაბოუსი. მან კარგად იცოდა სიმბოლიზმის თეორიაც და თუ "ცისფერყანწებლბა" ქართული ლექსის ძირული რეფორმა განახორციელეს - ამ კაცებს ღირსეული წვლილი მიუძღვის. XXI საუკუნეში ალბათ ობიექტურად უნდა შეფასდეს ნინა ასნაულოში მოღვანე მწერლების და მეცნიერების ღვაწლი. რუსიფიკაციის და პოლშევიზმის სასტიკ წნეხს შოლოდ მათი თავისუფალი აზრისკენ სწრაფვა და საერთოდ, სულიერი-ზნევიტური ღირებულებების დაფუძნება უპირისპირეობდა. ამაზე მტავარი იარაღი არ არსებობდა. ამიტომაც გაანადგურეს ან განდევნეს ეს ადამიანები. რაც შეეხება გრიგოლ რობაქიძეს, ის მართლაც თანამედროვე იყო და ეს ღირსება სძნდა აქტულობას. მისი თვალათხედვის არეში თავისი დროის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა მოექცა. ან რამდენიმე წლის წინ "ლიტერატურნია გახატებდა" დაიბეჭდა ჩინადვის პორტრეტი რობაქიძის რუსულ ენაზე დაწერილი წიგნიდან "პორტრეტები". ეს ნაწარმოები არამცთუ არ გახუნებულა, არამედ, შეიძლება ითქვას, რომ საესტეტი ახალი ნიშნით გამოიზრინდა. ყურადღებას იქცევს უაღ-

რსად თავისებური, დახვეწილი ენა და სტილი.

**- ხომ არ დაეკარგეთ ჩვენი საუბრის ძაფი?**  
- მე მგინი, არა, არ დაეკარგება. მე არ მიყვარს ზედმეტი სუბიექტივიზმი ამა თუ იმ მწერლის შეფასებისას, არადა, როგორც ვაქცობ, დღეს ესეც მოდაშია. არც განდვიდება საჭირო და არც დამცირება. დღეს, XXI საუკუნეში, ალბათ ხელახლა დაიწერება XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია და შეძლებისდაგვარად (ეს არ არის იოლი საქმე) ყველას თავისი ადგილი მიეკუთვნება. მთავარია, ავტორები იყვნენ შეფასებისა შინაგანად თავისუფლნი. ისინი ერთი მხრივ, კომუნისტურ-სტერეოტიპებისგან უნდა განთავისუფლდნენ და, მეორე მხრივ, მისი ფეხმოკიდებულის, უსაფუძვლი, ზვირულ სექციტიკისგან. სულერთია, ლიტერატურა მიმდებური იქნება თუ ანტიმიმდებური, - მთავარია, ის ცხოვრებაზე საუბრობდეს. ყველაზე სახიფათო მწერლობისთვის ფორმალიზმა. ვიდრე არსებობს სიცოცხლე, სიკვდილი, სიძულვილი, სიყვარული, ღალატი და ა.შ. მწერლობამ ცხოვრებაზე უნდა ილაპარაკოს, როცა ყოველივე ეს აღარ იარსებებს, მწერლობაც დაკარგავს აზრს. XX საუკუნის მაინილე ვერცერთი ლიტერატურა არცთუ იშვითად ვარდებოდა ფორმალიზმის უფსკრულში, ფორმალიზმის არა საბჭოთაა გაგებით, არამედ საკუთარ ქვეყნში გამოკეტვის, უზიფთაობის, მკვდარ სიტყვებად ჩაქვების თვალაზრით. სწორედ ასეთ დროს იყო აღფრედ დიობლიზმა, ფუტურზმის მამას, მარინეტის რომ შეახსენა, მწერლობაში მთავარი ინდივიდისეული უნიკალიზმა და არა კოლექტივიზმის სულსკვებაო. მართლაც, ინდივიდ ქმნის მწერლობას, ინდივიდი ანიჭებს ყოველგვარ მიმდინარეობას საზრისს.

**- ლირიკაზე ხომ არ იტყვიან კიდევ რაიმეს?**  
- ჩემი ნება რომ იყოს, ამ საუბარს ლირიკის აბოთეოზად ვაქცევდი. ლირიკა არ უნდა გაქრეს ნაშველი შემოქმედება მთავარების მეშვეობით იკრებს ძალას. შთაგონება ეკ ემოციური სტიმულის გარეშე ნააროუდგენელია. აი, აქ იქნეს თავს ლირიკა, ღრმად პროგრესული განცდა, რომელიც ამავე დროს, პოეტურცაა.

**- რატომაც უცნაური დანაკლისის გრძობა ბექეს, თითქოს უფრო ხშირად უნდა გვესაუბრო ლიტერატურაზე, ვთქვათ, ხომ არ ასტეტიკად უნდა საყვარელ მწერლებს?**

- ვჯობდ კონრადს სიკვდილის წინ უტყვამოთურმე, მე მსურდა ვკოფილიყავ ისეთი მწერანი, როგორები დოსტოვესკი იყო. მართლაც არსებობენ მწერლები, რომლებიც თითქოს უფრო წარმოსახვის სფეროს ეკუთვნის, ვიდრე რეალობას. ასეთები არიან ჩემთვის ვესპირი

**თანამედროვე პოეტი იმ ალქიმისკის ჰვავს, რომელიც მოთმინებით აზავებს პირობაულ ანუ ეპიპირიულ მასალას პოეტურ სუბსტანციაში. პოეზიას თავის დრო არ მოუჭამია, ვიდრე არსებობს ღრმა ლირიკული გრძნობის ან განცდის უნარი მეტყველ ადამიანში, იარსებებს პოეზიაც.**

და დოსტოვესკი. რა თქმა უნდა, ეს სია უფრო გრცელიც შეიძლება იყოს, მაგრამ მე ვინც მინდოდა, ისინი დავასახელებ. ძალიან მიყვარს შექსპირისეული სენტენციები, ვთქვათ ასეთი: "ცხოვრება იდიოტის ნაამბო ზღაპარს ჰგავს". მთლიან ცხოვრებაზე ასე მოკლედ და ზუსტად, თქვა რამე ფილოდი დოსტოვესკის შემოქმედებაც ამგვარი "იდიოტიზმებით" - პარადოქსებით და მოულოდნელობებით არის სავსე. დოსტოვესკის ფანტაზმა ადვილედ შეიძლება ჰგავს, შოლოდ არა ეპიპირიულ სიჭრეტეში, არამედ ადამიანის შვიგნით, მის გულში და გონებაში გაშლილ ა. აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს და მთავარი ის არის, რომ მწერლის აზარტულ შემართებას სწორედ აქ მომხდარი ძვრები აღძრავს. დოსტოვესკისთვის გარე-

სამყარო ყოველთვის პირობითია, უფერულია, შინაგან ქვეყნიერებასთან შედარებით. ვთქვათ, მწერლის სიტყვით, რასკოლნიკოვი "კუბოსავით ვინრო" ოთახში ინვა, არადა, ჩვენ ვხედავთ, რომ მისი ზრახვები ზოგადკაცობრივია. იქნებ ვინმე თქვას, რომ ასეა ყველა საინტერესო მწერალთან, კი, მართალია მაგრამ ეს უზღვიარ დოსტოვისკითან უკანასკურთებულია. "მედიანი სახლის ჩანაწერებში" უკვე შესანიშნავად ჩანს დოსტოვისკი, როგორც ადამიანთა მჭერტელტი. აქ უკვე იკვეთება მისი, როგორც მწერლის მიდრეკილება, ფოტოფირივით გაამქლავინის ადამიანთა შინაგანი სამყარო. ეს მისთვის შთაგონების აღმჭვრელი გადაუღლებავ სურვილია, მართლაც ახარტია. ავი თვითონვე თქვა, თუკი მთელი ცხოვრება მონადღომ ადამიანის გამოცდილას, არ უნდა იქიქრო, რომ უქმად დაკარგე დრო. რაც შეეძება ლირიკას, რადგან ამაზე ავად ჩემი საუბარი, ისიც მინდა ვთქვა, რომ დოსტოვისკის რომანების პოლიფონირობა, სულაც არ გამოირიგება მის "ლირიკულ კანონრებას".

ბოლო დროს ვინ იცის მერამდენედ გადავიკითხე გოგოლის "შინელი" და სტივენი კრეივის "ცისფერი სასტუმრო" და მივხვდი: მწერლობა გრძნეულება. სწორედ ეს გრძნეულება დადარკა დღევანდელმა მწერლობამ, რადგან ინტელექტუალური კი არა, ინტელექტისმიერიც გინდა. ქართული პროზაიკოსებისგან მიხედალ ჯავახიშვილს ვახსენებდი კიდევ ერთხელ. ჩემზე "ჯავახი ხიზნიზე", "კვაჭი კვაჭანტირაძეზე", "ლამბალო და ვაშა", "ოქროს პიბილი" და სხვა ნაწარმოებები წარმოვსვლილ მთავრქცილებას ტოვებენ. ეს მწერალი ხელახლა წასაკითხი.

- მიხედალ ჯავახიშვილს კარგად იცნობს მკითხველი, მაგრამ საუკუნის პირველი ნახევრის მწერლებიდან იქნებ დავივიწყეთ ვინმე?  
- დავიწყება, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მძიმე ცოდება, მაგრამ არა მარტო მთლად მივიწყებელი იცის რო-მელიმე მნიშვნელოვანი მწერალი. განზრახ დავიწყებაც არ არის კარგი. ზოგჯერ მიიჩნევენ, რომ ამა თუ იმ ნიჭიერ მწერლობა, რადგან ცოდვენი მოქმნიკება, ამიტომ მის შემოქმედებაზე საუბარი არასასურველია. ამგვარ თვალახარისის მე პირადად ვერ გავიზარებ. ვთქვათ, ცნობილია, რომ კნუტ ჰამსუნმა და ე.ზ.ნა პაუნდმა ფა-ზისტურ რეჟიმს დაუჭირეს მხარი, რაც, რა თქმა უნდა, მათივე პიროვნებისული ნაკლოვანების გამოშვრელია, მაგრამ ამის გამო ამ მწერლობის აკრძალვა არასწორი იქნებოდა. გაუგებრობა რომ არ მოხდეს, მწერლის პიროვნებას ნათელი უნდა მოეფინოს, უნდა გაირკვეს, რა ბრალს სდებენ მას და შეესაბამება თუ არა ეს ბრალდე-და სინადევილს. ამ "პროცედურისგან" დაშოკიდებულად ნებისმიერ კრიტიკოსს აქვს უფლება - და ეს უკლებილედ არის - მიმოიხილოს უსამართლოდ თუ სამართლი-ანდ შერისიული მწერლის შემოქმედება. მთავარია, თვი-თნი ნაწარმოები აღწრადვეს ანალიზის, მიმზიდველი სა-უბრის სურვილს.

ტოტალიტარიზმით სწეულ, იმპერიული ამბიციებით შემკობილი რუსეთში ყოველთვის არსებობდნენ ნიჭიერი, მაგრამ გაყიდული მწერლები, მაგრამ დღეს, როცა იმპე-რია დაინგრა, არავის უფიქრია მათი აკრძალვა, პირიქით, ისეთი ნაწარმოებები გამოიტანეს დღის სინათლეზე, რომ-ლებშიც მათივე კონფორმისტული სულისკვეთება ნაკლე-ბადაა შესაშინევი.

უმაკრესმა შემსახელება, ივან ბუნინმა, სტალინის

ყურმოჭრილი ყმის, აღუქცი ტოლსტოის შესახებ: "ოსტკა" მისი ხელნაწი დაგოსულ "ზალტოვრასაც" კი ნიჭიერი კველი ატყვიო. ბოლო დროს ამ მწერლობს არაერთი ნე-კი გამოცდა...

სამარტეხნო საქცილო ჩაინდა ბორის სლუცკიმ - პასტერნაკის წინააღმდეგ გაილაშქრა. მძიმე ცოდვის გა-ტნობიერებამ პოეტს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამა-ყოფინა თავი. პოსტალაქოთა პერიოდში სლუცკის შესა-წინშავ პოეზიას "არავინ შეტეხია ცუდად..." "უსაქცილო მისი გამო" დღესაც აკრძალული უნდა ყო-ვილიყო ბაირანი, ფრანსუა ვიორი, მარ-კიზ დე სადი (დიდხანს იყო აკრძალული) და სხვა არაერთი მწერალი. მართალია, მათ "სხვა მუხლს" მიუყენებდნენ, მაგრამ საბაბი საბაბია, თუ აკრძალვა გინდა, ვე-რაფერი შეგწინააღმდეგება. ერთი სიტყ-ვით, შეცდომად მიმანია არა მხოლოდ აკრძალვა, არამედ ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებითი რეზონანსის ჩახშობა სვეთია და სხვათა მიზეზთა გამო. ყველა-ფერი ხმამაღლა უნდა ითქვას.

- რომელი ქართველი მწერლებს კითხლობდი თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ასაკში, მო-წარეობის დროს, ან სტუდენტობის პირველ წლებ-ში?

- მე უმატრესად ათიანი და ოციანი წლების ქარ-თულ მწერლობას შეეცა. არადა, მინდოდა სამოცი-ნი წლებზეც მესაუბრა. თუმცა ეს უკვე ცალკე თემაა. სამოც-დაათიან წლებში, ე.ი. ჩემი მწიფების და სტუდენტო-ბის პერიოდში ქართველი მწერლებიდან ყველაზე ხე-მრად გურამ რჩეულიშვილს ვითხოვლობდი. ახლაც კარ-გად მასსოვს, როგორ ნავიკითხე "ერთი მოთხრობის ბიბ-ლიოთეკის" სერიით გამოქმეული "ალავერდობა", ამ მოთხრობას არამგველებრივი დასაწყისი და დასასრული აქვს. გვიან მივხვდი - გურამ რჩეულიშვილის მოთხრობე-ბი სრულიად თავისებური ლირიზმით მიზიდვედა. "ალა-ვერდობა" ამინდზე საუბრით იწყება და ეს საუბარი რა-ღაც უცნაურ შეფეროლობას ანიჭებს მთელ მოთხრობას. თითქოს ავტორი, ვიდრე მთავარი ამბის თხრობას და-ინწყებდეს, უკიდურესად მხოლოდურ პირველ აკრძალ-ვას იღებს. ასეა ფინალშიც, მხოლოდ აქ უკვე ბოლო აკრ-ძებთ უღერს და ლირიკის წრე იკვრება: ალავერდიდან ჩამოსული გურამი ნელა მიბარევის ალანისაკენ, გზადა-გზა კი ელნათურები იწყებენ ციმციმს. ძნელია აქ მთავა-რი გმირის მოვალისმეტყველ განწყობას რაიმე დაარქვა. ლირიკული ეფექტი იმდენად ძლიერია, რომ მკითხველი მთლიანად ერწყმის გმირს. რა გერძობა ეუფლება გუ-რამს, იმდგაცრეუება? გულაბტეტილობა? ნალველი? მე გმირი, არცერთი. ურბოლოდ, ის რაღაცას ხდებდა ისეთს, რასაც აქამედ ვერ ხდებოდა და თითქოს სხვა სიერე-ში იქნება. ეს ფინალი, ჩემი აზრით, რფელექტისი მო-მენტს აღბეჭდავს. გურამი ფიქრობს, მხოლოდ ფიქრობს არა მარტო გონებით, არამედ მთელი არსებით და ყოვე-ლივე ეს ღრმა ლირიკული დანებით არის გადმოცემული. გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები ლირიზმის - ღრმა-დ პიროვნებისული განცდის და პოეტური წარმოსახვის გა-რემზე წარმოდგენილია. ენის სისადავეს და ფსიქოლო-გიზმ ბუნებრივად ერწყმის სიტყვათა ლირიკული ხაზ-გასმა, ხაზი მოძრავია და პლასტურია.

- იქნებ იმით დაეამბოვინო, რითიც დავიწყეთ, მე ვკლავისხობ ლირიკას?

- კი ბატონო. ლირია ჩემთვის ყოველგვარი შემოქმე-დების პირველსათავა.

ქაუბრა აღსმეო მისმძი

ანდრო გუაჩიძე

\* \* \*

ყინვაჲ და თოშო, გულშემწირველო,  
ჩემს ღრმა სოროში რატომ მომბუზე,  
მე ახლაც ვხედავ - მწუხრის ფრინველი  
თავის ჩრდილს როგორ აფენს კორპუსებს.

მზე როგორ გაშლის ხოლმე ზონარებს  
სახურავებზე და ბათქაშებზე,  
და მეც აქა ვარ - წყნარი მოზარე  
წარმოდგენაში სივრცეს ვაშენებ.

საღამო მადგას ჰრელი ჩითივით  
და წაფერდებულ სურათს შეეჭტრი,  
საით გაფრინდნენ მწუხრის ჩიტები  
ამაოებით ფრთაშეკვდილნი?

ამ გარეუბანს გადაუარეს,  
სადაც ლანდშაფტი გადამსხვერულა,  
ან რას იზამდნენ ნეტავ უარესს,  
რომ არ ეფრინათ ასე ხვეულად?

ეს კაცი ჩემი მეგობარია,  
ქალაქგარეთ რომ მიდის გზაწვრილზე  
და მხრით მიათრევს აბგას გვარიანს  
და შეიძლება მისთვის გაწვიმდეს, -

და შეიძლება შეხვდნენ მგზავრები,  
მინდორში ლუკმის გადამტეხველნი,  
ჩემსავით მწუხრის ჟამს მოზარენი  
და ამ ცხოვრების უნდო მებრენი.

ყინვაჲ და თოშო, გულშემწირველო,  
გადამახედე ჩემი ფანჯრიდან, -  
როგორ მიფრინავს მწუხრის ფრინველი  
კორპუსებს შორის მოძრავ აჩრდილად.

ის ზომ მაცნეა მთელი მასივის  
დალაშებიდან დალაშებამდე,  
სადაც სხივები მწუხრში გასვრილი  
სასოწარკვეთილ ალვებს ღებავენ.

ბარგი-ბარხანა უკვე ახიკეს  
მათხოვრებმა და კვარტლის გლახებმა,  
მზის ათინათი ადგას სახინკლეს  
და ბინდი ფარავს სახლებს ნახევრად.



ძაღლი

დამზრალ ჰაერში მიწიდან ცამდე  
შენ ჩემს უბრალო ცხოვრებას ჰყვები,  
არ მეგონა თუ იტყოდ ამდენს  
ხმაჩახრინწული გაბმული ყვფით.

ეგ ხმა ემსხვერევა ნათურებს, ბოძებს,  
გარაკებსა და მბუტყვარე ვიხურს  
და აღარ ფიქრობს გაფრინლ დროზე,  
რომელიც აქვე გადატყდა ვიქურ.

როგორ ამოთქვამ ამხელა ნაღველს  
და შენი ყელის ფაქიზი ხორხით  
ჩემი ცხოვრების დარაბებს ალბე,  
ჩემს ყურთასმენას ძვალივით ლოლნი.

შენ ხარ ძაღლი, მე - ადამიანი,  
და შეიძლება მეც ვიქცე ძაღლად,  
და ამისთანა რა დარდი არის,  
მიწიდან ცამდე რომ ადის ძაღლა.

მაგ ხმით მეცნობა მე სააქაო,  
საიქიო კი მიღმა ამ ყვევის  
ცახცახებს, ღამეს უნდა აღგავოს  
ეგ ხმა, რომლითაც ჩემს ამბავს ჰყვები.

როგორც სათელი და როგორც ხიწვი  
გაზავებული უძირო ნაღვლით,  
ამ ჩემს ღამეებს ანათებს ხრინწე  
გათენებამდე მყეფარი ძაღლის.



\* \* \*

ვიცი, აქ ცხოვრობს ჩემს სიახლოვეს,  
ჩემი შემწე და უნდო მგმობარიც,  
და ისიც ვიცი, ასეთ ახლობელს,  
უნდა ვუწოდო მე მეგობარი.

როგორც საკუთარ ქსელში ობობა  
ვიცი, ისე ვარ მეც ჩახვეულო,  
მარტოობაზე წუხს მარტოობა, -  
სველ ნიჟარაში სველი სხეული.

ვიცი, შრიალებს ხე ქვეყანაზე  
და იშრიალებს ასე დილაძაღვე  
ვიცი, შზის სხივებს ქარი გადასწევს  
სხვა მშვეებიდან გამომდინარე.

ვიცი, სხვას უკვე ბევრჯერ ეწვია  
ბელი უაზრო და უარესი,  
და ცხოვრება რომ მთვრალი ბეცია  
მე იმიტომაც მხედავ ამრეზილს.

ის თვითონ მოვა, თუმც შენ არ ექებ -  
ცილისწამება და დამცირება,  
რადგანაც ბევრი სისხლი ჩარეცხეს  
ქაფენილებზე უკვე წვიმებმა.

\* \* \*

შენს ენებებს უნდა მჭიდრო ლაგამი,  
რადგან ჰაერში ასვეტილ ნაძვებს  
ლაფეარდის ჭერიც კი ვერ აკავებს  
და ქარიშხალიც კი ვეღარ აწვექნს.

შენ გესალტება სხეულზე სიცხე  
და გივიწროებს ვიწრო სახედველს,  
და საკუთარი თავის წინ ირცხვენ,  
რადგანაც ენება ვეღარ გახედნე.

დაოკლი, მთვარის დისკო იხრება  
და ვეავილივით ლამაზი სხივი  
შენთან შემოაქვს, შენ კი გიხდება  
სხივის დაჭერა, ენება რომ ღვივის.

მაღლა, სულ მაღლა სართულში, საღდაც,  
ეთხოვებიან ვიღაც გარდაცვლილს,  
გარდაცვლილს შუბლზე უელავს დამლა  
მთვარისა, მერე დრო რომ გააცლის.

სძინავთ შენს მტკვნებს და მკრთალ ლოცვებზე  
ოდნავ გეხება ძილი ჩრდილივით,  
და გახსნილ ტუჩებს ფრთხილად მოჰყვება  
დაუხარჯავი ენების ჩივილი.

\* \* \*

ათოვს სველ სინდისს, ათოვს სველ თვალებს,  
საღამო ავლებს ხელს მოაჯირებს,  
შეუმწვეველი იქნება მთვარე,  
არ შეიძლება ვინმეს დაჭირდეს.

და მიაღება შზის სველი სხივი  
ცარიელ სახლში დარჩენილ ფინჯანს,  
და ქუჩის ბოლოს გოგონას ღიმილს  
ეტყობა სიკვილ-სიცოცხლის მიჯნა.

ათოვს სველ სახლებს, ათოვს ოჯახებს,  
ათოვს საწოლებს, ათოვს ხალიჩებს,  
სველი ბინები თოვლში მოჩანან  
და თოვლი თოვლში უნდა დაიხრჩვეს.

ვიცი, დავტოვებ ამ თოვლს და თვალებს,  
მინდერებისაკენ წავალ, დავტოვებ,  
ღამე იწვება თოვლი მკვდარივით  
და დილით კვლავაც უნდა გაათოვდეს.

არც ავი და არც კარგი დარია  
და შეიძლება, რომ დაუბარო  
დათოვლილ ჩიხში სველ ადამიანს,  
რომ ამ თოვლივით იყოს უბრალო.

1992 წ.

კრიტიკა





### გაგაქა ღოლიძე

გასული საუკუნის 60-იანი წლების თბილისის სადგურზე “ბავშვთა სამყაროს” ვიტრინიდან გადმოღებული მატარებელი იდგა. ხალხი მოუთმენლად აწყდებოდა ვაგონის კიბეს. ვინც აასწრებდა, ფანჯარას აღებდა და ქვემოდან ამოვლებული ჩანთებით ადგილს იკავებდა. მეც მივგრებოდი თხილამურებს შორის, რომ აქეთა მხარეს, შუა ვაგონში ადგილი დამეკავებინა. ზოგჯერ ვასწრებდი, ზოგჯერაც ხალხის ტალღა ისეთი სისწრაფით ავსებდა ვაგონს, პირველივე სკამს ვიკავებდი. ასლა მამარჩიშის სტუდენტებმა მიველეს, ბარგი შემოყარეს და შუა ვაგონი დაიკავეს.

როგორ ველოდებოდი მესამე ზარს! მერე კი თითქო ფილში იწყებოდა, ფანჯარაში კინოკადრით დატრიალდებოდა ქალაქის გარეუბანი.

მცხეთის იქით მატარებელი წველიადში შედიოდა. მსიამუნებდა ჯდომა ბნელით გარემოცულ სინათლესა და სიბოროში. სტუდენტები კარტს თამაშობდნენ. დედა ჯერ ჩემთვის ამხადებდა ვახშამს; ბურში ჩადებულ ქათმის თეთრ ზორცს. თერმოსიდან ჩაის მისხამდა. ეგონა ჭამის მერე ძილი მომერეოდა, მაგრამ რა დამაძინებდა! მზიარულებით საუფ ვაგონში გულივით ძვრდა მუსიკა. რიტმსა და მელოდიას უცხო ქვეყნის სუნთქვა მოჰქონდა ჩემთან. ის ქვეყანა რატომღაც ხეობაში ჩაქოვილი პატარა ქალაქის და მთაზე შემომდგარი სოფლის მიშმა ისაჩვიოდა ჩემთვის.

როდის შემოდიოდა კონსუქტორი? მოუთმენლად ველოდი და ჩემი პატარა, აგურისფერი ბილეთი ხელში მეჭირა. კონსუქტორი კი მაინც ახერხებდა და იმ დროს მოგვაკითხავდა, როცა ლოდინით გაბეზრებულს ყურადღება გამეფანტებოდა ხოლმე. თითქო ამ კაცის ცხოვრების აზრი ის იყო, მოულოდნელად თავს დაეკავებოდა; კი არ შემოდიოდა, სკამთან უცებ განდებოდა, მერე რომ უცადავ გამქრალიყო. ირგვეოდა მზიარულების რიტმი, ხელს შერჩენილი ჭიქიდან ღვინო იღვრებოდა; ქალები შეუწებებულად სახით იწყებდნენ ჩანთებში ქექვას. კაცები კი იმდენს ახერხებდნენ, ამ გაქვავებული რკინიგზის სახეზეც იწყებდნენ რაღაც ღიმილის მსგავსს.

მატარებელი ნელ-ნელა ანელებდა სვლას და ფანჯრის გარეშე, წველიადში გემოვით შემოცურდებოდა დიდი, განათებული სადგური. წერილი, ლურჯი ფიცრებისგან მოქსოვილ კედლებზე სტალინის სურათი ედგა. ბევრი ჩადიოდა აქ, საკლები ამოირიდა და ჩვენი უფრო ხალვათიად გვრძობილი თავს. განახევრდა ღვინით სასვე ბოცაც და მისი ქარვისფერი სიწითლე მამას სახეზე გამოეღო. ლამაზი სიტყვებით აჯადოებდა სუფრას. რადიომიმბლეიდან რაკეტრილი ფეთქებდა, ვაგონიც მუსიკის რიტმში ირწყოდა. ფანჯრის მიღმა, ლანდებუქვეული ხეები მიხედვდნენ ერთმანეთს; მელნისფერი მთაგრიხილი იღვრებოდნენ ბინისფერ ცაზე... შიგადაშვებ რომელიმე სადგური არღვევდა რიტმს, მერე კი ისევ გრძობდებოდა გზა, ისევ ემზში შედიოდა სუფრა, ისევ წნდებოდა მოლოდინი.

ზაშუის მერე ხალხი საბოლოოდ იცხრილებოდა საცერში. რჩებოდა სწორედ ის, ვინც უნდა დარჩენილიყო. ვადავებულ ვაგონს არა აქვს საკუთარი სახე; იქ უფრო მოუთმენლობაა, A პუნქტიდან B პუნქტში ჩასვლის მოლოდინია და არა თვად მეზავრობა. სალინში თავისუფალი სივრცე წინდებოდა. ისმობდა ვადადაპარაკება, შეიძლება დასკამიდან სკამზე გადაჯდომა, არა ადგილის დაკავების მიზნით, უფრო იმიტომ, რომ უკმა ვყვლა ერთად ვმგზავრობდით, ერთი სადგურისაკენ და ერთმანეთის უკეთესად გვემზოდა. ჩემი თხილამურები ბარგთან ერთად ზემოთ, თარიზე იყო შემოდებული. ჩემ-ჩემად შეეცქეროდი მას და რამდენი ვაგონი შეინჯდებოდა, გუ-

# მ გ მ ა



ლი მეკუმშებოდა, თხილამურის პირი კედელს რომ ეხებოდა. ეს თხილამურები დიდვად და თამაზმა ჩამოშტანეს მოსკოვიდან. საწოლის თათთან ვინახავდი. ისედაც სარკესავით მოლაპლაპეს, ყოველდღე ვაბრალებდი. ძილის პირს მიპირილი თვალს მჭრიდა და სიზმრის ბურანში მითრევდა. ვიღვიძებდი და თვალწინ თხილამურის მომრგვალებული ცხვირი დამიდგებოდა პოლენური ფირმის მგზღვრით.

ახლაც ამ თხილამურს შეეცქეროდი; მის სარკეში თითქო ირეკლებოდა მისივე მატარებლის სასიხარულო მოლოდინი და რეკლამების ციმციმში იისფრად განახლებული ღამე.

მატარებელი კი უკვე მთელი ძალით მიქრდა. თუმცა ფანჯრის მიწოდებულ წველიადში კი არ მიქრდა, ადგილზე ირწყობდა...

არ ვიცი, იქნებ არც იყო წველაფერი ისე, როგორც მასწენდება; მე ზომ ამავს გულს შერჩენილი სიხარულისგან ებერწყავა... ხელის ოღანე შერგვდა და მოვრების ნამსხვრევები ფერადი კენჭებით ეთამაშებთან ერთმანეთს, სსოუნის შორეულ ფსერზე ათასნარი ფორმებსა და სახეებს ქნინა...

მატარებელი ბორჯომის ხეობაში შედიოდა. ვაგონი მიწუმათდა; აკანინით არწყვდა მგზავრებს. დედა ფანჯარას გასცქეროდა. არჩევდა და ვერც არჩევდა ახალბების მოას, ჩამქრალი დეკორაციისათვის რომ იდგა; რომლის წვერზეც თოვლი ციმციმებდა; ფანჯარაში ნათურასავით ჩამოკიდებული მთაგრი ანათებდა მწვერვალს. დედა მამყენვდა სხივთა თამაშით მონიშნულ ქელს, ჩამოქებულ უღელტეხილს, სადაც თავდებოდა საქარავნო გზა. მამა გვიღიმიდა. სტუდენტებს გადმეცქევივით ქინათ. რადიო ხრიალებდა. მელოდია პუკლასავით ეთამაშებოდა ტალღას - ზან მოფრინდებოდა, ზან გაფრინდებოდა.

ვიცოდი, მალე ბორჯომში შევედიოდი. რაღა იყო დარჩენილი? დაახლოებით აი საბურთალოდან; დიდვად სახლიდან ტროლეიბუსით რომ მიდებან ლენინის მოედანამდე. სულ ცოტა ვგაუკუნა, მაგრამ ეს “ცოტა” წარმოუგენლად იჭიბებოდა; მოუთმენლობა გზას აგრძელებდა; მატარებელიც განზრახ მიძირებოდა ნელა; ფრთხილად, ფეხკარეფით შედიოდა ძლივთ მოცულ ხეობაში.

მერე კი უცებ გული გამიწყვდა ფანჯრისკენ, რადგან

ზუსტად ვერძინობდი, რომ აი ახლა გამორჩნებოდა მტკვარი, გველეშაპის ქერცლივით აირეკლავდა ვერცხლისფერ მთვარეს, ერთხელაც მოიჭყვინტა კუდს და მთებს შუა გზის გასაყარს გახსნიდა. შენუღებოდა ღობრბლების ცემა, შენუღებობოდა სიჩქარე და ბოლოს სამყურა ღამპიონებით შემოცურდებოდა ფანჯარაში ბორჯომის პირველი სადგური - ჩარხის წყალო.

ბაკურიანის მატარებელი, როგორც წესი ივანიანება, მაგრამ უკვე აღარსად მტკვარებოდა. უკვე გადისული ვიყავი ბაქანზე, თბილასურები მოაჯირის იყო მიყუდებული. ჩვენი ბარბეკუი, ვიწრო ლიანდაგის ნაპირების ეწყო, სადაც მამას ვარაუდით, პირველი ვაგონი ჩამოვდებოდა. პაერი იყო ხავერდოვანი, მათობოდა; ალბათ ზეზუღად ღავიბინებდა, მაგრამ ვერ ვეუღლი იმას, რასაც ვხედავდი; რაც ზამირისბირის, თბილისურ ღამეებში მესიზმრებოდა; ვხედავდი ქვითკირის პატარა სადგურს, პაპაჩემი ნიკოლოზის დროინდელს რომ ეძახდა; ვხედავდი ღამპიონების შუქრიდელში საახალწლო ნაძებდად გაბმულ ზევიანს. ყინვით შეჭირხლულ გუბებს მთავრად აბრჭყვიალებდა. მოაჯირის იქით პატარა ქალაქის ფრადმენტი ანათებდა - ვესტერნის ქუჩასავით ჩადგომილიყო წყვედილის უღამპიონო... რამდენჯერ მანტარია, როგორ მომწერებოდა აქ ვაჯლით კი არა, სამუდამოდ ჩამოსვლა; ჩასახლეთა იმ ფიტრული სახლის ზურჯინით გადმოვიღებულ სართულზე; კუხის ფანჯარაში; საიდანაც სადგურიც მოსინანდა და ანელში გამკრთალი ხეობაც; მომწერებოდა იქ ფოფა, იქ ცხოვრობდა; იმ ფანჯრის რაფაზე გაკვეთილების მოზადება და სირაული მინერალური წყლის ქარხნის რაფვიან სკოლაში, საიდანაც პირდაპირ პროფტექნიკურ სასწავლებელში აბარებდნენ... არ ვიცი რატომ მქონდა ასეთი უცნაური სურვილი, რამე ვაჩინა ის, რა ასოციაციამ აღძრა ეს ოცნება იმდენად ძლიერი და მოშიდველი, რამდენადაც აუხუნელი.

მერე და მტრეც, როცა მანქანით დავიდიდი ამ გზაზე, ყოველთვის ხელას ვანუღებდი იმ სახლთან, იმ ფანჯარასთან... რაღაც წარმოდგენილი სევდა და სინანული მიპყრობდა ფანჯარაში მომწყვდილი, ჩემი ვერწყმდარი ცხოვრების გამო... და ვეწყვდიდი ამ გაუგებარ სინაულს, შევანატრიდი იმ ძველ მანარაბს, მის ჩაბნელებულ სარკელს როგორც სევდანარევი სასარულის იღუმალ წყაროს.

რატომ მემართებოდა ასე? რატომ მიზიდავდა სახლი, რომელშიც არათუ მიცხოვრია, არც კი შემიხედავს შივ. გულის იღუმალ გზათა და მონაკვეთზე, რა ძალამ ვახანდა ეს ადგილი ასე ძვირფასი ჩემთვის? ის არ მავინებდა ბორჯომის მთას, სადაც ვაგიზრობდი. ის იყო სრულიად უცხო, სრულიად შეუცნობელი შენობა, რომელსაც ერთი ნახვით თუ შევიცვარებდი, რათა მერე სამუდამოდ მყვარებოდა.

არა! ვეუღლავდნენ ვერ ვიცივცი არ მინდა იღუმალება დაეუკარგო ჩემს გრძობას! როგორ შეიძლება გადმოცეც ის, რაც მხოლოდ ჩემმა და ჩემთვის არსებობს? ის ჩემი გულის უკანა, არასილური მხარეა, რომელიც არასოდეს შეიძლება განათდეს და შემობრუნდეს გონებისკენ.

პატარა მატარებელი კი უკვე შედიოდა ჩარხის წყლის სადგურში. თითო-ორლა მგზავრის ჩრდილი ეცემოდა მიქრადი ვაგონის ფანჯრებს. ჩემოდნებით ჩახერგო კიბეზე მიჭირდა ასვლა. მასხენდება ტკივილი, მუხლით კრინის საყვეწურის რომ ვეუთქებოდი. ყინვიდან სიცხემი მიხვედრიდი, ხაზონ ორიენტაციას ვკარგავდი, მერე კი ღუმელთან ვჯდებოდი და კიდრე ჩვენები ბარგს ალაგებდნენ, გაეცქეროდი ბნელს მერეღუ შენობას, საიდანაც ახლა სადგურის ურუხის გამოვიდოდა (უფროსიც უკე იყო და უკეროსიც). დინჯად აღმართავდა ხელს და ზარს შემოკრავდა. შეუანჯღრდებდნენ ვაგონები, დაიკვილებდა ორიქმავალი და ქშინით შეუღებო-

და აღმართს.  
ქვანახშირის ღუმელთან საშინლად ცხებოდა. ორ ნაბიჯსაც ვერ დგამდა ღია კარდან შემოჭრილი ყინვა.  
სინდრების შუკი ორნავ აფერძკრთალებდა და ურჩხულის ღანდებდა ამხვერვებდა ღამის სინდრებს. ჩრდილი თამბიო თვალს მიჭრებოდა, მაგრამ ძილი მაინც არ შეკარებოდა. ამ სიზმარულად კონდუქტორიც ისე ვეღარ კონდუქტობოდა. მის ბუნდოვან სახეს აღარ ქქინდა გამორჩეულობის ძალა და სიმკვეთრე.

გარეთ, ფანჯრებს მოწოლილი ღამე შემუწნვლავ იცვლიდა ელფერს. და უეცრად ამ შემპარავ ფერიცვლავში მკვეთრი სინათლე იფეთქებდა! ლიანდაგის გასწვრივ თვალისმოჭრებოდა ანათება პირველი თოვლი! თოვლის დანახვის სიხარულს საზღვარი არ ქქინდა! ათასფერი ნაკველევი გასდევდა სუფთა თოვლივით მოფენილ განცდს და... იტიხებოდა რატორც მოთხრობა ჩემთვის უხილავ ტყის ბინადრთა შესახებ.

სტრიქონებს შორის მელიები და მტლები კურდღლებს დასდევდნენ. დაბაჯბაჯებდა დათვი, რომელსაც ჩემი დათოვნისი არ იყოს, ფოლადის თვავლით ქქინდა.

სასახლწლო ზღაპრებით იხსენებოდა და იტიხებოდა ზამთრის პატარ-პატარა ნოველებით და ტრავგელიებით სასვე ფურცლები.

მატარებლის ირგვლივ ათასნარად ტრიალებდა ტყე, თოვლის თიერი სულარა, როგორც საწურების პარკი, სადაღაც ზეცაში იყო ბავიით შეკრული და ხეობაში კალთა-კალთა გადმოპირქვავებული.

რა ანუქარის იტევდა ეს ქათქათა თოვლი? თავის თთახვარო მათეხარება და ღამესაც აფერძკრთალებდა? თოვლი იყო თუ მოთამაშე სხივთა არილი, მხოლოდ ტყეს რომ ეკუთვნოდა და მის ხელშეუხებელ სინდრებს ქქინდა. თითქმის იმას შეეცქეროდა, რისი მიწსწერეც ჯერ არავინ ყოფილია.

კივილით, ქშინით, ბავჯავით ავილივით ზვეით და ზვეით, საწურებებით სასვე პარკის სათაისსკენ და ყოველი სადღური, პატარა მატარებლის ყოველი ხულის მოთქმა დაუეწიწარი იყო.

ლიკანში დიდხანს ეწერდებოდი. ორთქლმავალი წყალს იღებდა და ბოლო აღმართისთვის ძალას იკრფოდა... ახლა ვეკითხები ჩემ თავს; სად წყავილება ამოდენა სიხარული, აქ რომ არ ამოვსულიყავი და ზამთარი თბილისში გამეტარებინა? სხვა გზას მონახავდა ალბათ, სახეს შეიცვლიდა და მაინც იფეთქებდა, რადგან ეს ნათელი ვანცდა დვითის წყალთბასავით თანმდევდა და როგორც პებელა ყოველთვის თავის ვევილს პოულებდა.


ორთქლმავალი უკვე იესებოდა წყლით. მზის მიღლიდინი ანათებდა ცას. სისხამ დილით გამოსული ქალბიო ვაგონებს შორის დარბოდნენ; მოქქინდოდა ზაჭაპურები, სოკო, ვიგონის მარცვლები, კვეცი... ბავჯავი-ბაკურიანის ტყე თავისი სივეპრილივით თავს მავნებოდა. მერე კი უკან-უკან მიდიოდა მომტრედისფერი სადგური, ქველით დავაგებულთა სანატრიოში. აღმართი სწორედ გადადიოდა, მატარებელი ხელას უმატებდა და ბორბლების თანაბარი ცემა ქქინდა ფანჯრებს ავეუნებული ტყის რიტმულ მუსიკას. უკვე ივრძინობდა აღმართა-მოვლილი და დასველებული ორიქმავლის ძალა; მოსახვევში მდის სხვევადი ფართოვებობა სივრცე. ტყე მინდვრებში გადადიოდა. იალქნებით ირწვიოდნენ ნაძვები. გზის ერთი შემობრუნებულ და ერთამხად იხსენებდა მარადმწვანე ფარღამიძეველ სხივებში, ღურჯრე ცის ფორზე კოხტა კონსერვი წვერი ჩნდებოდა, ზედ გაქმბული საბავირო გზით. მთელი ბაკურიანი ჩემს შესახვედრად მობრბოდა. ერთმანეთს ენაცვლებდნენ უღამპისი ხლები; იავგონს ველი, მთის ქუჩა, ტყე-

პარკი, მაგრამ მე აღარ შევცქეროდი მათ. მივაკონწალებდი ჩემს ჩანთას ლიანდაგის გასწვრივ, ბაქანზე. სადგურს შემოვურბენდი და ღრმა თოვლიდან ყინულის გზაზე, ზედ მარხილებთან გავდიოდი. ცხრაწაგის მთიდან ბურთითი ამოვარდნილი მზე თვალს მჭრიდა. საშინელი ყინვა მისუსხავდა ხელებს, მიწვაკავდა სახეს. მარხილს ზოგჯერ ვეღარ ვუსწრებდი და მასსოვს, ცივაზე დადებულ ბარჯს მივათრევდი მე, დედა და მამა ხეით, სადგურის ქუჩაზე. ეპ! როგორ ვერ ვპოულობ სიტყვას, როგორ ვერ ვამბობ, ვერ გამოვხატავ ჩემი მოგზაურობის გეოგრაფიის - წებონარკვი ხის კვამლით გაჟღერითილ დილას საახალწლოდ დამტკბარ სოფელით. ხეობიდან ღია სივრცეში გასვლის სიხარული აქ უსხარულოდ ფართოვებოდა და წინგადაშლილი ცხოვრების ნათელ მოლოდინს ქმნიდა.

მივათრევი ბარგით დატვირთულ ცივას სადგურის ქუჩაზე; მოყინულ დეღაზე გადავდიოდი და უკვე აფთიაქთან ზედ, სოფლის ცენტრში გავდიოდი.

არა! ვერ დავასრულებ გზას, ვიდრე ერთხელ კიდევ არ მივებურუნები ამ აღმართს, მზიური ველისკენ მიმავალს; რომელიც სახვს იყო რბილი, ზაფერლოვანი, ტანინიანი ღვინოსავით მათობებელა სინათლით. არ მშორდებოდა რწმენა, რომ კიდევ ბევრჯერ ამოვიდილი აქ და რასაც ამჯერად ვერ იტყვია ჩემი გული, იმას მერე და მერე გავეკუბედი გემოს. და ბოლო არ ეწებოდა აქ ჩემს სიცოცხლეს და ეს იქნებოდა არა მარტო აქ ყოფნა, არამედ მთელი ჩემი ცხოვრება აქაც და ქვევითაც, ქალაქში. ეს იქნებოდა სკოლაში პირველად წასვლის სიხარული, ბავშვობის მეგობრებთან პირველი შეხვედრა, პირველი სიყვარული, პირველად დათრობის გუსი; ეს იქნებოდა მთელი ჩემი ბავშვობა, ჩემი ცხოვრების ის სუფთა, აუღმერეველი ნაკადი, როცა ნამდვილად ვცხოვრობდი, როცა ყოველი დღე სასწაულივით ცხადდებოდა ჩემთვის. აი, რამოდენა მოლოდინს იტევდა სადგურის ქუჩის მზით მოიკოვრილი აღმართი სოფლის ცენტრამდე. როგორ იტყვია და ვყვები და მაინც ვერაფერს ვამბობ ხეობაში დარჩენილი უცნობილი სახლის შესახებ, რომელიც გამოიცანასავით მხვდებოდა გზაზე, აქამდე ვერ შემდგარი და მაინც იმედნაუქრობელი ცხოვრების შესახებ.

**პრილი**



**ბიხილ ქალიშვილ**

# ვაპირებ ცხოვრებას

## ავტობიოგრაფიული ჩანაწერება

75 წლის პოეტმა, მიხეილ ქელივიძემ, თავისი მემუარული ჩანაწერების პირველი ნიშნა ჟურნალ "ვისკარში" გამოაქვეყნა (2000 წლის, N1,2,3). ეს-ბრუნებები ავტობიოგრაფიული და გაქვეყნებები ერთ ნაწილს "ვაპირებ ცხოვრების" მეორე ნიშნადან. რედაქცია.

### უსათაურო ანუ ჩემი "ლოგი-ყოფილი"

ეს ჩანაწერები, ჩემთვის შეუმჩნევლად, "თავისთავად" იქმნებოდა მთელი ცხოვრების განმავლობაში. ვწერდი მათში, როცა დღესი არ მენერვებოდა და ზოგი მთავანი ლექსის ეკვივალენტი გონია. ასეა თუ ისე, ჩემი ჩანახატები, ზნეობრივი და ფილოსოფიური სენტენციები (ღმერთმა დამიფაროს, არც მონტეს, არც ლაონოშუკოს თავს არ ვადარებ!), რაღაცნაირად წარმოადგენს ჩემს პიროვნებას და ამიტომ საჭიროდ მივიჩნევი შემეტანა ჩემს "ავტობიოგრაფიულ ნარკვევში". მკითხველმა განსაჯოს, რამდენად სწორად მოვიქციე.

უსარგებლო ფირი \* \* \*  
დროს საშუალება! გონება, ჩვენ, არა მარტო დისტრატციების დასაწერად, გართობისთვისაც მოგვცა ლმერთმა! შემოქმედი კაცი, მზატვარი, სიკვდილამდე ბავშვია და ტვინი, როგორც საყვარელი სათამაშო, მას არასდროს მოებზრდებ! დროცა და სივრცეც, წარსულიცა და აწმყოც, მომავალიც და უსაზღვრო კოსმოსიც - ყოველივე ეს გონების სრულ განვარტულებშია! საბარლონი არიან, ვისაც ამ სიმდიდრის გამოყენება არ შეუძლია!

მაგრამ ფირი აუცილებლად უსარგებლო უნდა იყოს - პრაქტიკულ ინტერესს მოკლებული! იგი უნდა გვიტაცებდეს, გვაღაღებდეს, გვართობდეს, - ამ "გართობაში" კი ბევრი რამ იგულისხმება: ძიების აზარტაცია და აღმოჩენის სიხარულიც!

თავს იღარიბებს, ვინც მხოლოდ აწმყოში ცხოვრობს! უფალმა, ჩვენ მოგონებისა და ფანტაზიის, ანუ დროში გადნაცვლების უნარიც მოგვანიჭა... ამის შესახებ, კარგად წერს კურტ ვონეგუტი თავის რომანში "სასაკალი N5": "ქ-მი რომანის გმირი ბიძი პილიგრიმი დროს გამოეთიშა - 50 წლის კაცი იყო, უკვე დაქვრივებული, როცა დაიძინა და თავისი

ქორწინების დღეს, 20 წლის ასაკში გამოვლენისა მერმე უხილავი კარი შეაღო და 70 წლისა გახდა. ბილის თქმით, არავითხელ გაუვლია თავისი ცხოვრების გზა - დაბადებიდან სიკვდილამდე. იგი განსუყვეტილი მოგზაურობს დროში და ზოგჯერ თვითონაც არ იცის, დღეს სად აღმოჩნდება: ბავშვობაში, ახალგაზრდობაში თუ სიჭარბაგეში? "სიკვდილი არ არსებობს, - აცხადებს ბილი, - გარდაცვილი აღდამიანუ შოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ იგი ამჟამად "ცუდად გამოიყურება", რადგან დროის სხვა მონაკვეთში, მაგალითად, წარსულში - იგი ცოცხალია. ამიტომ სისულელა მკვდრის დატრეხა... დრო კრიალისას შესაღება და მისი ყოველი მძივი - წარსულიც, აწმყოც და მომავალიც, - მუდამ ჩვენი განკარგულებაშია, როგორც ჩვენი მოქმედების ასპარეზი"...

რა დიდებული, მანუგუმებული აზრია!

**სიბერე** - სიცოცხლესთან გაჭიანურებული გამოთხოვება, უსიამოვნო და ძნელად ასატანი. მაგრამ, ამავე დროს, იგი სიცოცხლის გახანგრძლივების ერთადერთი საშუალებაცაა, რადგან სხვა ვარიანტი არ არსებობს!

თუ კარგად ვიცით, რაზე ვწერთ, მით უმეტეს, სიმართლეს თუ ვწერთ, შეგვიძლია ბევრი რამ გამოვტოვოთ - მკითხველი თვითონ მიხვდება.

რატომ არის, რომ გამოუცდელი კაცის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება უფრო სასტიკი და უღმობიერია, ვიდრე გამოცდილი ბოროტმოქმედის დანაშაული?

**ანწყო** - უსასრულოდ მცირე მონაკვეთია ჩასუნთქვასა და ამოსუნთქვას შორის და ჩვენ, ფაქტობრივად, მხოლოდ წარსულში და მომავალში ვცხოვრობთ!

უცხოელები "გენაცვალეს" და "შენი ჭირიმეს" იმიტომ ვერ თარგმნიან, რომ ამ გამოთქმების შესატყვისი განცდა არ გააჩნიათ, თორემ იმათი ენა ქართულზე ღარიბი როდია.

ის, რაც სუყველას ეკუთვნის, სინამდვილეში არავისა - ეს ანბანური ჭეშმარიტება ვერა და ვერ გაიგვს კომუნისტებმა! მარქსი მაინც რამ გადარია, ის ხომ თვითონ მესაკუთრე იყო?!

ერთი ბანანია, უძველესი ქვეყნის პატივმოყვარე მოსახლეობმა (რომლებსაც "ქართველებს" უწოდებდნენ) თავიანთი ეროვნული ანბანის უკვდავსაყოფად, ქალაქის მოედანზე გრანიტის ლოდი აღმართეს და ზედ დაწერეს: "აქ "ღვინა-ენის" ძეგლი დაიდგებაო"... გავიდა ხანი და როცა იმ ქვეყანაში კოსმოდრომის მშენებლებმა მიწის ქანს გრანიტის ლოდზე ამოაყოფეს, მიელს დედამინაზე კანსაშენი არ აღმოჩნდა, რომ ის წარწერა ამოეციხათ!

\* \* \*

იქნებ შემოქმედება ჩვენი უსუსური მცდელობაა? გაკვირვების წამიერ განცდას უსასრულობის თვისება მივანიჭოთ?!

ქართველი კაცი ბუნებით მსახიობია და ყოველთვის ისეთი გატაცებითა და კმაყოფილებით თამაშობს თავის თავის როლს, რომ ხშირად არც აინტერესებს: რა სპექტაკლში მონაწილეობს?!

ბუნება ბრმა და გულგრილია. იგი ყოველად უზროდ, მექანიკურად ენება ჩვენს დამანგრეველ მუშაობას და აინუნსიც არ ადებებს ჩვენს ზრახვებსა და მისწრაფებებს!

პროვინცია რომ თბილისს ეტანება, კარგია - საქართველოს დედაქალაქი ძირითადად ქართველები უნდა სახლობდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ქალაქური ცხოვრების წესი, დღეს, სომეხმა შაიკანუშამ უუეთესად იცის, ვიდრე ქართველმა ფაცია-ბტოლამ!

ერთი ჩემი დაუნერული მოთხოვნის "კონსპექტი" მინდა შემოგათავაზოთ: ყველაფერი ქალაქის ერთმანეთისადმი ლტოლვით დაიწყო. მერმე, ეს ფიზიკური და სულიერი ლტოლვა, ეწ. "სიყვარული", საკუთრების გრძობაში გადაიზარდა და ეჭვიანობამ ცოლი იქამდე მიიყვანა, რომ მან "მოჰკლა" და დაივიწყა ქმარში - მაშაკაცი, ქმარმა კი (რაკი ცოლში მხოლოდ ეჭვიანობით ვალთავალეს ხედავდა), "მოჰკლა" და დაივიწყა ცოლში - დედაკაცი... მაგრამ ისინი მაინც ერთად იყვნენ და თითქმის უფერად კიდევ ერთმანეთი და ვერაფრით ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ სინამდვილეში მათ სიყვარული კი არა, - ერთად ჩადენილი ბოროტმოქმედება - სიყვარულის მკვლელობა ავაკმირებდა!

ნიჭი დანაშაულებითაა, რომელიც მხატვარმა თავისი შემოქმედებით უნდა გამოისყიდოს!

ნებისმიერი საზოგადოება სოციალურ ჯგუფებად, ანუ კლასებად იყოფა, მაგრამ არსებობს კიდევ სხვა, უფრო დიდგერწყული დაყოფა, რასაც ჩვენი არსებობისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მართლაც, რამდენია საზოგადოებაში ჭკვიანი და უჭკუო, პატიოსანი და თაღლითი, ბოროტი და კეთილი, ძუნწი და ხელგაშლილი...

საკვირველია, რომ "კლასთა ბრძოლის" მიმდევრებს ეს მხედველობიდან გამოჩრათ!

ერთი საყოფაცხოვრებო "კანონი" აღმოვაჩინე: ქალისადმი ჩვენი სიყვარული იმ ენერჯის უკუპროპორციულია, რაც ამ სიყვარულის მოსაპოვებლად (ანუ ქალის ხელში ჩასაგდებად!) დაგვეზარდა... განა ასე არ არის?

ნუ მოთხოვთ აღდამიანს იმაზე მეტს, რისი მოცემაც მას თვითონ, ნებაყოფლობით უნდა... მაშინ ყველანი

ბედნიერი ვიწებები!

ქართველ კაცს ლექსის წერის (საერთოდ, შემოქმედების) თანდაყოლილი ნიჭი აქვს. მაგრამ არაფერს ისე კარგად და ისეთი შთაგონებით არ წერენ ჩვენში, როგორც ნეკროლოგს (გარდაცვლილი ადამიანისთვის ტკბილი სიტყვა არ გვეწაფება).

სადღეგრძელის თქმაშიც მარჯვენი ვართ, რადგან სადღეგრძელო სშირად ნიღაბია ნამდვილი გრძობის დასაფარავად და სადღეგრძელის მოქმელი, თავის გამოჩენას უფრო ცდილობს, ვიდრე მოყვასის დაფასებას!

როგორი მომხიბვლელი და სასურველიც არ უნდა იყოს ქალი, შეილს დედასთან ქუჩაში გავლა არ უნდა ეუხერხულებოდეს! ჩვენმა დედებმა ყოველთვის იცოდნენ ქალური თავდაჭერისა და მისრა-მოხრის ეს საიდუმლოება. ნუთუ ახლა დაივიწყეს?

ერთ ჩემს ნაცნობ პოეტს იმდენად დიდი წარმოდგენა ჰქონდა საკუთარ თავზე, თვითონვე რცხვენოდა ამის, კრიტიკადა თავის ღირსებებზე ლაპარაკს და ამიტომ უაღრესად თავმდაბალ კაცად თვლიდნენ.

ჩემი დაკვირვებით, ადამიანს ხუთი შეგრძნების გარდა, კიდევ ერთი, გარდაუვალი აღსასრულის შეგრძნებაც აქვს... თუ მიგიტყვიათ ყურადღება, რა ნაღვლიანი თვალებით იყურება ახალშობილი ბავშვი?

სიყვარული რწმენა და ყველანაირ ცოდნას აღემატება საყვარელ არსებაზე ხშირად არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ გვიყვარს და ეს ჩვენთვის საკმარისია. სამაგიეროდ, კარგად შეგვიძლია დავახსიათოთ ადამიანი, ვის მიმართაც სრულებით გულგრილი ვართ.

ამას წინათ, ბალზაჟი გადავიკითხე საყურადღებოა გოლსტეის ევოლუცია... თავიდან, გამდიდრება მისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საშუალება იყო: ამის გამო განიცდიდა გაჭირვებას და დამცირებას, ყველაფერს იკლებდა, კაპიკ-კაპიკ ფულს აგროვებდა, რომ შეძლებული კაცი გამხდარიყო. იგი ფიქრობდა: ყოველთვის ასე ხომ არ ვიქნები, დოვლათს დავაგროვებ, შეძლებული კაცი გახდები და ბედნიერად ვიცხოვრებო... მაგრამ მიზანი შორს იყო და დროთა ვითარებაში, გოლსტეი იმდენად შეეჩვია თავის მათხოვრულ ყოფას, რომ დაივიწყა ის, რისკენაც მისწრაფოდა. იგი უკვე აღარ ვარგოდა იმ მომავალი "ბედნიერი ცხოვრებისთვის" და ამიერიდან, მხოლოდ შიმშილის, დამცირებისა და უუფლებობის პირობებში შეეძლო არსებობა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ბედნიერი ცხოვრების მიღწევის საშუალება - მატერიალური დოვლათის დაგროვება, - გომსეკისათვის ცხოვრების მიზნად გადაიქცა... დასკვნა ასეთია: წინააღმდეგ მარქსისტული მოძღვრებისა, ნებისმიერი მიზნის მისაღწევად მარტო ის საშუალება გამოადგება, რომლის მეშვეობითაც მიღწეული მიზანი, თავის პირვანდელ სახეს არ კარგავს...

ორთაბრძოლაში მოგებული ის არის, ვინც გამარჯვებულად კი თავის "მეობას" შეინარჩუნებს!

სასენი ნიშნების მტერი არ ვარ, მაგრამ ბოლო ხანს ძახილის ნიშანი შემწულდა. ჩემი ნება რომ იყოს, გავაუქმებდი... თუმცა, ამით არ შეიცვლება?

საკულტო ნაგებობა, - ქართული ტაძარი იქნება თუ გოთური ეკლესია, - ხელთუქმნელს ჰგავს: იგი ბუნებასთან ორგანულად შერწყმულია და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქო, ხესვანი, მიწიდან იყოს ამოზრდილი... ამას ვერ ვიტყვით სამოქალაქო ან სანარმოო დანიშნულების შემოებზე, თვით არქიტექტურულ შედეგებზეც კი, ცოცხალი ბუნების ხელოვნურ დანამატებად რომ გამოიყურებინა!

ერთმა ახალგაზრდა მწერალმა ბრძენსა ჰკითხა: მშობლიური ენის გარდა, უცხო ენებზე ვიცი და რომელ ენაზე ვწერო? ბრძენმა უპასუხა: იმ ენაზე წერე, რა ენაზეც ლოცულობო... ჩემი აზრით, ენის არჩევანზე თუ მიდგა საქმე, იმ ენაზე უნდა ვწერო, რა ენაზეც დავიძახებთ: "ვაი, დედაო!", როცა არიშეს ვიტყვით!

ვინმეს უნდა ეჭირდებოდეთ, - მარტო მაშინ იქნება ჩვენი არსებობა გამართლებული!

ადამიანს თუ პასუხს ვაგებინებთ მისი შეხედულებების გამო, მაშინ უნდა მოეთხოვოთ პასუხი იმ მოვლენებისთვისაც, რამაც ეს შეხედულებები განაპირობა, ეს კი აშკარა უსამართლობა იქნებოდა!

ადამიანი, თუ მას ყოველივე არსებულის ნაწილად არ წარმოუდგენია თავისი თავი, შეუძლებელია ბედნიერი იყოს.

ერთმაშად და მოკლედ ბევრს რომ იტყვი, ესაა ლექსი!

რაც დრო გადის, ჩემში თანდათან იკლებს საკუთარი თავის შეცოდების გრძობა და მოყვასისადმი უფრო მეტი თანაგრძნობი ვიშკვალავი. იქნებ, ის პირვანდელი, ლტოაბრივი სანყისი იღვიძებს ჩემში, აღსასრულს რომ ვუახლოვდები?

საკვირველია, მაგრამ მექვამე კაცს, ლექსის მოსმენა არ მიყვარს! პოეზია, ალბათ, ფერწერას უფრო ჰგავს, ვიდრე მუსიკას და ლექსის აღქმა შინაგანი მხედველობის საშუალებით ხდება!

რწმენა თუ არ გაგაწნია, მახვილს წუ ამოიღებ, რადგან ბრძოლას მხოლოდ მიზანი აკვიტლობს: უმიზნოდ მებრძოლი - მოღალატეზე უარესია!

პოეზიაში მოყვარულებს არაფერი ესაქმებათ: მუხასთან არშიყობა არ შეიძლება - იგი თავდევინწყებით უნდა გიყვარდეს!

დადისარ, ხედები ქალებს, მათ შორის, შემთხვევით, შეიძლება ისიც შეგხვდეს, ვისაც შეიყვარებდი, რომ იცნობდე, მაგრამ შემთხვევით არ იცნობ და სხვა შეგიყვარდება, ვისაც ასევე შემთხვევით შეხვდი და გაიცანი... ასე, ჩვეულებრივი შემთხვევითობა შენი ცხოვრების ბედისწერად იქცევა... ნუთუ მარტო შემთხვევაა ის, რასაც ბედისწერას ვუძახით?

შიშით დაზაფრული - ერთია, მშიშარა - სხვა! შიშმა შეიძლება ადამიანი გაგულებდეს მიყვანოს, მაგრამ ლაშრულ, უპატროსო სატყევეს არ ჩაადენინებს. მშიშარა კაცი კი, ბუნებით პატიოსანიც რომ იყოს, არავითარ სისასაგღეს არ მოერიდება სულიერი სიმშვიდისა და თავისი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად!

ხშირად მეჩვენება, თითქოს რაღაც ისეთი ვიცი, რაც სხვებმა არ იციან, მაგრამ რა ვიცი - ვერ მიგმზადვარ!

"ღრმა აზრი" სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მისი სიტყვიერი გამოხატულება აუცილებლად ბუნდოვანი და გაუგებარი უნდა იყოს. პირიქით - სწორედ რთული და არაგანაღმურნი აზრი უნდა გამოითქვას უბრალოდ და დასაგებად, რომ მკითხველმა არ იგაძმოს მწერლის "უპირატესობა", მიენდოს მას და ადვილად გაითავისოს მისი ნათქვამი...

"გონებრივი დაღმრთობა" შეიძლება ვუნოდოდო პოეტების პროფესიულ დაავადებას, როცა ისინი მართალსა და ტყუილს, სინამდვილესა და ფანტაზიას ერთმანეთისგან ვერ ასხვავებენ...

ის კაცი სულ თავის თავს უსმენდა, მაშინაც კი, როცა სხვას ელაპარაკებოდა!

ღმერთო ჩემო, რამდენი უსიამოვნება ხდება ქვეყანაზე, თუნდაც ისეთი, პირადად ჩვენ რომ არ გვეყება?! რატომ გვინდა მაინცდამაინც ყველაფერი ვიცოდეთ? განა უფრო ხელსაყრელი არ იქნებოდა თავი მოგვეტყუებინა, ვითომ არაფერი არ ვიცით?!

კარგ აზრს რა საშობია! სამწუხაროდ, საზოგადოებაში ყოველთვის მოიძებნება ერთი სულელი, ვინც მეთოდურად და თანამომდევრულად თქვენს აზრს აბსურდამდე მიყვანს!

ქალთან ფიზიკური სიახლოვე, პირადად ჩემთვის, მარტო ფიზიკური სიახლოვეა - უდიდესი სიამოვნების წყარო. "სიყვარული" ამასთან არაფერ შუაშია, მით უმეტეს - "ლაღატი", "ერთგულება" და სხვა ამისთანები!

ცირკის არენაზე გამოსული ჯამბაზი ალყაში მოქცეულ მწობარსა შვავს. სცენა სხვა: ვაჟკაცურია, როგორც დელი, მსახიობისა და მასურებლის პირისპირ შყვარ!

უპატრონოა თვითონ, ვისაც არავინ შვავს საპატრონებელი!

უღირს მტერთან ბრძოლაში გამარჯვების სირცხვილს, განა არ ჯობია - ღირსეულ მტერთან დამარცხების სიამაყე განიცადო?!

ისტორია - მუნჯი კინოფილმივითაა: ყოველი ახალი თოპა თავის ნება-სურვილით ამზოვანებს მას და თავისი მოთხოვნისთვის მიხედვით ალაპარაკებს მოქმედ პირებს. მთავარია, არტიკულაცია არ დაირღვეს და ახალი ტექსტი ისტორიულ პირთა ტუჩების მოძრაობას შესაბამებოდეს!

ჩეხოვის პიესებში უდიდესი სულიერი კატასტროფები ხდება, მოქმედი პირები კი ყოველად უმნიშვნელო, წვრილმან საკითხებზე საუბრობენ... ეს გენიალური "თავისებურება" უაღრესად ართულებს ჩეხოვის პიესების თარგმანს.

კურტ ვონეგუტი წერს: "ღმერთმა დედამინა შექმინა, მაღიდან დახედა და თქვა: ცოცხალი არსებაც საჭიროა, რომ ვიღაცამ დაინახოს ჩვენი ნამოქმედარი... მერე თიხა აიღო და მინაზე ცხოველები, ფრინველები და ქვეწარმავლები მოაშენა. მათ შორის ადამიანიც იყო - ერთადერთი, ვისაც ლაპარაკი შეეძლო. ადამიანმა მიმოიხედა და იკითხა: "რა აზრი აქვს ყოველივე ამას?" "შენ გგონია, ამას აზრაც უნდა ჰქონდეს?" "რასაკვირველია!" მაშინ შენთვის მომინდვია ამის გამოცნობაო, - თქვა უფალმა და გაუწინარდა".

სიბრწყისა და სპორტიტი არანორმალური გატაცების ბრალია, რომ ლიტერატურაში გამარჯვებულებს და "მომპონებს" ვეჭვობთ ვინ ვის აჯობა, პირველობა ვინ მოიპოვა? მაგრამ მწერლობა ჩემპიონატი როდია. ლიტერატურაში "პირველი ადგილი", ჩვეულებრივად, რამდენიმე მწერალს ეკუთვნის - კარგსა და სხვადასხვანაირს და მხოლოდ ისტორიულ პერსპექტივაში ნიშანდებლებით ჩანან: გურამიშვილი, ბარათაშვილი, ვაჟ-ფშაველა, გალაკტიონი...

უფლის ქმედებაში ჩვენ მხოლოდ სიკეთის ამოცნობა შეგვიძლია, სხვა მისი ნამოქმედარი ჩვენს განსჯას არ ექვემდებარება.

რა ცოტა უნდა რუს გოგონას, რომ მზეთუნახავი გახდეს: შიშველ ტანზე გახუნებული ჩითის სარაფანი, იაფფასიანი "ბასანოუკები" და ომში დაღუპული მამის საველე ჩანთა მზარზე გადაკიდებული!

თეორეა გეომეტრიული



\*\*\*

ის მგლები,  
შენს ბავშვობაში რომ ყმულდენ,  
რაღაცით მჯობნიან;  
ის მგლები,  
როცა ჯერ კიდევ პატარა იყავი  
და არც ამოდენა მთა-გორები ამოგზრდოდა,  
და არც ამოდენა მთვარე ამოგდოდა,  
ისევ ყმუიან,  
როგორც ადრე, შენს ბავშვობაში,  
და მართალია, ზამთარშიც კი გაიშვიათდა მათი ყმუილი,  
თუ შეემუღულებენ, ისევ ისე, როგორც ადრე,  
როგორც წლების წინ,  
და რაღაცით მჯობნიან მგლები,  
რადგან ჩემი ყმუილი სევდისაგან დაიშრიტა,  
რადგან მე მახსოვს...  
რადგან შენ აღარ ხარ  
და დიდი ხანია, შენს მაგივრად შენს ხსოვნას

ყუფრთხილდებით,

წლები მიდის, ხსოვნა იზრდება  
და ჩვენ ყველას გეხარია,  
რომ ასე გვახსოვხარ,  
და ვერ ვამჩნევთ  
ამ ხსოვნისაგან თავად როგორ პატარავლები...  
და ამითაც მჯობნიან მგლები.  
განა მათ ახსოვთ შარშანდელი მთვარე ანდა

შარშანწინდელი შიშხილობა,

მე კი ყველაფერი მამახსოვრდება  
და ამ ხსოვნისგან მეცითება საცეცხბი.  
უნდა როგორმე გაიღალატო,  
უნდა როგორმე შევიძულო,  
უნდა გაგყოლო  
და ბოლოს საერთოდ გადავივიწყო,  
რომ მერე, როცა სახე მთვარე ამოვორდება,  
მგლის მშობერი კუჭითი ამეწვას უშენობა,  
დაგაიჭო, შემოგყმუვლო  
და შემოგბრუნდეს...

\*\*\*

არის დრო დღე-ღამეში,  
როცა მე მართლა თავის უფალი ვარ,  
გამოღვიძება,  
როცა ღამის კომპარები გამდნარი ცვილივით  
ტრიალებენ თავში,

როცა შემიძლია მათგან ნებისმიერი რამ გამოვგრწო  
ანდა სულაც ფეხებზე მივიკრა,  
რათა მერე ფეხშიშველად აღვიბეჭლო დედამისა,  
ანდა პაწაწინა ლექსები გამოვგრწო,  
ანდა იმედია დღის განრავი,  
ან კიდევ რაღაც...  
არის დრო დღე-ღამეში,  
როცა მე განვსაზღვრავ ჩემს ბედისწერას  
და თუ რამე მომეკითხება,  
ნუ მომკითხავთ დღისთვის, ნურც ღამისთვის,  
მხოლოდ გამოღვიძებისთვის მაგებინეთ პასუხი...

ნაცრისფერი ლაიტმოტივი

ლაუგველი კობეპი,  
მაკულატურადაც უკარგისი, გადაყრილი წიგნების გროვა  
და ათასგვარი ხარახურა  
მაცილებს მე  
ბნელი სარდაფის ლაბირინთებში.  
მარცხნივ, მარჯვნივ, ისევ მარცხნივ,  
ცალ ხელში ხანთლით,  
მეორეში გასაღებით,  
ძლიერ ვაზერებ აუხსნა ბოქლომი.  
რკინის კარი ხანამ ჩარჩოს მოსცილდება,  
ერთხელ ცივად გაიხამურებს  
და უკვე აქა ვარ, აქ,  
საკუთარ სამფლობელოში,  
რომელიც ორი ათეული წლის წინ  
ბინასთან ერთად ერგოთ ჩემს მშობლებს  
უსარგებლო ნივთების და ზამთრის მარაგის  
შესანახავად.

მე უკვე აღარა ვარ პატარა

და შიშხაც,  
დიდი ხანია, კძლივ,  
და ამათაც,  
დიდი ხანია, შევეგუე, -  
სარდაფის ბინადრებს,  
რომლებიც, არ ვიცი, რა ხნიდან,  
მაგრამ ნამდვილად აქ სახლობენ,  
ამ ხუთიოდ კვადრატულ მეტრში...  
ისინი ნამდვილად ადამიანები არიან,  
ყოველ შემთხვევაში, ადამიანის აქეთ თავი, ტანი,  
ხელი და ფეხი,


ტანზეც ჩვენსავით ტანსაცმელი აცვიათ,  
ოღონდ დაძინიძლი,  
და კიდევ -  
ფერი აქეთ განურჩევლად ნაცრისფერი,  
თუ შემთხვევით ხანთლის ალმა  
ყვითლად არ გადაუბინა ჩამქრალ სახეებზე.  
მე არ ვიცი, როგორ ცხოვრობენ ისინი აქ,  
ამ ნაკეტულ სივრცეში,  
მაგრამ შევეჩვიე მათ არსებობას.  
ერთად, მაგალითად,  
აი ამ მამჩემისდროინდელი და მოწწული ოცლიტრიანის  
უკან ცხოვრობს,

მეორე - უზარმაზარ ჩანთის ეფარება,  
რომელშიც ნახმარი ფეხსაცმელები და  
კიდევ რაღაცეებია,

მესამე და მეოთხე -  
 ძველი თუჯის ფეხის ქვეშ ცხოვრობენ,  
 მეხუთე - მესამე თაროზე  
 საფარის გარეშე კუთხეშია მიკუნჭული,  
 და ასე შემდეგ...  
 მათით საესე არის მთელი სარდაფი.  
 მაგრამ ჩემთვის სრულიად გაუგებარია მათი ცხოვრება,  
 გაუგებარია, რა ასულდგმულებთ,  
 რადგან აქ,  
 ამ ხუთიოდ კვადრატულ მეტრში,  
 არაფერი არ იცვლება მათი არსებობით.  
 ისინი არასდროს არ იპარაკენ არანაირ საჭმელს,  
 არც არანაირ კვალს არ ტოვებენ,  
 მხოლოდ სუნთქვა,  
 ერთდროულად მშვიდიცა და დამაბულიც,  
 მახვედრებს, რომ ცოცხლები არიან,  
 და თითქოს ერთადერთი რამ სჭირდებათ -  
 არ შევიძინაო  
 და არ დავარღვიო მათი საკრალური წესრიგი...  
 მხოლოდ გასვლისას,  
 როცა, მაგალითად, საიმიდოდ დაეახინავენ მაცვლის მურაბას,  
 მქნევენა, რომ ისინი  
 დაბუჭებული სხეულებით დგებიან ფეხზე,  
 შლიან ხელებს  
 და ნაცრისფერი ყვავებივით მშვიდი რწყვით მიმაცილებენ.  
 და მერე, ღამით, დაძინების წინ  
 თბილ საწოლში  
 არ მცილდება მათი ხატება.  
 ზოგჯერ ვფიქრობ,  
 რომ რაღაც უსაშველო, უფორმო დემონი ვარ  
 და ღმერთების მთელი მოდგმა ბნელ სარდაფში მყავს  
 ჩაკეტლით,  
 ზოგჯერ პირიქით,  
 თავი კაცობრიობის მხსნელი მგონია,  
 რადგან ყურადღებით ვინაზავ უწმინდურებით საესე  
 დილევის გასაღებს...  
 ისიც მიფიქრია, გამოუვაზო მილიციას  
 და ეს ველურები წაეყვანინო საღმე,  
 სადაც ასწავლიან ცხოვრებას  
 ჩვენსაირს,  
 მაგრამ მილიცია სახელმწიფოს ნაწილია,  
 სახელმწიფოს კი არ სცალია ჩემი სარდაფის ბინადრებისთვის.  
 ასეც და ისეც,  
 მე ვგრძნობ რაღაც უცნაურ პასუხისმგებლობას,  
 რასაც ისიც ამძაფრებს, რომ ასე მგონია,  
 თითხმებით-თექვსმეტი წლისანი არიან  
 და არც იცვლებიან,  
 არც ზღებიან, არც სუქლებიან  
 და ყველაზე ცუდი ისაა,  
 რომ არაფერი არ იცვლება წლების მანძილზე...  
 და კიდევ ერთი,  
 ღამდამობით,  
 იმ ნაცრისფერ მოქანავე ლანდებთან ერთად,  
 მახსენდება ხოლმე საბავშო ბაღის ბოლო ზეიმი,  
 როცა უკვე დიღებს -  
 ხუთი წლისისებს,  
 სტუმრად გვეწვიენენ ბავშვთა სახლის აღსაზრდელები.  
 ისინი უკვე სკოლის ასაკის იყვნენ

და რაღაც პიონერულ, ჩეკისტურ მონტაჟს წარმოადგენდნენ,  
 და მასხოეს კიდეც ერთი, ნაცრისფერი, თავხოტორა ბიჭი,  
 რომელიც მონტაჟში მონაწილეობას არ იღებდა,  
 მას ევალა ორიბისხელა მუყაოს ლენინის უკან დგომა,  
 რომ ბელადის ფიგურა  
 შუა სცენაზე არ წაქცეულიყო.  
 და თუკი ზოგჯერ თავს გამოისწევდა  
 და არაფრისმითქმელი თვალებით დარბაზს გამოხედავდა,  
 უმკაცრესი მასწავლებლის მხერა აიბულებდა -  
 ისეც დამალულიყო,  
 და ნაცრისფერი ბავშვების გროვა გვიმღეროდა  
 სიმღერას დედაზე.  
 ეს მოგონება, რა თქმა უნდა, ზედმეტად  
 სენტიმენტალურია,  
 მაგრამ რატომღაც იმ ბიჭის სახეც  
 მოდის ხოლმე მოქანავე ლანდებთან ერთად  
 და თითქოს ერთად მოხოვენ ხოლმე პასუხს რაღაცაზე,  
 და ვერაფრით ვერ გავიგე,  
 აქეთ თუ არა რამე საერთო...  
 წლები მიდინ,  
 არაფერა არ იცვლება  
 და მეც იმათი უზნაურო არსებობა  
 მიწყვება უცვლელ ლაიტმოტივად.  
 ხოლო კედელზე, შემოსასვლელში, საშუალო ზომის  
 ლურსმანზე,  
 კილია მოდილო გასაღები,  
 კილია ისე,  
 როგორც შეიძლება გასაღები ეკიდოს -  
 ჩვეულებრივად,  
 მაგრამ მე სულ ველოდები მოვიდეს ვინმე,  
 მითხოვოს, გადაიბაროს  
 და დამამშვიდოს,  
 რომ მე არაფერი მომიკითხება...

სიმონ



# კონრადი და ზღვა



კონრად კონრადის გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ, ნიუ-იორკში ვარ და ვინ იცის, უკვე მერამდენედ ვკითხულობ მის ნაწერებს; უცნაურია, მაგრამ მათ შორის ყველაზე მეტად "საიდუმლო აგენტი" მომწონს და საერთოდ, კონრადის მხოლოდ იმ ნივნებს ვანიჭებ უპირატესობას, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ზღვასთან და მუზღაურების ბასთან ("ოქროს ისარი", "დასავლეთის თვალი", "ნოსტრომო", "წყვიდანის გული"). თუკი ამ დიადი რომანტიკოსის შემოქმედებას პუბლიკაც ასეთივე განაჩენს გამოუტანს, მისი საბრალლო სული, ალბათ საბოლოოდ დამშვიდდება. კონრადი ხომ სწორად იმეორებდა, რომ ზღვა სულაც არ იყო მისი საყვარელი თემა, იგი გაეყვარა ზღვას, როგორც მობეზრებულ საყვარელს, ძულდა იგი უღონო კაცის სიძულელით, რომელიც ზამთრის შტორმთან ღამეში არაერთხელ შერკინებია სველი ბაგირის უსასრულო იარაღებს; იგი ოცნებობდა მოშორებოდა ზღვას, თავი დაეღწია მასთან დაკავშირებული მოგონებებისგან და განუწყვეტლოვ იმეორებდა კრისტინა როსეტის უკანასკნელ სტრიქონებს: "ზადლობა ღმერთს, მალე ჩავალთ იქ, სადაც ზღვა არაა".

კონრადისთვის დამახასიათებელი უცნაური, აღმოსავლური თავაზიანობა გამოცემას იწვევდა. იგი ყველაზე ბუნებების წინაშეც კი ქედს იხრიდა, ფეხებზე ვეკებოდა; ადამიანებს ნაზად ეხებოდა, თავს ხრიდა და ქებით აღსაქვ სიტყვებით ესაღმებოდა მათ. ეს საღამო ტახტზე დაბრმანებულ რუს მეფესაც კი შემატებდა მედიდურობას. ვიმეორებ, მე ვხედავდი, როგორ თამაშობდა იგი ამ აღმოსავლურ სპექტაკლს მუშის მოხუცებული ცოლის წინაშე, თავისი ვაჟის ძიძისა და ჩემს თვალწინ, ლორდთა პალატის წევრ ბატონებთან: გორთან, გარნეტთან და გოლსუორისთან, ლვილ შვილთან, თორმეტი წლის ბიჭუნასთან და წვეროსან, სახედანაოქებულ, გამოყრუებულ გლეხებთან. ერთი

სიტყვით, იგი ყველას აჩვენებდა, რომ უყვარდა ადამიანები და უყვარდა ისინი ერთნაირად, განურჩევლად ნოდებისა და სქესისა. მან ირწმუნა, რომ ბრიტანელები ამავობდნენ თავიანთი ვიკინგური წარმომავლობითა და თავის აღმოსავლურ, ამირებულ თავაზიანობას აყოლილი, მოვალეობად მიიჩნევდა შემოქმედებით დროის უდიდეს ნაწილს ზღვის სივრცეების საზოტბოდ დაქარჯა - ტილბეროული დოკებიდან დანყებულ, პალმბრანგითა და სინდი-ჰედლით დამთავრებული.

საოცარი იყო, მაგრამ კონრადს თითქოს ბოლომდე არ ესმოდა (და ამავე დროს ესმოდა) ინგლისელთა ხასიათი. ამიტომაც არ შეეძლო თავისი უბადლო რომანი "სიჭაბუკე" ამ სიტყვებით არ დაეწყო:

"ეს მხოლოდ ინგლისში თუ მოხდებოდა, სადაც ზღვა და ადამიანები, შეიძლება ითქვას, ერთმანეთში აღწყვეცნ ზღვა ადამიანების ცხოვრებაში შემოდის, ადამიანებმა კი ბევრი რამ - ან სულაც



ყველაფერი - იციან ზღვის შესახებ". ილინოსელთან, ან რუსეთის მივარდნილი სოფლის მოსახლესთან შედარებით საშუალო ინგლისელის გონებაში ზღვა მართლაც უფრო დიდ ადგილს იკავებს, მაგრამ ეს სხვაობა მაინც არაა საგრძნობი. ისევე როგორც კონრადი, ჩემი თაობის ყველა ინგლისელი ბიჭუნად კითხულობდა მარიეტის წიგნებს და ათი-თორმეტი წლის ასაკში ყველანი სამხედრო გემების კაპიტნებად ან ფლოტის ადმირალებად წარმოვიდგენდით ხოლმე თავს. თუმცა ფანტაზიებით როდი ვკმაყოფილდებოდით; ახლანდელი ყმაწვილები კი "პიტერ სიმპლსაც" არ გადაულიან წასაკითხად. და მაინც, კონრადის ოსტატურად გათამაშებული ერთუზიანობით შეპყრობილი ინგლისელი (ჩვენი საუკუნის პირველი ან მეორე ათწლეულის ბინდარი) წიგნის გადაფურცვლისთანავე იბღინებოდა და თავს უწყალო ვიკინგად ან დრეკის შთამომავლად წარმოვიდგენდა, ან სულაც ნელსონის თანამებრძოლად, უარს შემთხვევაში კი, თანაშემწედ ბუნებით დატივროულ აესტრალიურ კლიპერზე. თითქოს ამის სამაგიეროდ ინგლისელი მხოლოდ ერთს მოითხოვდა კონრადისგან - ეწერა ზღვაზე და მხოლოდ ზღვაზე.

სასტიკი ბედის ირონია! მრავალი წლის მანძილზე თითქმის ყველა ინგლისელი, რომელსაც კონრადი იცნობდა, ზღვასთან იყო დაკავშირებული და მანაც, თავისი გამძაფრებული თვითშეგნებით, ცოტათი გადაატარებდა, როცა ასეთი შნიშვნელოვანი როლი მიაჩნტა ზღვას ინგლისელი ერის ისტორიაში - იმ ანგლოსაქსონურ დომბალში, საიდანაც ეს ერი იშვა.

ჩასულთა უმრავლესობა ლონდონში ჩარინგ-კროსის ან ვიქტორიას რკინიგზის სადგურებიდან ხვდებიან, რომელიც სამოცი მილითაა დაშორებული ზღვასა და გემებს. ასეთი მგზავრებისათვის ლონდონი - ქალაქი ლონდონია. შკითხეთ მათ და თუკი ცოტა რამ მაინც გაუგიათ ამ ქალაქის შესახებ, იმასაც მოკვრივდნენ ყურს, რომ სადაღაც ქალაქარეთ, ღმერთის მიერ დაწყებულ მხარეში, მართლაც დგანან გემები. ასე მაგალითად, ნიუ-იორკში საცხოვრებლად გადასული მიწაპოლისელები არ დავობს იმის თაობაზე, რომ სადაღაც ბეტერის მახლობლად ხომალდები დაცურავენ. ერთი სიტყვით, ორივე დაგეთანხმება, რომ ქალაქ ლონდონთან ერთად პორტი ლონდონი ან პორტი ნიუ-იორკიც არ უნდა დავივიწყოთ.

მაგრამ კონრადმა ლონდონში სხვა, ჯადოსნური მხრიდან შეაბიჯა: სამოცი მილის მანძილზე მიტოვავდა იგი დიდი კლეს შუა, სადაც გვერდინგვერდ, თევზებით წარგებულყენენ ხომალდები რუს-ვერცხლისფერი მდინარის ნაპირზე. მას ფუფუნების, შეუპოვრობის, მამაციობის, სიყოჩაღისა და სამარილიანობის სამყარო დახვდა, რომლის პირველ და უკანასკნელ სიქველდაც ხომალდის წყალში ჩაშვების უნარი ითვლებოდა. ასე როცა, კონრადისთვის დედაქალაქი პორტი-ლონდონი იყო.

როცა იგი წერდა: "ეს მხოლოდ ინგლისში შეიძლება იყოს მომდარიყო"-ო, კონრადი იმას გამოხატავდა, რაც იმ მომენტში მისთვის უზენაეს ჭეშმარიტებას წარმოადგენდა. მაშინაც კი, როცა ზღვა მიატოვა და "სიჭაბუკისა" და "წყვიდიანს გულს" წერას შეუდგა მივარდნილი სოფელ სტანფორდ-ლე-ჰოუპში, ექვსის თისიან ვაკეებზე ტემზის შესართავთან, იგი ჯერ კიდევ რჩებოდა ხომალდის სიჩრებიისა და მოქცევის ბის სმენადობის არეალში...



მწერლისთვის საზღვაო თემა ორმაგად სასიფთაო: როცა ზღვას ნაპირიდან უყურებ, იგი ჰორიზონტს ორ ნაწილად შკოფს; და თუკი ზღვაში გასული ადამიანების შესახებ დანერ, შესწ წიგნებს აუცილებლად საზღავემო ლიტერატურის რიგებს მიაკუთვნებენ. ასეთია უკანასკნელი შეურაცხყოფა, რომელიც კაცობრიობამ კაპიტან მარიეტს მიაყენა. არადა, მარიეტი, კონრადის პირველი მასწავლებელი, გაცილებით ნაკლებს წერდა ზღვაზე და მეტს ადამიანთა მიზნებსა და მისწრაფებებზე. კონრადი ზოგჯერ - შეიძლება ითქვას, ძალზე ხშირადაც - წყლის პირქუშ სტიქიას ადამიანის თვისებას ანიჭებდა; მარიეტი არასდროს მოქცეულა ასეთისთვის ზღვა მამწუხარო მოვალეობა იყო, რომელიც ზოგჯერ საფრთხეშიც გადაიზრდებოდა ხოლმე; კონრადისთვის კი ანგლოსაქსებისადმი (ვიკინგებისა და კლერკების შთამომავლებისადმი) პატივისცემის ნიშნად ზღვა ხშირად უზარმაზარ, ყოვლისმომცველ, ანთროპომორფულ ღვთაებად იქცეოდა, მრისხანე, უნიან, დამცინავ, მეფურ სტიქიად, რომელიც ხან ბრმა რისხვით აენთებოდა, ხანაც შშის ბრწყინვალეობაში ინახებოდა. "პიტერ სიმპლის" საშინელი შტორში არაფრით ჩამოუვარდება "ტაიფუნის" ქარიშხალს, მაგრამ იგი არაფრით არ შკავს ანთროპომორფული ღვთაების ახირებას.

მარიეტს ესმოდა, რომ მამაკაცების საწყარო ქალების გარეშე, ღამის უპორიზონტო საწყაროს წაბნობადგენდა და ამიტომაც ეს მწერალი ცდილობდა სიუ-

ვეტში თავის პერსონაჟთა სატრფოები შემოეყვანა. კონრადსაც იმავე პრობლემებთან ჰქონდა საქმე, მაგრამ უნარაღვს შემთხვევაში იგი საერთოდ არც ახუნენდა ქალებს, სამაგიეროდ უსქესო, ძმლავრ ტალღის ხატავდა ხოლმე და მათ ხან მამაკაცური რისხვის მძინევერე ლტოლვებით, ხან კი დახვეწილი ქალური სიკეთეუციო ახასიათებდა.

მაგრამ რაც უფრო შორდებოდა კონრადი საქალღველ სტეტიას, მის წიგნებში სულ უფრო ხშირად ჩნდებოდნენ ქალები და მამაკაცები, რომლებსაც არაფერი ჰქონდათ საერთო ზღვასთან. "სუფეტებში კი პოლიტიკური ინტრიგები და გამოგონილი სახელმწიფოების ხვედრი იკავებდა ძირითად ადგილს. "ნოსტრომო", პირველი დიადი წიგნი, რომელიც კონრადმა ზღვასთან განშორების შემდეგ დაწერა, მის პირველ პოლიტიკურ თხზულებად და ავტორის უსაყვარლეს რომანად იქცა. მასში ვერ კიდევ იგრძობა ადრეული შემოქმედებისთვის დამახასიათებელი გაქანება. ამ ნაწარმოების ასაგებად კონრადს მთელი ადამიანური კოსმოგონია დასჭირდა - მთელი რესპუბლიკა მართვის მექანიზმებით, კონსტიტუციით, ინტრიგებით, კომერციით, ინდუსტრიით, კორუფციით - და ქალთა უზარმაზარი გაღრევა, რომელსაც მისის გულდის პორტრეტი იწყებს.

მის პოლიტიკურ რომანებში ქალები უკვე არსებით როლს თამაშობდნენ, არადა, პოლიტიკური რომანები სულ უფრო მეტად იტაცებდა კონრადის წარმოსახვას. "საიდუმლო აგენტი" - საერთაშორისო კომუნისტური ორგანიზაციის შესახებ მოგიფიქრობს, სადაც მისი ვერლიკი "Deus ex Machina"-ს როლში გვევლინება; "ოქროს ისარი" - როიალისტების ინტრიგების შესახებაა, თანაც ყოველი ფრაზა მწერლის პირველი სიყვარულის, რიტას არსებითაა გამსჭვალული; "დასავლეთის თვალით" - ნიჰილისტების რუსულ-შვეიცარულ შეთქმულებას ეხება, რომელსაც ნისლივით ეფინება მისის გაღრინის ნეტარი და მშვენიერი სული.

თუმცა პოლიტიკური მოტივები კონრადის ადრეულ ნაწარმოებებში, მაღალიზური საზღვაო ესკაპადების აღწერისასაც იჩენდა თავს. "ოლმეირას ახირება" ჰოლანდიელთა მტაცებელურ ხასიათს ამხელდა, რომელთაც კუნძულიდან სუნელ-სანელებლები გაჰქონდათ; "პროგრესის ავანპოსტში" ავტორმა იმპერიალიზმის საზარელი და ცინიკური შიდაპირი დაგვანახა, "წყნადის გულში" კი ისეთი ენებითა და გატაცებით იხსენება ადამიანური ფარისევლობის, სისიბრისა და სისასტიკის (რა თქმა უნდა, გმირობისაც) იდუმალი მექანიზმი, რომ ძნელია სხვა რომელიმე ავტორთან ნახო ამგვარი რამ. სულის სიღრმეში კონრადი მონარქიისა და არისტოკრატის მომხრე რჩებოდა, პოლიტიკური მემარტყენიება მასში ინსტიტუტურ ეჭვებს იწვევდა და თავისდაუნებურად, ისე, რომ თავადაც ვერ ხვდებოდა ამას, კონრადის ყოველ წიგნში იგრძნობოდა ოცნება პოლონეთის სამეფოს რესტავრაციის გამო და იმ ძველი იერარქიის შესახებ, რომელსაც უპასუხისმგებლო, თავზუსტალელებული და უაღრესად დახვეწილი გემოვნების ბატონები უდგენ სათავეში. მხოლოდ ამაში ხვდავდა კონრადი კაცობრიობის ხსნის გზებს... მაგრამ პოეტი პოლონელ პანზე უფრო მაღლა დადგა და აღწერა მაღალიზაში, ოქროით, კაუჩუკითა და სისხლით გამდიდრებული ჰოლანდიელები, საზარელი ვამპირი ლეოპოლდ II, ლამის ყველაზე უნაშუსო

მეგზსზე, რომელიც კი ისტორიას ახსოვს - და ყველა ამ კომშარმა კონრადის როიალისტურ ლტოლვებსაც კი ძლია.

როგორც არ უნდა ყოფილიყო, იგი დიდ პოეტად და დიდ მწერლად დარჩა. ჩემი აზრით, ცოტა ვინმე თუ იყო დაჯილდოებული ადამიანის წინააღმდეგობებით აღსავსე ხასიათში შეღწევის ამგვარი უნარი... ჩემი ერთი მრავლისმცოდნე მეგობარი ამასწინათ შეეცადა აეხსნა იმის მიზეზები, თუ რატომ იკლო ნიუიორკში ამ დიდი მწერლისადმი ინტერესმა - ეს ქალაქი ხომ თხუთმეტოდე წლის წინ აღმერთებდა კონ-



ფოტო: მარია სომარიანი. აღწერა: ლეოპოლდ და მარია სომარიანი

რადს. მან თქვა, რომ კონრადი აღარავის დაინტერესებს, რადგანაც მის წიგნებში არაა აღწერილი მასობრივი მოძრაობები, არადა, სამყარო მუდამ წინ მიიწევს და ინდივიდისადმი მიძღვნილი წიგნები ვერ მიიტყვის პუბლიკის ყურადღებას, რომელიც სამყაროს მხოლოდ ამ მასობრივი მოძრაობებით აფასებს. არადა, ამგვარი შეხედულება სამყაროზე უბრალოდ მორიგი ფაზაა, ისეთივე წარმავალი, როგორც ყველა სხვა მოდა. დრამაში ფონმა დროებით პერსონაჟთა უფლებების უზურპირება მოახდინა, მაგრამ ისინი მაინც დაბრუნდებიან, მეფე დაბრუნდება თავის სამფლობელოში, ჩვენ ხომ ყველანი მეფეები ვართ, თუნდაც საკუთარი ფანჯარის მხარეში.

თარგმანი: მამუკ ზვალაძე

არქივი

საბავშვო  
მედიკალი  
ცენტრი

# ჰომეროსის წვნიანი

განულო ჰოსანანი



**მანუელ ვისენტე - ესპანელი მწერალი და ჟესის-ტი. არის ათამდე რომანი და მოთხრობების კრებულის ავტორი. სხვადასხვა დროს მიღებული აქვს "ალფაგუარას" (1997), "გონსალეს რუანოს", "ნადლის" პრემიები. ცხოვრობს ვალენსიაში.**

ღილის თერთმეტ საათზე პროფესორი სახლში მარტო იყო და ბიბლიოთეკის თაროებზე გამალებით ეძებდა რომელიმე პერიოკულ რომანს. მაგნიტოფონი ბეთჰოვენის მუსიკას უკრავდა. კაცი გულმოდგინედ სინჯავდა ყველა წიგნს, სანამ ბოლოს და ბოლოს მის ხელში ილიადას მოკარა-ყებულმა ასოებმა არ გაიბრწყინეს. როგორც იქნა მიავიცი! უმაღლესი მდიდრული გამოცემა. ამჯერად გადაშლა არც კი დასჭირვებია. რა ნაცნობი იყო ღმერთების დიდება, ვნებები, მშვენიერებისაკენ სწრაფვა, გმირობანი და ლამაზი ოცნებები. წიგნს უდიდესი სიამოვნებით სული შეუბერა და სამხარეულოსაკენ გაემართა. იქ პროდუქტებს ერთად თავი მოუყარა და საყვარელი კერძის მომზადებას შეუდგა: პასტო-რალურის მესამე ნაწილს ღლინით ვაფცქენა ხაზვი და ორი კბილი ნიორი, შერე ქაბაბის ფსკერს ცოტაოდნად შუი მიასხს და ვაზი აანთო. როცა ყველაფერი კარგად ჩაიდნება, პროფე-სორმა საჭირო რაოდენობის წყალი, მარილი და ცოტა ოხრა-ხუში დაამატა, წიგნი ქაბაბში ჩაღო და რკინის ხუფი მჭიდ-როდ დახურა. "ოლიადას" მდიდრულმა გამოცემამ ნელ ცვეცხლზე იწყო ხარშვა, თითქოს კომბოსტის ერთი ჩვეუ-ლებრივი თავი ყოფილიყოს. იმ დღეს სწორედ ასეთ კერძზე ოცნებობდა.

სანამ წვნიანი იხარშებოდა, პროფესორმა მეხუთე სარ-თულის ფანჯრად გადაიხედა. ქუჩაში ისევ ის ნაცრისფერი უსახურება სუფევდა, რომლის ცქერაშიც მარტობის არა-ერთმა წელმა ჩაიარა: თეთრ კაფელში ჩასმული ქათმის მა-ღასია, მეორე რიგში განკრებული სატვირთო მანქანები, ხი-ლის დახლი თოკზე დაკიდული ანანასები, თანამშრომელთა სილუეტები საბუღალტრო განყოფილების შუშის მიღმა, პა-ტარა ადამიანები, რომლებიც ტროტუარზე დაცოცავდნენ და ხმაბალიად შემახილებით რომელიღაც თევზს უკეთებდნენ რეკლამას. იმ დღით პროფესორი ჩვეულებრივზე უფრო ღოწმინდი იყო და თავის შესაქცევად ისევ პნემატური თი-ვით თამაში გადაწყვიტა. იარაღი კარადიდან გადმოიღო და ბეთჰოვენის მუსიკის თანხლებით დერეფანში გავიდა. თოფი

ხუთი მცირე ზომის ტყვიანი დატენა. ფანჯრიდან რამდენიმე საინტერესო ობიექტი მოჩანდა, მაგრამ კაცმა ამჯერად კუთხეში მჯდომ ხილის გამყიდველთან გადაწყვიტა გახუმ-რება. ტროიკული ანანასები პაერში ისე ლილივებდნენ, როგორც სანჩეს კოტანის ნატურმორტში. პროფესორი ფან-ჯრის რაფას დაეყრდნო. ტელესკოპის ფოკუსი სასურველ წერტილს დაუმიზნა, ღრმად ჩაისუნთქა და ჩახმას გამოჰკ-რა. ანანასი ძლიერად შეირხა და მოცელილივით ჩაჯარდა პა-მიდვირან პალატოში. იმავე წამს ვაჭრის წვეცელაკულვა გაის-მა.

- ისევ ის არის, ის ძალიანშვილი!
- ეს რაღა იყო?
- მკვლელი, რომელიც ჩემს საჭონელს ესერის!
- რა სიმეცვცა!
- უკვე მთიხვეყრი აკეთებს ამას. დამენახოს, თუ კაცია!

კლიენტებით გარშემორტყმული მეხილე მთელი ხმით გაჰვიროდა. გამვლლები ფანჯრისაკენ იყურებოდნენ იმ იმ-ედით, რომ დანმაშავეს მოკარვდნენ თვალს. ვადაწყველი ფანჯრის მიღმა კი მკვდარი ენების პატივცემული პროფესო-რი გულგრილად ადევნებდა თვალს ქუჩაში ატეხილ ალია-ქოთს და ცდილობდა, ცოვად განესაჯა ამ სოციალური ჯგუ-ფის მოქმედება. ისინი მხოლოდ უსუსური ჭიანჭველები იყ-ვნენ. საკმარისი იყო, ერთადერთხელ ესროლა ხილისთვის, რომ ეს პალატა ადამიანები საშინელ ძრწვლას ახლანა. ნე-ტავ რა მოხდებოდა, მართლა რომ გამოეკრა ჩახმახისათვის? იმ წუთას ისევ დაეუფლა შეგრძნება, რომ შეეძლო ღმერთად ქცეულიყო და მეხუთე სათრუდიდან ემართა ქვეყანა. ამასო-ბაში სპექტაკლი დამთავრდა.

გმირი სააბაზანოსაკენ გაემართა. შარდის ბუშტი გაითა-ვისუფლა და საკეში ჩაიხედა. სულ არ შეცვლილიყო. საკე-თარი გამოსახულების დანახვაზე ფსიქონალიოგიკოსის სიტყვები გაახსენდა: "შევიძლია ჩათვალო, რომ გარკვეული დროის მანძილზე არაფერი გემუქრება. შენს ტვინს უსამე-ვლო არაფერი სჭირს. ოღონდ გახსოვდეს, რომ ძველი საბერ-ნეიო აჯარ არსებობს. გონების სრულყოფა და ოცნება აბსტ-რაქტულ სილამაზეზე, სისულელეა. ბედნიერება პატარ-პა-ტარა სიამოვნებების ნახვაზე: ყავის ოხნივები და სივარები გაზეთის კითხვისას, სასიამოვნო საუბარი რესტორანში, ემას მკვირივი საჯდომი, ხის ფისის შორეული სურნელი იმ პორტ-დან, სადაც სიჭაბუკე გაქვს გატარებული". პროფესორი ორ-მოცდაცამეტი წლის იყო და სააბაზანოს თაროზე გაჭალარა-ვეული საფეხულებისთვის სადგომის დასაკლის და დაეწყინა-რებელ წამლებს, ანტიდებერქსამენტს და ბუსკონის სათნაბის ინახავდა. იმ წუთას სუსტი თაბურუსხვევა იგრძნო. კეფაში საყვირების ხმაური სცემდა. ასეთი რამ ადრეც მოხვლია. მას შემდეგ, რაც ბიბლიოთეკის წიგნებიდან წვნიანის დამზადება დასნეულდა, ატყობდა, რომ თვალები უნებოდებოდა და წვედი-ადმი უცნაური ანტიკური დევატები ჩნდებოდნენ ხილმე-ჩვეულებრივ, ეს სულ რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. ამჯე-რად იგრძნო, რომ შეტყევა უკვე სერიოზულ სახეს იღებდა.

ქსანურსიდან თარგმნა შოში ზაფთაძის



ჩემი ლიტერატურული საქმიანობისა და პრიტიკოსების შესახებ

სამადა, ჩემს ლიტერატურულ საქმიანობასთან დაკავშირებით რაღაც დაბნეულობას აქვს ადგილი კრიტიკოსთა შორის. ვერა და ვერ გადაუწყვეტიათ, კერძოდ რას მიაკუთვნონ ჩემი შემოქმედება, - მაღალ ლიტერატურას, თუ ლიტერატურას - წერილმანსა და უღირსს. და იმდენად, რამდენადც ჩემი რაღაც-რაღაცების უმეტესი ნაწილი პატივდაუდებელი ფორმით მაქვს მოხოდებული - ფურნალისტური ფელეტონი და პატარ-პატარა მოთხრობა - ეს უკვე ნიშნავს, რომ ჩემი ბედი, როგორც ყოველთვის, გაანწყვეტილია.

კრიტიკოსები ჩემს შესახებ ლაპარაკობენ, როგორც იუმორისტზე, მწერალზე, რომელიც აცინებს, და რომელიც, სიცილის გამო ღმერთმა უწყის რას აღარ უშვება მშობლიურ რუსულ ენას.

ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის.

მე თუ ხანდახან ენას ვაპახინებ, მხოლოდ და მხოლოდ - პირობითად, ვინაიდან, მსურს დაეხატო ჩემთვის საჭირო ტიპი. ტიპი, რომელიც ადრე თითქმის არც კი ფიგურირებდა რუსულ ლიტერატურაში. ხოლო, რაც შეეხება წერილმან ლიტერატურას, - ამგვარ განმარტებას არ გავაპროტესტებდი (ჯერ კიდევ საკითხავია, თუ რას ნიშნავს - წერილმანი ლიტერატურა).

აი, არსებობს ლიტერატურაში ვერცე ნოდებული "სოც.შეკვეთა" (ფიქრობ, ამჟამად ეს შეკვეთა არამართებულად დამკვიდრდა) და ფიგურირებს ვერსია, რომ შეკვეთილია ნიოთი ლეე ტოლსტოი. როგორც სჩანს, ეს შეკვეთა რომელიღაც წინდაუხედავმა გამოქვეყნობამ დაგვიბევა. ვინაიდან ჩვენი ცხოვრება, მთელი საზოგადოება და მთელი გარემო, რომელშიც დღეს მწერალი სულ-გამძღობა, რა თქმა უნდა, ნიოთი ლეე ტოლსტოის შეკვეთას არ იძლევა. და თუ თავად შეკვეთაზე ვისაუბრებთ, მაშინ, შეკვეთილია ისეთი რამ, ისე პატივყარილი, დანერგობანებული ფორმით, რაც (ყოველ შემთხვევაში ადრე ასე იყო) ყველაზე ცუდ ლიტერატურულ ტრადიციებს უკავშირდება.

შეკვეთილი ერთი ყოფილა და მე ყველაფერს მიუყვებით ლეით ვტაცე ხელი.

ფიქრობ არ შევმცდარვარ. მაღალ ლიტერატურაში არც ვაპირებ შეძრომას. მაღალ ლიტერატურაში ისედაც ბევრი მწერალია.

ხოლო, რადესაც კრიტიკოსები (და ეს კი ხშირად ხდება ხოლმე) ჩემს სამუშაოს ორ ნაწილად ჰყოფენ: აი, თურმე, ჩემი მოთხრობები, ეს თურმე - მართლაც მაღალი ლიტერატურაა, ხოლო ესენი კი, პატარა მოთხრობები - საფურნალი იუმორისტიკა, სატირიკონი: - ვირის თავფეხი ეს ასე არ არის.

დიდ მოთხრობებსაც და პატარა მოთხრობებსაც ერთი ხელით ვწერ. და არც ასე ზედმიწევნითი ყოფ: აი, მეტიკი, ესლა ვირის თავფეხს დაწენერ, ხოლო, ამ მოთხრობას კი - შოამომავლობას ვუტოვებ.

ისე, მართალია, რომ გარეგნული ფორმით, ჩემი დიდი მოთხრობა უფრო ახლოს დგას - ვერცე ნოდებული - მაღალი ლიტერატურის ნიმუშებთან. მასში, მე ვიტყვი, დიდი ლიტერატურული ტრადიცია, ვიდრე იუმორისტულ მოთხრობებში. მაგრამ, მაიი ხარისხივნება, პირადად ჩემთვის, ერთი და იმავე დონისაა. საქმე კი იმაში მდგომარეობს, რომ დიდტანან მოთხრობებში (სენტიმენტალური მოთხრობები) ესაჭაე უშუალოდ ინტელიგენტ ადამიანს. მცირე ზომის მოთხრობებში კი უფრო ტიპარა-ლო ადამიანები ფიგურირებენ. თვითონ თემა და სტიპატი მკარნახობს ფორმას.

აი რატომ იყოფა (ასე გამოკვეთილი) ჩემი სამუშაო ორ ნაწილად. კრიტიკა კი - გარეგნული მოწვევითობით არის ცთუნებული...

მთელი უზედურება იმაშია (განსაკუთრებით ამ ბოლო ორი წლის მანძილზე), რომ რაღაცნაირი დადლილობის, სასონარკვეილი მოწყენილობისა და ყოველდღიური აუცილებელი საქმიანობის ფონზე მრავალი პატარა რაღაცის დაწერა მოვაპირებ (რა თქმა უნდა - "ცუ-დის"), რომლებიც, მართლაც რომ ყოველდღიურ საფურნალი მოთხრობაზე მაღლა ვერ დადგება. ეს კიდევ უფრო აბნევს კრიტიკოსებს, რომელნიც მთელი მონდიკებით (ბევრი რომ არ მეჯახირონ და მეცოდვილონ) ცდილობენ ჩემს (ლამისა) რეპორტიორად გასაღებას.

მაგრამ, არც ამ შემთხვევაში გამოეთქვამ პროტესტს. მხოლოდ ერთი რამ უნდა ვაღიარო. შესაძლია, ეს თქვენ უცნაური და მოულოდნელიც გაეგნებოთ. საქმე იმაშია, რომ მე - პროლეტარული მწერალი ვარ. უფრო სწორად, ჩემი რაღაც-რაღაცებით, იმავე წარმოსახვის მქონე, მაგრამ, ნამდვილ პროლეტარულ მწერალს ვაპაროდებ მწერალზე, რომელიც ცხოვრების დიდვანდელ პირობებსა და დიდვანდელ გარემოში იარსებებდა. რა თქმა უნდა, ასეთი მწერალი წინამდვილეთ არ არსებობს, განსაკუთრებით ახლა. ხოლო, როცა იარსებებს, მაშინ საზოგადოება, მისი გარემო ყოველმხრივ მნიშვნელოვნად ამაღლებული იქნება.

მე მხოლოდ პაროდირებს ვცდილობ. დროებითი ცვცვლი პროლეტარულ მწერალს. ამიტომაც ჩემი მოთხრობათა ეთიკატიკა მიმატიკი ფილოსოფიით გაჯერებული და რომელიც, ზუსტადაც რომ - საჩემქმკითხვოა.

დიდ ნაწარმოებებში კვლავ ვაპაროდებ მოუხერხებელ, ძორძობას (კრამზინის სტილია) თანამედროვე ნიოთელ დევ ტოლსტოის ან რაბინდრანატ თაგორს, და კიდევ სენტიმენტალურ თემას, რომელიც ამჟამადა მოდებული (მოდაშია). ვაქტილაც - პარდიონს ფორმით - დღევანდელ ინტელიგენტ მწერალს, რომელიც, შესაძლიარა არც კი არსებობს, მაგრამ რომელიც უნდა არ-

სებობდეს, რათა ზუსტად შესარულის სოციალური შეკვეთა არა გამომცემლობისგან, არამედ იმ გარემოსგან და იმ საზოგადოებისგან, სადღისოდ რომ ნამოწეულია წინა პლანზე...

...და კიდევ, ენის შესახებ მინდობა მეთქვა. ესლა, უბრალოდ, მეტირის თანამედროვე მწერლობა უფერტსი ნაწილის ნიგუნების კითხვა. მათი ენა ჩემთვის - თითქმის კარამზინის ენაა. მათი ფრაზები - კარამზინის ენა პერიოდებს მაგონებს. შესაძლოა, აუშკინის რომელიღაც თანამედროვეს ისევე უჭირდა კარამზინის კითხვა, როგორც მე ამაჰად დველი ლიტერატურული სკოლის თანამედროვე მწერლის გაცნობა. ვფიქრობ, ერთადერთი ადამიანი რუსულ ლიტერატურაში, რომელმაც ეს ყველაფერი შეიგრძნო - ვიტორ შკლოვსკია. მან პირველმა განაცხადა კავშირი ლიტერატურული ენის ძველ ფორმასთან, "შეამსუბუქა" ნაწერი და უფრო მოხერხებული და იოლი გახდა კითხვა.

მეც იგივე გავაკეთე. ვწერ ძალიან შეუქმნულად. მოკლე ფრაზებით. ღარიბთა ხელმისაწვდომად.  
...იქნებ, ამიტომაც მყავს უმარავი მკითხველი?..

### სააღდგომო შემთხვევა

აი, ძმებო, დედისაბულიც კარზე მოგდგომია - მართლმადიდებლური პასეტი. ვინც მორწმუნეა, დაადებთ თავს ცხვრებით და წაიღებენ თავთან პასეებს საკურთხებლად. წაიღონ რა! მე მაინც არ წავიღებ. აი, ასე, ძმებო, გასულ პასეტზე ზედ პასეტზე დამიდგეს ფეხი. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ შემავგაინდა და დანებება ვერ მივახსარი.

მოკვდი ეკლესიის ღობესთან და ვბედავ, მაგადები დაკავებულია. ვთხოვ მართლმადიდებელ მოქალაქეებს: ცოტა შევიწროვდით-მეთქი. ისინი კი უარზე არიან. იღანძლებიან.

- დაავიანე არა, შე ეშმასთან წილნაყარი?! ჰოდა, დადგი ესლა ვე შენი პასკა მინაზე. ესლა კიდევ დაიწყე იდაყებინი ჩამოკვებება, პასეებს შეგვირყვინო.

რალა უნდა მეჩნა. დადგვი ჩემი პასკა მინაზე. ვინც დაავიანდა, ყველა მინაზე დგამდა.

ჰოდა, დადგვი თუ არა, ატეტეს ზარებმა რეკვა-ზრილა.

შეგებდ, თავად მამო მიაპობს გზას ფუნჯით ხელში. ჩაანობს ფუნჯს ვედროში და მიმოაშეფებს. ვის სიფათში შეუნუნება და ვის სააღდგომო ძღვენს დაუსვენებს - მღვედელი არას დაგიდევს. უკნიდან კი დიაკვანი წამოშეფობა თევში ხელში - შესანიშნო აგროვებს.

- ნუ იძუნებო, ამბობს, მართლმადიდებელი პუბლიკაიო დაადგეთო მონეტა თევშის შუკაულში.

მეც ჩამიარეს წინ, და ამ დიაკვანს წასთვლიმა იმ თავის თევშზე თუ, რა იყო, პირდაპირ ჩემს პასკაში დღლიზა ფეხი.

სული შემიგუბდა.

- რას სჩადიხარ, მეთქი, შე წვეწროწოლავე, რალა ამ აღდგომის ღამეს მოგინდა, მეთქი, ჩემს პასკაში ფეხის ჩაბორა.

- ბოდიშს ვიხდით, შემთხვევით მომივიდაო.  
- მე მაგ შენი ბოდიშით ქურტი შევიკერო თუ რა?! ახლავე სრული ღირებულება ამინაზღაურით, მეთქი. და მიდევ, მეთქი, მამაო-დააკვანი ფული კონში!

შეწყდა მსვლელობა. ფუნჯიანი მამაოც შემობრუნდა.

- ეს ეს პასკას ჩაუბოჯესო, ფეხი?  
- ჩემსას ჩაუბოჯეს-მეთქი, დიაკვანმა-მეთქი, ამ წვეწროწოლა კატამ...

მამო კი მეუბნება:

- მეო, ახლა ამ პასკას ფუნჯით დავანინკლებ, რომ ტყმა შეიღებოდესო. რაც არ უნდა იყოს, სულიერების წარმომადგენელმა ჩაადგაო...

- არა, მეთქი, მამაო, თუ გინდა მთელი ვედრო ზედ გადაახსი, არა ვარ, მეთქი, თანახმა. ფულს მოვიტხოვ, მეთქი, უკან.

ატყდა ყყყანი, ვინ - ჩემს მხარეზეა, ვინ - წინააღმდეგი. მნათე ვაცილირი ლამისა სამრეკლოდან გადმოხტეს: შაა, გაავარქმლო რეკვა, თუ შეწყვიტო... - ყვირის.

- მოიცა, მეთქი, ვაცილირი, ვუბნები, თორე, მაგ რეკვის ხმაზე სულ დამაზარავენ, ზედ გადამივლინ, სხვა თუ არაფერი, გამაბრიყვებენ, მომაცყუებენ-მეთქი.

ეს მამაო კი, მივლის გარშემო ავადმყოფით და თან მზრებს იჩნავს. ხოლო, დიაკვანი, ეს წვეწროწოლა ეშმა, ღობეს გადაყრდნობია და ჩემ დაქვლეტილ პასკას ხის ნათვლით იმორბებს ჩემიდან.

როგორც იქნა, მომცეს ცოტაოდენი ფული იმ თევშიდან და წასვლის მთხვენი... ხელს ვუშლი, თურმე, ჩემი ყვირილით...

გამოვედი შემოღობილიდან და იქიდან კიდევ ერთხელ შევარცხინე დიაკვანი. მერე კი - წამოვედი.

ტყამ ახლა პასკებს. უკურთხებლებს. გემო - იგივე აქეთ, მე კი უსიამოვნება ნაკლები მხვდება.

### გამოცემა

ამას წინათ ვალოდა გუსკლი დაადულეს სასამართლოზე. რომელიღაც თითო ბავშვის მამობაში ახვილეს და ჯამაგირის მესამედი წილი დააკისრეს. ამ ბუნდერი მამილოს დარდი არანაირ აღწერას არ ექვემდებარება. ძალიანაა დამწუხრებული ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო.

- მეო, - ამბობს, - არასდროს არ მეტატებოდნენ გულზე თითო ბავშვები. ფეხებს იჩნევნო, ყვირიანო, ხანდახან შეიძლება დააფეხკიონ კიდევ, ტანსაცმელიც დაეითხოვნენ. მოკლედ - ცხოვრებას არ დაეცლიანო. შენ კი, ამ წვიკურტა არსებას - ფული უნდა ახარჯო. ჯამაგირის მესამედი წილი აძლიო. არადა - მშენიერად იცხოვრებ კაცი. ამათი გადამკიდევ შეიძლება გარეკო. მეც, სახალხო მოსამართლეს, ავედქი და პირდაპირ მოვასწენო.

- სასაცილოა, მეთქი, სახალხო მოსამართლევ, პირდაპირ სასაცილოა ასეთი არანორმალურობა. ესეთი ცურცილივით ვინმეა და მიდი და მესამედი წილი აძლიო რაში სჭირებოდა, მეთქი, მაგას მესამედი წილი? ბავშვია, ბოლოს და ბოლოს, სხვა თუ არაფერი; არ სვამს, არ ეწევა და არც კარტის თამაშით არის გატაცებული, და მიდე ესლა შენ და არნივე ყოველთაფურად ხომ შეიძლება ამის ნიადაგზე გარეკო კაცმა... ასეთი არანორმალურობისგან, მეთქი.

მოსამართლე კი მეკითხება:

- თქვენ როგორი ხართ ბავშვთან მიმართებაში? სცნობთ თქვენს ბავშვად თუ არაო?

მე ვუბნები:

- რა უცნაურ სიტყვებს ამბობთ, სახ. მოსამართლევ, პირდაპირ, რანაირად სანყენ სიტყვებს. მე, მეთქი, შემოძლია გავრეკო ასეთი სიტყვებისგან. ნატურაში გუბუნებით, ეს ჩემი ბავშვი არ არის! ის კი დანამდვილებითი ვიცი, თუ ვისი ჩამოყობილი ინტრიგაა. ეს, მეთქი, მართლაც, სოფოროსა განდამიგებელი ჩემს ფულზეზე. მე, ჩემდათავად, ოცდაათორმეტ მანეთს ვიღებ. ათი და სამოც-

# ედგარ პოს ცხოვრება

დათხოვნილი თუ მგავს მივეცი - რაღა დამრჩება, მეთქი? ესე იგი, მე გამოძინილი შარვლით უნდა ვიარო და მარუსკა კი, პარალელურად რიოალები და ბატისტის წევრსაკრავები იყიდოს ჩემი ფულებით. ფუი, მეთქი, დასწყველოს ღმერთმა, ეს რა უსიამოვნებას აქვს-მეთქი, ადგილის..

მოსამართლე კი არ ცხრება:

- იქნებ თქვენი. როგორმე გაიხსენეთო.

ფუსნინი:

- ნამდვილად არაფერი მაქვს-მეთქი, მოსაგონებელი და გასასხენებელი. ამ მოგონებებმა შეიძლება, გავარეკინოს... ხოლო, რაც შეეხება მარუსკას - შერინდა ერთხელ ჩემს ბინაზე მოსვლის მსგავსი რაღაც ტრამევიშიც გვიმგზავრია ასევე ერთხელ (ჩემი ხარჯით), და ხომ არ შეიძლება რომ ამის გამო მთელი ცხოვრება ყოველთვიურად ვიხადო. ნუ მთხოვთ-მეთქი, ამას...

მოსამართლე ისევ მუხუბნება:

- თუ კი თქვენ თითო ბავშვის საკითხში ეჭვი გეპარებათ, ჩვენ მას ახლავე დავათვალიერებთ და ვნახით, როგორი გარეგნული ნიშნები ექნებაო.

მარუსკა კი, იქვე დგას, გვერდით და ბავშვის გახსნას იწყებს.

უყურებს მოსამართლე ბავშვს და ამბობს:

- ცხვირი, ფორმალურად, თქვენს ცხვირს ემთხვევაო.

- ბოდიში მომიხდია, მეთქი; ვუხუბნები; ცხვირზე უარს არ ვამბობ. ცხვირი მართლაც ჩემსას უგავს. ცხვირის გამო ყოველთვის მზად ვარ, სამი ან სამანჯგარი მანეთი შევიტანო. სამაგიეროდ, დარჩენილი ორგანიზმი ნამდვილად არ მეკუთვინის. მე, მეთქი, აი როგორი შეგჭუხა ვარ, ეს კი, ბოდიში მომიხდია და... ჭყრივით თვითრია. ასეთ სითურეთში მანეთის ან ორნახევარ მანეთზე მეტის გადამხდელი არა ვარ, მეთქი. მეტი რაჭომ უნდა ვიხადო-მეთქი, მით უმეტეს, თუ, ოჯახურ კავშირშიც არ ვიმყოფებიო.

მოსამართლე კი:

- მსგავსება, მართლაც რომ - განვრცობადია. თუმცაო, ამბობს, ცხვირში - პირნავარდნილი მამააო.

- ცხვირს ვერ დაეყრდნობი, მეთქი. ცხვირით კი მგავს, მაგრამ ნესტოების რა მოგახსენითო, სულაც არა გვაქვს-მეთქი, ერთნაირი. შეხედეთ, როგორი წვრილია-მეთქი, ორივე ხვერილი. ასეთ ხვერლებში ერთ მანეთზე მეტს ნამდვილად ვერ გადავიხდი. ნება მომეცითო, სახ. მოსამართლეც, სახლში წავიდე და აღარ დაეყოფდე..

ის კი, მუხუბნება:

- შეიცადეთ ცოტა ხანს, განაწინი უნდა გამოვიტანოო.

...და - გამოიტანა: ჩემი ჯამაგირის მესამედი ნილის გამოქვითვა.

- ფუი! მეთქი, ყველას!

ასეთი ამბავი რომ გადაგხდება თავს, გარეკავ, აბა რა იქნება..



მინიფულეობა  
დასაწყისი თბ. "არლი",  
N16, 17, 18 (2000), 1, 2

ნელო-ორკული პერიოდი - ედგარო-პოეტის აღორძინების ხანაა. "ყონის" თემა მოხვეწებას არ აძლევს პოს. იგი თავის საბოლოო ფორმას იძენდა და ამას ვითარება უწყობდა ხელს. გაჭირვება და წურნალეობა ალბუმი მცირეოდენი თანხებით ედგარმა ნელო-ორკის გარეუბანში სახლი იქირავა ზაფხულის ცხელი დღეების გასატარებლად, სიცხე ხომ ყველაზე მეტად დაუსტებულ ვირჯინიას ტანჯავდა. კოტეჯი ბლუმინგდელში პოს ოჯახისთვის პატარა სამოთხედ იქცა და სამე უხაროდ, ეს სამოთხე მოჩვენებით აღმოჩნდა. მათ იქ სუფთა პერი და ლამაზი ველები დახვდათ, კარგად იკვებოდნენ და თავს ბედნიერად გრძობდნენ. ედგარმა კი ნელო-ორკთან მოთხოვით სიმშვიდე პოვა. პალადას სახელგანთქმული ბიუსტი, რომელიც პოეტმა "ყონაში" უკვდავყო, სახლის შიდა კარის თავზე იდგა. ედგარმა მეთოდური მუშაობა დაიწყო. მოთხოვნილები და სტატეები ადვილად იწერებდა და იმუშავებ იმეცდებოდა, რადგან უკვე თავად ავტორის სახელი იყო მკითხველთა ინტერესის გარანტია. იგი მთელმა ამერიკამ გაიცინო. "ნაადრევი დაკრძალვა" - ქრონიკისა და მოთხოვითის უცნაური ნახავი - ბლუმინგდელის "კურთხეულ ზეცაში" დაიწერა. იგი ერთ-ერთი ყველაზე საზარელი და პირქუმი მოთხოვიაა პოს შემოქმედებაში. ალბეცდელი სამარისეული კომპარებისადმი უცნაური ლტოლვით. და საქმე თემაში როდი გახლავთ. აქ ავტორისეული ცნობიერების მუდმივი გაორება თამაშობს მთავარ როლს.

თარგმანი ზაპის ჭახნლიძემ

ბილი





ფრანსუაზა მარტი


რება მისი წარმოსახვა სისხლის მოძრაობას, თუ გულის განკარგულებულ შეადგებდა მას. მხოლოდ გენიალიზით გაიცნოვნებულ მზერას თუ შექმნილ დაენახა ის, რის შესახებაც იგი გვეუბნებოდა ხოლმე. ხშირად მკვიდრად გადაუხვევდა ზუსტად და მწკვივად დასმულ პრობლემას და ჩვეულებრივი ლოგიკის საპირისპიროდ, ერთმანეთის მიყოლებით იმოწმებდა დამაჯერებელ მაგალითებს. თავად პროცესის დემონსტრირებას ახდენდა, არ გუმტენტებს კი იგივეს და ფანტასტიკურ ფორმას ანიჭებდა. რა გველაფერ ამას ისე დაწერილობით, ნათლად და ისეთი სისწრაფით აკეთებდა, რომ ყურადღებას იპყრობდა თავისი ვასალიერ წყობით; და ეს მანამ გრძელდებოდა, სანამ თავად იგი არ ახსენიდა ჯადოს და კვლავ არ დააბრუნებდა მსმენელს ვეღაზე ყოფით პრობლემებით - უხამსი ტყუილების თუ ნაძრახი ვნებების წყალობით..."

მათ წინ, ნაქცეული ხის გვერდით ჩამორღვეული ქვის თალი აღმართულა, გასასვლელი არსათ; რაზმი ჩრდდება. ფარეებს ანთებენ. მოცეკვავეები ქლასი თაღს აწყდება, თითქოს ამ ცარიელი, ტრიალი ადგილიდან ეს ერთადერთი გასასვლელი იყოს, ერთადერთი კარიბჭე - სხვა სამართოსკენ. როცა თეთონ ამერიკელც იგვეს ნიწადის, ისევ ის გრძნობა ეუფლება: უხილავ გარსში, სარკვეში, სხვანაირ სინამდვილეში, თხზულებაში შეშეჯებოდა.

ცოცხალი სურათი - მანქანების ფარებით განათებული. გასსოვი მოხუცი ნეფე, თავისი ახალგაზრდა, სხვა სოფლებს ჩამოყვანილი საცილის შესახებარდა რომ მიეშურებოდა? აი, აქ დგას, დამწაზავის, მკვლელის სახით; გვერდით უღვას ახალგაზრდა ცოლი, ჯერ რომ ვერაფერს ხვდება.

იმათ უკან თანასოფელი კაცების სილუეტები მოჩანს.

შედუღრი წყვილის წინ მისტერ მაჰარაჯი დგას. ამ პირქუცმა სცნის შემხედვარე ქალებს კვილი ანოსკვებათ. მურე მზაური წყევდა. მისტერ მაჰარაჯის აქ ყოვნდა აფრთხობდა. და მის პირისპირ იგვება. ვილადის ფარი ანთებული დატოვა. მის შუქზე და-მის სახეებს თეთრი, ყვითელი, წითელი ფერი გადასდით. ისინი ამერიკელისთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობენ; ეს არის ოპერა - ტექსტის გარეშე; მათი სიტყვების მნიშვნელობას მათი მოძრაობით, მათ სახეებზე აღბეჭდილი ფიქრებით და მიმიკებით უნდა მიხვდეს. და ისე ცხადად, თითქოს ყოველ მარცვალს არჩევდეს, მას ესმის მის მაჰარაჯი როგორ უბრძანებს თავის ძმას: ის, რაც ჩვენს მშობლებს შორის დაინყო, ახლა მთავრდება. და ესმის პა-

სოფო გვიგული

# ცივილიზაციათა შეჯახება თუ ღიალოგი ცივილიზაციათა შორის

სუსიც, რომელსაც ჩამონგრეული თალის მიღმა მნიშვნელობა არ გააჩნია; რომელსაც მაპარაჯი ამოთქავს და თან - ცეცხლად იქცევა, სხეულიდან ფრთები ამოსკდება, თვალები უგზავნივს; მისი სიტყვები ჰარმონია გამოკიდული და მისი სუნთქვა მის მაპარაჯს ტრუსავს, წვავს, ნაცარ-ტუტად აქცევს; და მერე ბებრეკი კაცის აკანკალებულ ცოლს ანადგურებს.

მე ვარ ცეცხლოვანი ფრინველის ბუდე. მის მაპარაჯს დაიწვარს რომ ზედაც, ამერიკელში რაღაც აინყვეტს, რაღაც ბორკილი, რაღაც ზღვარი იმსხვრევა. ტალღასავით მიასკდება მისტერ მაპარაჯს. უკან მოგროვილი მრისხანე მოცეკვავეებიც თავანყვეტლ ტალღებად მოედინებიან. ისინი გრძობენ, როგორ ერღვევა მათ სხეულებს საზღვრები და გადმოქექვს წვიმის გიგანტური, ყოვლისმომრველი ნაკადი, ცეცხლოვან ფრინველს რომ ახრჩობს, მის ბუდეს რომ ფარავს და მოინწევს ამ გვალვისგან გახვევებულ მინაზე, რომელმაც აღარც კი იცის, როგორ შეინჯოს ამხელა ნიაღვარი, თან რომ მიაცანებს იმ ბებრეკს და მის პირისისხლიან მუცეს; და იმინდება ეს ადგილი შიშვების, თავისი არქაული ტრაგედებებს, თავისი კაცებისგან.

ნიაღვარი, როგორც რისხვა, თანდათან ცხრება. ქალები კვლავ საკუთარ თავს ემსახვებიან და საწყაროც პირვანდელ სახეს იბრუნებს. ქალები ნელა გროვდებიან ქვის თალის ქვეშ და ვერტფრენების ხმაურს აყურადებენ, რომ ისინი, შიშისგან გაათავისუფლებულნი, ვინმე იხსნას, ვიდრე საკუთარ თავებს წალეკავენ. რაც შეეება ამერიკელს, მისი სილუეტები განანგრძობს ცვლილებას. მისტერ მაპარაჯის შვილი დაბადება არა აქ, არამედ დედის სამშობლოში, სადაც მალე ერთად დაბრუნდებიან. ეალერსება თავის სულ უფრო მეტად გამზობრცულ მუცელს. ახალი სიცოცხლე, მის ნიაღვრ რომ იზრდება, იქნება ორივე - ცეცხლიც და წვიმაც.

ინგლისურიდან თარგმნა **ლელა სამხიავშილაძე**

**ტრილი**



XX საუკუნის მიწურული კაცობრიობის ისტორიაში ვველაზე დიდი ძვრების ეპოქა იყო. მებრე მსოფლიო იმის შემდეგ რევიინული პოლიტიკა მსოფლიო პოლიტიკად იქცა. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მსოფლიო "ცივი ომის" მარწუხებში მოექცა. ამ პერიოდში გლობალურმა პოლიტიკამ ბიპოლარული სახე მიიღო - მსოფლიო ორ ნაწილად დაიყო.

80-იანი წლების ბოლოს კომუნისტურმა სამყარომ კოლაფსი განიცადა და ცივი ომის დროინდელი საერთაშორისო სისტემაც ისტორიას ჩაბარდა. დადგა ახალი ერთ პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლიტიკოლოგმა ფრენსის ფუკუიამამ ამ ეპოქას "ისტორიის დასასრული" უწერა. მისი შეფასებით, კაცობრიობამ ბოლომდე გაიარა იდეოლოგიური ევოლუციის გზა და დასკლური ლიბერალიზმის უნივერსალურ ფორმას მიაღწია. ამ ეროვგარი პარამონისა და მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის თეორიას დაუპირისპირდა სემუელ პანტინგტონი, რომელმაც წამოაყენა საკუთარი ანტითეზა "ცივილიზაციათა შეჯახების" შესახებ. მისი აზრით, საუკუნის პრობლემად იქცევა არა წამყვან სახელმწიფოებს შორის ძალთა გადანაწილების საკითხი, არამედ ეთნიკური კონფლიქტები და კულტურული დაპირისპირებები. "ცივილიზაციათა შეჯახებას" სწორედ კულტურულ-იდეოლოგიური სასიათის მიზეზები გამოიწვევს. პანტინგტონის თეორიის თანახმად, კულტურა არის ხალხების, როგორც გამაერთიანებელი, ისე გამოყოფი ძალა. განსხვავებული იდეოლოგიის, მაგრამ ერთი კულტურული მემკვიდრეობის მატარებელი ხალხი ადრე თუ გვიან გამოლიანდება, მაშინ, როცა ერთი იდეოლოგიის, მაგრამ სხვადასხვა ისტორიული წარსულის მქონე ადამიანები გაყოფასა და ურთიერთშეჯახებას ვერ ასცდებიან. ამ თეორიის საილუსტრაციოდ შესაძლოა, პირველ შემთხვევაში გერმანიისა და ვიეტნამის, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში საბჭოთა კავშირისა და თუვოსლავიის მაგალითები მოვიტანოთ.

პანტინგტონის თეორიის ძირითადი არგუმენტი ის არის, რომ კულტურასა და იდენტურობას საერთაშორისო ურთიერთობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. იგი ხაზს უსვამს იდენტურობის როლს სოციალურ ქცევაში და მის მზარდ მნიშვნელობას "ცივი ომის" სტრუქტურის დაშლის შემდეგ. პანტინგტონი ამტკიცებს, რომ ვველაზე მზარდი იდენტურობა ჩვენს დროში ცივილიზაციურია. მსოფლიო პოლიტიკაში მოსალოდნელ სამშობრებას სწორედ ცივილიზაციათა დაპირისპირება ქმნის: "ყალიბდება ცივილიზაციებზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგი: საზოგადოებები,



სამხალი ანატოლი

რომელთაც საერთო კულტურული ღირებულებები აქვთ, ერთმანეთთან თანამშრომლობენ; ერთი ცივილიზაციისადმი კუთვნილი საზოგადოების მქონე ცივილიზაციაში გაერთიანების ყოველგვარი მცდელობა უშედეგოა. ჭკვიერები თავიანთი ცივილიზაციური ბლოკის ძირითადი სახელმწიფოს გარშემო ერთიანდებიან.

პანტიენტონი შემდეგ გამოყოფს ძირითად ცივილიზაციურ ბლოკებს: დასავლური, ისლამური, ჩინური, ინდური, მართლმადიდებლური, ბუდისტური, იაპონური, აფრიკული და ლათინურამერიკული.

პანტიენტონის შეფასებით, "დასავლეთის უნივერსალისტური პრეტენზიები აუცილებლად გამოირეკვის სხვა, განსაკუთრებით ისლამურ და ჩინურ ცივილიზაციებთან დაპირისპირებას; ცივილიზაციათა ურთიერთშეხების საზღვრებში მიმდინარე კონფლიქტები, განსაკუთრებით მუსლიმებსა და არამუსლიმებს შორის, "ონათესავებ ჭკვიერების სოლიდარობის პრეცედენტს" და სასაზღვრო რაიონებში დამაბულობის ესკალაციის საფრთხეს წარმოშობს. გლობალური კულტურული დაპირისპირებისათვის სწორედ ცივილიზაციათა საზღვრებზე მიმდინარე კონფლიქტებია ყველაზე საშიში, ამ თვალსაზრისით კი, კულტურული კონფლიქტი განსაკუთრებით სახფათოა.

ცხადია, რომ ცივილიზაციური იდენტურობის ცნება პანტიენტონთან საკმაოდ პირობითია: ისლამი დამოკიდებულ მონოლითურ ერთეულად არის წარმოდგენილი მაშინ, როცა მასში ბევრი განსხვავებული შრეა.

თუკი ცივილიზაციური იდენტურობის არსებობას დავუშვებთ, მაშინ იგი მხოლოდ ერთ-ერთი აღმონრდება იმ უპირატესობათაგან, რომლებსაც ადამიანები შეიძლება ერთდროულად ეკუთვნოდნენ. მაგალითად, ინდივიდი ერთსა და იმავე დროს შესაძლოა იყოს ოჯახის, ნათესაური ჯგუფის, სამეზობლოს, სოფლის, ეთნიკური ერთობის წევრი. მაი, ასევე შეიძლება ჰქონდეთ კლასობრივი და რელიგიური იდენტურობა. ამ იდენტურობათა კომბინაცია თითოეულ ადამიანზე ერთდროულად თანარსებობს. ზოგიერთი მათგანი, შესაძლოა, სხვებზე მეტადაც იყოს გამოხატული, მათი შეფარდება კი დროთა ვითარებაში იცვლებოდეს. თეორიისთვის აუცილებელია იმის დამტკიცება, თუ რატომ არის მათ შორის ცივილიზაციური კუთვნილება ყველაზე ძლიერი. არკუმენტები არც თუ ისე საფუძვლიანია: რატომაც ცივილიზაციური იდენტურობა უფრო გავლენიანი სახელმწიფოსა და ჯგუფის ქვეყნისათვის, ვიდრე ეთნიკურბა, ან რომელიმე ერის, ოჯახის, კლანის მიმართ კუთვნილება? ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისლამთან მიმართებაში. პანტიენტონის აზრით, ისლამური საზოგადოებებისათვის დამასასიათებელია დაბალი საფეხურის ერთობებისა (ოჯახი, კლანი, თემი) და უმაღლესი საფეხურის

ერთობის - ცივილიზაციისადმი (უმა) ძლიერი იდენტურობა: მათ შორის არსებული შუალედური იდენტურობის დონეები, როგორცია, მაგალითად, ერი - ხუსტი. ამის ემპირიულად დადასტურება ძალზე რთულია. მუსლიმური სამყაროდან, სულ მცირე, ორი ჭკვიანის მაგალითის მოყვანა შეიძლება (ირანი და თურქეთი), სადაც ეროვნული კუთვნილება ისევე ძლიერად იწინს თავს, როგორც ცივილიზაციური.

პანტიენტონის თეორიის მიხედვით კუთვნილება, კერძოდ, ცივილიზაციისადმი კუთვნილება განიხილება, როგორც დამოუკიდებელი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანების ინტერესთა განსაზღვრასა და მათ შემდგომ ქმედებაზე.

დასკვნისას პანტიენტონი აღნიშნავს, რომ მისი მოდელი ყველაფრის ასახვნელად არ გამოდგება და, შესაძლოა, არსებობდეს გარკვეული გამონაკლისებიც. თანამედროვე ცვლადად მსოფლიოში სხვადასხვა ცივილიზაციის მქონე სახელმწიფოთა გაერთიანებებსა საკუთარი ინტერესების დასაცავად, შესაძლოა, შეზღუდული სახის დროებითი ტექტიკური კავშირები და კოალიციები შეკარგოს მათე ცივილიზაციის წარმომადგენელთა წინააღმდეგ ან სხვა მიზნით.

"ცივილიზაციათა შეჯახება" მხოლოდ მომავალი შესაძლო დამაბულობის რეცეპტს იძლევა რეგიონში, რადგან პოლიტიკოსებს კეთილგანწყობას უკარგავს მონათესავე კულტურული ერთობებისადმი და გარკვეულ ეჭვს აღუძრავს დანარჩენი მიმართ.

ერთი სიტყვით, პანტიენტონმა ერთობ პესიმისტური თეორია შემოგვთავაზა. საინტერესოა, რომ ამ პარადიგმის გასაბათილებლად საკუთარი მოსაზრება წამოაყენა ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოჰამად ხათამიმ, რომლის პოლიტიკური ხედვა პროგრესულობითა და პოზიტურობით გამოირჩევა, რაც ნათლად ჩანს მის წიგნში: "სამყაროს ქალაქიდან ქალაქის სამყაროდ".

"ცივილიზაციათა შეჯახების" საპირისპიროდ ხათამიმ წამოაყენა კონცეფცია, "დილოგი ცივილიზაციათა შორის", რომელიც 2001 წლისთვის იგეგმება. იგი ცივილიზაციათა დაახლოებას, საერთაშორისო ურთიერთობების დრეკულირებას, კულტურული კავშირების გაღრმავება-განმტკიცებას შეუწყობს ხელს. თუ ვაითვალისწინებთ იმასაც, რომ "ცივილიზაციათა შეჯახების" თეორია გარკვეულ გავლენას ახდენს კავკასიის საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო ანალიზზე, შემთხვევითი არ არის, რომ რამდენიმე წლის წინ საქართველოს პრეზიდენტმა ე.წ. "შევილობიანი კავკასიის" კონცეფცია წამოაყენა.

ინიციატორი - "დილოგი ცივილიზაციათა შორის" ხათამიმ შეეცადა, ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი გაეღო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რაც მისი პოლიტიკური ხედვის სახელით არის ნაკარნახევი. ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ირანის აქტიურ ჩამაბას და უცხოური ინვესტიციების მიზიდვას ცდილობს. 1998 წელს შეჯილმას საინვესტიციო კომიტეტის გაუმჯობესების მიზნით რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონი მიიღო. ხათამიმ ექსპატრირებულ ინარელებს სამშობლოში დაბრუნებისაკენ მოუწოდა. ნათობზე ფასების დაცემა და ამით გამოწვეულმა ირანის შემოსავლების შემცირებამ რეფორმების აუცილებლობა კიდევ უფრო აშკარა გახადა.

1997 წლიდან მოყოლებული დღემდე ირანის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა. ეს, პირველ რიგში, პრესის ლიბერალიზაცია და დასავლეთთან ურთიერთობების აშკარა გაუმჯობესებამ გამოიხატა. ოცნდიან პოლიტიკურ კარნაქცილიზმის მოჰამად ხათამიმ 1999 წლის მარტში ბტალიაში ვიზიტით დასუვა წერტილი.

1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ მოჰამად ხათამი ირანის პირველი პრეზიდენტია, რომელიც ოფიციალურად

ალური ვიზიტი დასავლეთ ევროპას ეწვია. "იტალიაში ვიზიტი გააქარწყლებს ევროპაში არსებულ მკვდარ შეხედულებებს ირანის ისლამური რესპუბლიკის შესახებ", - განაცხადა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მორთეხა სარმადიმ. თავის მხრივ, მოჰამად ხათამიმ ამ ვიზიტს ნაყოფიერი და მრავალისმომცველი უწოდა.

იტალიის პრემიერმინისტრთან, მასიმო დე ალემასთან შეხვედრაზე ხათამიმ გამოთქვა მზადყოფნა, თიანამშრომლოს ევროპის სახელმწიფოებთან. მანვე განაცხადა, რომ ირანის ოფიციალური ხელისუფლება აწარმოებს ბრძოლას ტერორიზმის აღმოსაფხვრელად და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების აღსაკვეთად. თავის მოხსენებებში პრეზიდენტი ხათამი არაერთგზის შეეხო ირანის დასავლეთთან ურთიერთობების მოწესრიგების, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაღრმავება-განმტკიცების აუცილებლობას.

იტალიაში ვიზიტის დროს ირანის პრეზიდენტი შეხვდა და ესაუბრა რომის პაპს, იოანე პავლე II-ს. რომის პაპი მოჰამად ხათამის ინიციატივას დიდი ინტერესით შეეგება და იმედი გამოთქვა, რომ "დიპლომატიის ცივილიზაციათა შორის" კიდევ უფრო ხელს შეუწყობს აღმოსავლეთის დასავლეთთან დაახლოებას.

ხათამიმ იტალიას "აზროვნების, ცივილიზაციისა და დემოკრატიის კერა უწოდა", რაც თავისთავად ირანში დიპლომატიის შესახებ არსებულ კონსერვატივთა რადიკალურ განსაზღვრებას - "დევანისის ბასტიონი" - კონტრასტულად დაუპირისპირდა.

გასულ წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი საფრანგეთსაც ეწვია. საგარეო პოლიტიკის გააქტიურებით და ქვეყნის ლიბერალიზაციის გზით ირანის ხელისუფლება მკერათაშორისო ურთიერთობებში კონსტრუქციული როლის შესრულებას ცილობს. გაეროს 54-ე ასამბლეაზე ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მონაწილეობა, გასულ წელს საბერძნეთის პრეზიდენტის ვიზიტი თეირანში, იუნესკოს ყოველწლიურ სესიაზე სთამამად ხათამის გამოსვლა სწორედ ამას მოწმობს. პრეზიდენტ ხათამის სწორი საგარეო პოლიტიკური კურსის შედეგი იყო ასევე ისიც, რომ ევროკავშირის ელჩები, რომლებმაც თეირანი 1997 წლის აპრილში ბერლინის სასამართლოს მიერ განმარტონილი ვაშნაურებელი ვერდიქტის გამო დატოვეს, იმავე წლის ნოემბერში თეირანში დაბრუნდნენ. სიტუაციის სასკიკეთოდ შემობრუნებამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ უკვე 1998 წლის გაზაფხულზე, კერძოდ 18 მაისს, აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა და ინგლისის პრემიერმინისტრმა ტონი ბლერმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება, რომლებიც ირანთან მიმართებაში 20 წლის მანძილზე არსებულ შეზღუდვების შესაძლო მოხსნას მოასწავებს.

აღსანიშნავია, რომ ირანში მიმდინარე რეფორმები, პირველ რიგში, ქვეყნის მიმდებარე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმსოფრებისკენაა მიმართული. ამ მხრივ ყურადღება ის ფაქტი, რომ აშშ-ის მიერ ირანზე დაწესებული სანქციების მიუხედავად, უცხოელმა ინვესტორებმა (იტალიის ენერჯოკომპანია ENI და საფრანგეთის ნავთობკომპანია TOTAL) ქვეყნის ენერჯისექტორში დიდიძალი თანხები დააბანდეს.

ამ ეტაპზე საგარეო პოლიტიკურ სფეროში ირანისთვის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და გადაუჭრელ პრობლემად კვლავ აშშ-ირანის ურთიერთობები რჩება. ხათამის მოღვაწეობა ამ მხრივაც მთელი რიგი პოზიტიური ასპექტებით გამოირჩევა. ყურადღება, რომ სწორედ მისი პრეზიდენტობის პერიოდში ირანს ლამაზი ურთიერთობები გარკვეული დროისა შეინიშნა. ამის დადასტურებელია 1998 წ. CNN-ის კორესპონდენტის, კრისტინ ამანფურის ოფიციალური ვიზიტი ირანში. ამანფურისთვის მიცემულ ინტერვიუში, რომელიც ირანის ტელევიზიის სახელმწიფო არხმა გაავსა, ხათამიმ გამოთქვა



სურვილი აშშ-სთან გაწვევტილი ურთიერთობების აღდგენის შესახებ, რაც, მისი აზრით, სამეცნიერო და კულტურული კავშირების გააქტიურებით უნდა დაიწყოს.

ირანის შიდა პოლიტიკურ წრეებში არსებული მწვავე დაპირისპირება კონსერვატივობას და რეფორმატორებს შორის დღემდე მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ამ საკითხში რაიმე პოზიტიური ცვლილების მოსახდენად. რადიკალ ისლამისტთა შეხედულებით, "დიდი სატანა" ირანელი ხალხის კვლავ ყველაზე საშიშ და საუბედოლო მტერს წარმოადგენს. აშშ-სთან ურთიერთობების სრული მოწესრიგება ჯერ კიდევ შორეულ პერსპექტივად რჩება, მაგრამ რეფორმატორთა ლიბერალური პოლიტიკის წარმატებით უნდა მიწინააღიწეს ფაქტი, რომ ამჟამად ირანელ ხალხში ძალზე ცოტათ თუ სიბოლავს აშშ-ის "დიდი სატანასთან" გათიხება და ყოველ 4 რომბერს ამ ქვეყნის დროშის დაწვა (1979 წელს ამ დღეს თეირანში აშშ-ის საელჩო აიღეს).

ამის ლოკურ ასნას იძლევა ის გარემოებაც, რომ ირანის 70 მლნ მოსახლეობის ნაწევარზე მეტი 25 წლამდე ასაკისაა, ანუ მისი დიდი ნაწილი ისლამური რეველუციის მომსწრე და თვითმოსხვეული არ არის.

საშინაო პოლიტიკაში ირანი მეტი ლიბერალიზაციისთვის, მრავალპარტიულობისა და თვითმმართველობის გაძლიერებისთვის იღვწის. მიმდინარე წლის 18 თებერვალს საპარლამენტო არჩევნებში რეფორმატორთა დამაჯერებელი გამარჯვებაც ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ხათამის მომხრე ნეოსლამისტებმა ხმათა უმრავლესობის 70% მოიპოვეს. ახალ მეჯლისში ზომიერი პოლიტიკისთვის მოხედნა საგრძობლად გააძლიერებს პრეზიდენტ ხათამის რეფორმატორულ კურსს და, თავის მხრივ, დადებითად იმოქმედებს დასავლეთთან ურთიერთობების შემდგომ განვითარებაზე.

საგარეო პოლიტიკა ეფუძნება არა მარტო იმ რეალურად არსებულ არაერთ საფრთხეს, რომელსაც სახელმწიფო აწყვედა საერთაშორისო ასპარეზზე, არამედ ქვეყნების ლიდერთა მიერ ამ საფრთხეთა აღქმისა და მათი ინტერპრეტაციის თავისებურებებსაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ XXI საუკუნის ევროლიზაციები შეხედნა ახალ კონფლიქტებისა და დაპირისპირების, არამედ დიპლომატიისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

პედაგოგია

# მარჯონი და ზამარჯონი

როგორც ცალკეული ადამიანისთვის საკუთარი ფიზიკური სხეული არის ამქვეყნიურობაში არსებობის და თვითრეალიზაციის საშუალება, ასევე ერთი ნარმოადგენს მრავალ პიროვნებათაგან შემდგარ ერთ ცალკეულ ინდივიდუალობას სხვა ერთა შორის. მაგრამ, როგორც ცალკეული ადამიანის ფიზიკური სხეული თვითმიზანი კი არა, მხოლოდ საშუალებაა, რომ ეს ადამიანი თავისი ჯანსაღი სულიერი და ხორციელი არსებობით იქცეს სოციალურ არსებად, რომელიც ჩადგება სრულყოფილი სოციალური და ეროვნული საქმის სამსახურში და არ იქნება მხოლოდ საკუთარი სულიერ-ფიზიკური არსებობის მსახური, ასევე, ესა თუ ის ერთი უნდა იდგეს საერთო საკაცობრიო საქმის სამსახურში და არ უნდა დაემოწილოს ყოველ ცალკეულ ერზე არაენობიერი ზეგრძობადი ნეგატიური არსებებიდან მომდინარე გამთიშველ შედეგებას-წურჭულს (შეიძლება ვთქვათ აგრეთვე ინსპირაციას), რომელიც ყველა ერს ეწირულა მისი განსაკუთრებულობის და სხვა ერებზე აღმატებულობის შესახებ. შელოცვის ამგვარივე მომჭიტი არსებობს ცალკეულ პიროვნებებთან მიმართებით. ყველა ცალკეული ინდივიდუალობაც ასევე განიცდის არაენობიერ ზეგონებს უბილაგი ეგოიზმის დემონიზაციას; მაგრამ ირთვე შემთხვევაში ამ წურჭულს აყოლილი და ამის გამო გათვალისწინებული ინდივიდუალობაც და ერთიც ყველა სამყაროს განვითარების ობიექტურ მდინარებს და თანდათან გადადის პათოლოგიურ, შეჰყრობილ ეგოცენტრიზმში, რაც თუკი ცალკეული ინდივიდუალობის შემთხვევაში ნაკლებ მასშტაბური და ამდენად ნაკლებ საშიშობა, ერთს შემთხვევაში, მით უმეტეს, თუ ეს დადი ერთა, მთელ კაცობრიობას უქმნის საფრთხეს (მაგალითად, გერმანული ნაციონალიზმი).

ინდივიდუალობის შემთხვევაში სწორია მიდგომა, როდესაც ეს ინდივიდუალობა ყოველშორიც ავითარებს თავის თავს, მაგრამ არა მხოლოდ თავისივე თავისათვის, არამედ ის თავის კერძო და საკუთრულ ამზიციებს, გამორჩეულობას თუ სიკარგებს (თუ მართლაც აქვს ასეთი თვისებები) ეგოიზმის და სიამაყის მათობილა გარნში კი არ ჩაეჭვებას და კი არ განდგება და განცალკევდება, არამედ ყოველივე ამას მსხვერპლად სწირავს ეროვნულს და თუკი რამ განაჩნა თვით ეროვნულზე აღმატებული, ის თავისი სიანვისთავს უნარჩლებს საერთო, ზოგადად-მანაწურ პრინციპს, ანუ კოსმოპოლიტი ხდება.

ასევე, არც ეროვნულობა არის თვითმიზანი. ერთ ყველა თავისი გამორჩეული კეთილი თვისებები, უნარი, თავისი ნიჭიერება, რა თქმა უნდა, ყოველშორიც უნდა განვითაროს, მაგრამ როგორც ინდივიდის შემთხვევაში, არა მხოლოდ საკუთარი თავისათვის, არა იმიზეთავს, რათა შემდეგ ეგოიზტი ინდივიდუალობის მზგავსად იხიც განამაყეს და ამ სიამაყეში აზიზად განაბული განდგეს სხვა ერები-საგან, არამედ მანაც, როგორც ინდივიდუალობის შემთხვევაში ვთქვით, ყველაფერი ეს მსხვერპლად

უნდა მიიტანოს კაცობრიობის დიად სამსხვერპლზე ყველაფერს, რაც მტერი მაქვს - დადებითი თუ უარყოფითი - მე ვეღვს განვითარების დიად სამსხვერპლზე და ეს სამსხვერპლო ყოველდღე ამას განვითარების და წინსვლისთვის გარდაქმნის, ხოლო ის, ვინაც რაღაც გაილო, განთავისუფლდა კიდევ იმისაგან, რაც აქამდე დააგროვა და ახლა კვლავ ეძლევა იმპულსი ახალი მონაპოვრებისათვის. ილიასეული მონადებაც: "ენა, მამული, სარწმუნოება" კი არ ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ თქმულს, არამედ ვეფიქრობთ, სწორედ ამ კონტექსტში უნდა იქნეს გაგებულა. როგორც ცალკეული ინდივიდუალობის სჭირდება კარგად განვითარებული ფიზიკური ორგანოები, მაგალითად - გული, ფილტვები, ტვინი და ა.შ. რათა სრულყოფილად შეიძლოს როგორც თვითრეალიზება და აგრეთვე ერის სამსახურში დგომა, ასევე ერს ენაჭიროება სწორად და ჯანსაღად განვითარებული მამული, ენა, სარწმუნოება, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება და ა.შ. რომ ეს უკვე ღირსეულად იდგეს სამყაროს სამსახურში სხვა ერთა შორის. მამულდაცეკლული, ენადრულ-გამპარტახებული და სარწმუნოებაგახევეული ერთი არც თავისთვის ვარგად არც სამყაროსათვის.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს ორგანიზმი მდგომა, როგორც ცალკეული ინდივიდუალობების, ასევე ერების ურთიერთდამოკიდებულებებისადმი. პირველი - ეგოისტური მიდგომა, როდესაც ინდივიდუალობა ან ერის შიგნით ინდივიდუალობათა რაღაც ერთიანობები, ასევე ერთი თუ ერთა რაღაც არასობივი ჯგუფები ცდილობენ სამყაროში დამკვიდრებას და თვითრეალიზებას ეგოისტური, განსულ დგომა - განცალკევებით, რაც შემდეგ მთ დამპრისპირებას შობს მათსა და სხვა ინდივიდუალობებს თუ ერებს შორის. ამის საფუძველი ორივე შემთხვევაში არის ვინრო მსოფლმშენველობაზე დაფუძნებული ორი პროინტეტი - ნაკეტილი აღმარებლობა და სისხლით ნათესაობა (თოლერანსის და საყოველთაო სულიერი ნათესაობის საპრინსპირულ). ამგვარი გათიშვა კი ინდივიდების შემთხვევაში ამა თუ იმ ერის შიგნით ქმნის კუთხურ-გეარონულ-ნათესაო კლანიზმს და ერების შემთხვევაში კი - რასიზმს. პრინციპში ეს არის, შეიძლება ითქვას, ბოლოგორ-გენეტიკური მატერიალიზმი და მას არაფერი აქვს საერთო მანდელ რელიგიურობასთან და სულიერებასთან. რა თქმა უნდა, ყველა, ვინც ამ პირველ ეგოისტურ დამოკიდებულებას ნერგავს სამყაროში, თავს მოიპარებს როგორც ეროვნულ და რელიგიურ-სულიერი მი-

ნებისთვის თავდადებულ მებრძოლებად, მაგრამ მათი სულიერება ვერ სცილდება სისხლს და გენეტიკას და ამიტომაც საყოველთაო, ჭეშმარიტად სულიერი ძმობის მაგივრად, ისინი გათითვლობას ამკვიდრებენ. ისინი ნეგატიურ ძალთა ჩურჩულს (ეს ჩურჩული ხორციელდება ძილში თუ ღვიძილში, მაგრამ ორივე შემთხვევაში ადამიანისათვის სრულებით არაგნობიერად) ბრძადა აყალიბებს, სამყაროში ნერგავენ ნაციზმს, ფანატიზმს და ძალადობას. რამდენადაც ჩვენ ვიცით და რასაც ამგვარად ვერ ჩავეუბრებოდებით, ამგვარი მიდგომის მთავარი თეორეტიკოსი გახლდათ უფრო ვილსონი თავისი განთქმული პოსტულატებით, რაც აბსოლუტურ წინააღმდეგობაშია ჭეშმარიტ ქრისტიანულ სულიერებასთან და სწორედ ეს ნახსენები, ევოლუციურ იმპულსთა გამბარებელი მასა ქმნის "ბუას" ნამდვილი კოსმოპოლიტიზმისაგან. ნამდვილი კოსმოპოლიტი ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ ადამიანად, რომელსაც ისე ღრმად და ისეთი დიდი სიყვარულით აქვს გადგმული ფესვები თავისი ერის წიაღში, რომ ამ სიღრმე და სიყვარულმა მას შეაძლებინა მშობლიური საზღვრებიდან მიღო ცხოველყოფილი, ძალუმი იმპულსები. მას ისე უყვარდა და უყვარს გარემომცველი გარემო, საკუთარი, მშობლიური კერით დანყვებული და ეს სიყვარული მის ასაკობრივ და სულიერი ზრდასთან ერთად ისე იზრდებოდა და ფართოვდებოდა, გადადიოდა კერძოდ ეზოსა და უბანზე, კუთხეზე, დედაქალაქზე, მიელ სამშობლოზე და მერე მიელ უნივერსუმზე, რომ ამ უმდვიოდ მზარდმა სიყვარულმა შეაძლებინა შეეყვარებინა მთელი სამყარო, როგორც საკუთარი ოჯახი. ეს არის კოსმოპოლიტი - მსოფლიო მოქალაქე; ამგვარად, სიყვარულიდან და არა ეგოიზმიდან თუ დეარძლიდან იბადება კოსმოპოლიტიზმი. ნორმალური სულიერი განვითარების ადამიანი, როდესაც იგი ბეთ-შოენის მუსიკას ისმენს, როდესაც ის ლეონარდოს და რაფაელის ნახატს შესცქერის, როდესაც ის რუსთაველის, დანტეს თუ გალაკტიონის პოეზიას განიცდის, არასდროს ფიქრობს ავტორთა ეროვნებაზე, არასდროს არ იკვლევს იმას, მათი ბებიის მხრიდან ვინ იყო ებრაელი ან სომეხი, ვის ერია იბერიულ-კავკასიური სისხლი და ა.შ. ჰქვდება ერთგან ასე განმარტებს ხელოვნებას: "ხელოვნება არის იდეის გრძნობად ფორმაში გამოხატვა". იდეაში, რა თქმა უნდა, გულისხმობს იმას, რაც არ არის ფიზიკურ-შეგრძნებადი, ე.ი. არა ამალღებულება ყოველგვარ ამქვეყნიურზე. ხელოვანს კი უნდა ჰქონდეს უნარი, მისწვდეს ამგვარ ზეგრძნობად იდეას და თავისი განსაკუთრებული, გამოხატველობითი შესაძლებლობებით, ანუ ხელოვნებით ის, რაც არ არის აქაური, აქაური თვალის, სმენის თუ აზროვნებისათვის აღქმადი, ე.ი. გრძნობადი გახადოს. და როდესაც ის, ვინც ახერხებს ხელოვანის მიერ ზეგრძნობადში მოხელთებულის და გრძნობადში ჩამოტანილის აღქმას, თვითონაც უახლოვდება ზეგრძნობად-სულიერ სამყაროს და მაშინ ამ სულიერებამდე ამაღლებული სუბიექტისათვის აბსოლუტურად გამორიცხულია ეროვნულის, გენეტიკურის, სექსუალურის თუ სხვადასხვა დაბალი მატერიების ჩრეკ-

ვა, ქექვა და თუ ვინმე მაინც ამ სფეროებში იქუქება, ამით იგი თავისთავს გასცემს; ამით ის ამბობს, რომ ყველა მისი მძღველობა, თავი ხელოვნებასთან და მაღალ მატერიებთან წილნაყარ ადამიანად წარმომადგინოს - სრული სიღრმეა. ისევე, როგორც ნივთიერებას არ შეუძლია წყალში წვა, ნამდვილ ხელოვნებამდე ამაღლებულ ინდივიდუალობას არ შეუძლია ნაციზმში თუ ფანატიურ-რელიგიურ აღმსარებლობაში დაძირვა. განა სულიერი ძმობის და სულიერი ნათესაობის მოსაყენად არ მოივდა მესია დედამონაზე და არა იმისათვის, რომ მხოლოდ სისხლით ნათესავეებისთვის - ნათესავეებისთვის მოეტანა სხნა და დედაებრივი განთავისუფლების იმპულსი. სისხლით ნათესაობა თუ სასრულია და ვინარი, სულიერი ნათესაობა მოიცავს მიელ დედამონას, მიელ სამყაროს. სულიერი ნათესაობა შეიძლება გვაგდეს ისრაელში, ინდოეთში, ვენესუელაში, კონგოში და ა.შ.

არსებობს ძალზე უფუნური მძღველობა, რომ სისხლით ნათესაობა და სულიერი ნათესაობა ურთიერთმტრულ და დაპირისპირებულ ასაპექში იქნეს განიზღუდი, მაგრამ ეს მძღველობა მოდის სინელიდან და მოდის სინათლის საპირისპიროდ. ადამიანური განვითარება იწყება სისხლით ნათესაობიდან და ამათ, რა თქმა უნდა, შეასრულა და ჯერაც ასრულეებს კაცობრიობისათვის უზარმაზარ, პოზიტიურ მისიას. ახლა კი, რაც მეტი დრო გადის სამყაროში ქრისტეს მოსვლიდან, მით უფრო სრულყოფიანი და თავისუფალი ხდება ადამიანი და ის არა ნეგაციით, ეგოიზმით და მედიორობით, არამედ სიყვარულით და ქრისტიანობის თავისუფალი განცდით იზრდება ან უნდა გაიზარდოს და შედის, ან უნდა შევიდეს სულიერი ნათესაობის ახალ უსასრულო სფეროში, რაზეც მიგანაშენებს მაცხოვარე. გასსოვი ალბათ, როდესაც მას ეუბნებიან, გარეთ დედა და ძმები გელოვებოდათ და იგი პასუხობს, რომ მისი ძმები და დები არიან ისინი, ვინც მის გზას ადგანან. მაცხოვარი მომავლისკენ მიგვანაშენებს, როდესაც სულიერი ნათესაობა ისეთივე ახლობელი და გასაგები ხდება, როგორც სისხლით ნათესაობა და როდესაც სულიერი ნათესაობა ყველაფერს და მით შორის სისხლით ნათესაობასაც, სიყვარულით მოითვას. ეს მომავალი უკვე იწყებს ანწყოდ ქვევას და მისი აწყოდ ქვევა ჩვენგან სიფხიზელსა და ნათელ ცნობიერებას მოითხოვს.

ამრიგად, არავითარი ანტაგონიზმი არ არსებობს ნათესაობის ორ პრინციპს შორის; სისხლით ნათესაობა არის უძვირფასესი ადამიანური პრინციპი, რომელიც ადამიანს ამაზეც უფრო მაღალი, სულიერი ნათესაობისათვის და როგორც სოფელში კარგად აღზრდილი ჭაბუკი სიყვარულით ტოვებს სოფელს და მიდის ქალაქში კიდევ უფრო მაღალი აღზრდისათვის და შემდგომ თავის ამაღლებულ ცოდნას და გამოცდილებას სიყვარულით უკუმიბრუნებს თავის სოფელს თუ ქვეყანას, ასევე უნდა განვიხილოთ ზრდის ის მომენტი, არაზედა ზემოთ გვეკონდა საუბარი.

როდესაც გალაკტიონი ამბობს: "წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული, ძაფი ნერვის არ არ-

# თბილისი მეპრინი და ქარიანი ქალაქია...

ის ჩემში არაბოეტს", ამით ის აცხადებს, რომ უაღრესად აფასებს თავის გენტიკურ წარმომავლობას და არც არავინ უარყოფს, რომ არსებობს ბიოგენეტიკური ნიუანსები, რასაც სათუთი მოპყრობა და გაფრთხილება სჭირდება. დიას, გალაგტიონისთვის ეს ძალზე ძვირფასია, მისი პოეზია საცხა მშობლიურობის უმძაფრესი სიყვარულით - ბამბურა მურებით და ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლის ნოსტალგიით, მაგრამ გალაგტიონი სწორედ მშობლიურისადმი ამ დიდი სიყვარულის გამო გახდა უფრო დიადი, თავისი ერის ნიალიდან ღვთაებრივი პოეზიის მწვერვალამდე აიზარდა, რაც ბევრად უფრო მაღალი საფეხურია, ვიდრე სისხლი და გენეტიკა. გალაგტიონი არის სული, რომელიც ამოზრდილია ერთად ზოგადადამიანურში, კოსმოპოლიტიზმში. ის ამოიზარდა ერის საშუალო სიმაღლიდან იმ სიმაღლემდე, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ასევე სხვადასხვა ერთა "საშუალო სიმაღლეებიდან" ამოზრდილი დიადი სულები. ეს არის რაღაც საშუალო ადამიანურს აღმატებული გარდამავალი საფეხური, რომელიც ქმნის კოსმოპოლიტურ, ადამიანურადან ზეადამიანურში გარდამავალ იერარქიას. რა თქმა უნდა, ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ იმ დიდ ადამიანურ სულებზე, რომელთაც ამ მდგომარეობას იმ მშობლიურის და იმ მსახურდებელი მონის თუ ნიადაგისადმი უდიდესი სიყვარულით და მონივნით მიაღწიეს, საიდანაც მოხდა მათი აღმოცენება და აქ ჩვენ არ ვვლახებთ ნიქუმანურ ქერა ბესიკის. უნდა გავნობიერდეს ისიც, რომ არავის შეუძლია ისეთი დიდი სიყვარულით უყვარდეს საკუთარი ერი, როგორც ეს შეუძლია საკუთარი ერის საშუალო სიმაღლიდან უფრო მაღლა ამოზრდილ ადამიანს. რუსთაველი თითქმის არც კი ასხენებს თავის ერს და ნიაღ, მაგრამ მისი ეს სიყვარული გამოსჭვივებს მისსავე სტრიქონებიდან.

არსებობს სარველა მცენარის მსგავსი უჯვიო "კოსმოპოლიტიზმიც", როდესაც სხვადასხვა ეგოისტური თუ პათოლოგიური მიზნებით სხვათაგან ეგოისტურად "განსხვავებული" ადამიანები იჩემებენ კოსმოპოლიტიზმს. ჩვენს გვერდით, სოფლად თუ ქალაქად არიან ფუყე ყოყლონიები და მედიდურები, მეტნილა ანტიმედიცინების და ანტიბიოტიკების ამოფარებულნი, რომელთაც თავიანთი არარაობის მიჩქმალვა გროტესკული ჩაცმულობით თუ გონიასებით უნდათ, რომლებიც ეგოისტური პათოლოგიით ტოვებენ მშობლიურს და რა თქმა უნდა, არც უკეთესს პოულობენ რაიმეს, მაგრამ ეს კოსმოპოლიტიზმი კი არა - გადაგვარებულია, "უგუნური დამურობაა".

ამგვარად, ყოველგვარ იდეალურს მაშინვე მიეტმანება მისი საპირისპირო და ეს საპირისპირო რაც მეტად ცრუ და ბაზილია, მით მეტად აქტიურად ცდილობს იდეალურის დაპყრობას და ამ იდეალურის თავისი ცრუ ფასადით შენაცვლებას. სამწუხაროა რეალობა, რომ მრავალი ადამიანი ვერ ხედავს ამ ცრუ ფასადსა და მის მიღმა არსებულ სინამდვილეს.

...ცხადია, რომ ასეთი ქალაქის მოვლაც მწილა. ქალაქის მასშტაბის პრეტენზია არც ამ მცირე შენაშენს აქვს. მაგრამ არის ისეთი, თითქოს უშინაშენლო დეტალები ქალაქურ ფოჯაში, რომელთა მიმართ პატარა წინდახელდასის, საიანად ზრუნვის გამიზნა უკლებუბელია, რათა სასიკეთო ჩანაფიქრმა უკუღმართი ნაყოფი არ გამოიღოს.

ორად რე მგავლის მოგახსენებთ: ქართულმა საზოგადოებამ კარგად იცის ლიტერატურული მუზეუმის როლი, დამსხრებმა, აქტიური პოეზიკა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში; გამორჩეულია მისი კარგად მოვლილი შენობა; მუზეუმს რამდენიმე სახლიან ერთად იგი კვლავ უნარჩუნებს აქაურ გარემოს (ყოფილ ჯორჯიაშვილის ქუჩას) ინტიმსა და კულტურულ-ისტორიულ იერს. ამ რამდენიმე ხნის წინ, დაწესებულების ფუნქციის საზვასამდლად, მუზეუმის დირექციამ ფასადის სიბრტყის ნიქუმში ქართველ მწერელთა ბუხეტები ჩასვა (ცნობილი სკულპტურული ნამუშევრების ასლები). ყუთილი და პატიოსანი; მაგრამ თბილისურმა მტკვრმა კი აშკარად ვერ მიაგო პატივი დიდ წინაბრებს. მაინცდამაინც სასიამოვნო სახანავე როდია აქ ჩაეღოს ჩამტკვრული სახეების ხილვა...

ეს მტკვრს რაც შეეხება. ახლა ქალაქში რეკლამის ბუმი. ან როდის არ იყო (ფორმებს გაანწია). უკემოწერი, უდიდელი, რაც მიაგარა, რომში რეკლამა რომ უკურაქციას იწვევს, ადევნება ახალი ამბავი, და ვისაც ეხება, მათი ვალაპუტა, მაგრამ მოქალაქეთა ულემენტარულ უსაფრთხოებას, სიმშვიდეს მაინც ნუ შეუღვევით თანადროული საზარო აუცილებლობის გამო.

როდესაც რამდენიმე დღით (პექტაკლების, კონკრეტების საეკლამოდ) მოგარ პრისპექტუტ გადიამიება ხოლმე ტრანსპარანტები, ეს მაინც დროებითი ამბავი; მაგრამ როცა ასეთი რეკლამა რომელიმე წარმატებულ კაეში, რესტორანში, ტავერანში იწვევს გამველულს და ხეებზე კი არა, ქუჩების გამამათებელ პაეოროს, ამოღებულ, ფელმოლერებულ ანებებზე ბაგირებით გადაჭრილი, როგორც იმ ბეული კარგი დროის ხომალდის იალქნები, აი მაშინ კე მწიროდეთ ქარიან დღეებში მათი სახელებისა. არადა ამ სვეტების დაზიანების ნამდვილად არ ექნებათ გათვალისწინებული ასეთი დატკვირება. ქარი მათ ვერ ერის (წვილი ტანი აქეთ), მაგრამ როცა იალქნიან ანებება გვეკლენიან, მაშინ რა მოგახსენოთ. ჩაიარეთ (ლიონდ ქვეითად, ბატონებო!) ვაეში, სასტუმრო "საქართველოსთან", გაიღით თამარ მეფის და ვერის ხილვებზე: პატარა ქარშიც კი იქაურთა ზრიალმს, აფრები ტაკუნებს... მატონის ქარშიც არადა იქნება შეიძლება ამ დროს უკეთი პატრონის კიდევ ყურადღებას დაბერილი აფრის წარწერები - "ახალი კრებები", "დაბალი ფასები", "საუცხოო მუხიკა"! მაგრამ მერწმუნეთ, ეს აღსად რეკლამა - ეს უკვე გამრთხილებს!

**საზა ფაჩუაშვილი**

# ვიყავი შაშვი მგალობელი გამოცვლილი ცხოვრების მონოლოგი

ეს მოხდა ჩვენი ერთად ყოფნის უკანასკნელ სა-  
ღამოს, როცა იგი ოთხად მოკეცილი ეგდო თავისი  
ოთახის კუთხეში და შიშით კვდებოდა. როგორც  
ყოველთვის, მან არ იცოდა, რისი უწინოდა, თუმცა  
ეს შიში მისი ძველი ნაცნობი იყო.

პირველ ხანებში შიშსა და ჩემს პატრონს შორის  
ბრძოლები იმართებოდა, მაგრამ მერე ამის საჭე-  
როება აღარ ყოფილა. დალილი ადამიანი დეპრე-  
სიის რაინდს ძველებურად ვეღარ უმკლავდებოდა  
და მისი გამოჩენისთანავე ოთხკუთხედებოდა. ეს იყო  
შიშის ტრიუმფი და მექისეობის დასაწყისი. შიშის  
ბურძღვლი ჯერ ტერფებს უწყებდნენ მასაჟს, მერე  
ნელ-ნელა ზევით მიინევდნენ და თმებში ყალყდე-  
ბოდნენ. ჩემს პატრონს გადაჭდობილი ხელები ფე-  
ხებშია შეჭრილი და მოქცეული და გაქვავებული იყო,  
რომ კურდღლეოვით ბაგუნი არ აეტყხა. ეს იყო ერ-  
თადერთი, რისი გაკეთებაც მას შეეძლო.

ამ შიშოთერაპიის დროს კიდეც ერთი საინტერე-  
სო რამ ხდებოდა. ჩვენი ოთახის კარებს არცერთი  
ოჯახის წევრი არ ეკარებოდა. ჩემს პატრონს ტე-  
ლეფონზეც კი არავინ ურეკავდა და მწერიც კი არ-  
სად ჩანდა, რომ გაშტერებული თვალები გახამხამე-  
ბულიყვნენ. მოკლედ, გარემო ყოველნაირად უწყობ-  
და ხელს შიშს, რომელიც თმებიდან უკვე ძვლებში  
ძვრებოდა და ტვინდატვინ ტერფებამდე მიიქლიბე-  
ბოდა.

ჩემი ზურგსუკანა დაპატარავება თავისი ცხოვ-  
რებას კი მისამავსებდა, მაგრამ წარსულის გასახსე-  
ნებლად საუკეთესო მდგომარეობა გახლდათ. ამას  
ჩემთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა და  
დიდ სიამოვნებასაც მგვრიდა. მოგესვენებთ, დამო-  
უკიდებელი არსებობა არ შემიძლია, რაღაცას მუ-  
დამ უნდა ვეხვიო და ასეთი დაჭაობების პერიოდ-  
ში სწორედ წარსულია, ხოლმე, ჩემი ერთადერთი  
მასაზრდოებელი.

მე და ჩემი პატრონი ბავშვობიდან ბედნიერები  
ვიყავით. ყოველთვის ვახერხებდი, ცხოვრება ისე  
მეწინააღმდეგებინა, რომ თავი უცხოოდ არ ეგრძნო და  
ასე თანდათან ვაცნობდი ამ ქვეყნის ანატომიას.  
სირთულეებსაც ვანყადებოდი, მაგრამ ყურადღებას  
არ ვაქცევდი და ჩემს საქმეს ვაკეთებდი.

### პირველი სიზარმტი

მაშინ 10 წლის იყო და ბუბიასთან ისვენებდა.  
მუშები ბეტონს ასხამდნენ, თან ეწვიოდნენ. ბავშვს  
სულ არ აინტერესებდა, რა კეთდებოდა, მაგრამ მუ-  
შებს არ სცილდებოდა. ელოდებოდა, სანამ ვინმე  
პაპიროსს გადააგდებდა. როგორც იქნა, ერთმა  
ხლუფუნამ "მამალი ბიჩოკი" გადაანკიპურტა. ბიჭმა  
ნაშტავი აიღო და ტყეში გაიქცა. თვალს მიეფარა  
თუ არა, მოქაჩა. ნაფაზი არ დაურტყამს, მაგრამ  
თავებურ მინაც დაეხვია, როცა უკნიდან უფროსი  
ძმის ხმამ ჰკითხა - მოქაჩე?!



ძმამ პაპიროსი გამოართვა, შეპირდა, დაგაბეზ-  
ლებო და წავიდა. მარტო დარჩენილი ბიჭი პირვე-  
ლად დაფიქრდა ჩემზე და, რაც 10 წლის განმავლო-  
ბაში დახანძრა გაეყოყვლა მე მომიძღვნა.

საბედნიეროდ, მამამისს გაბოლბა 9 წლიდან  
დაუნყია და ყველაფერს გაგებით შეხვდა. ამიტომ  
დაბეზლებას დასჯა არ მოჰყოლია. თუმცა პატრონს  
არ უნდავლია, რომ თავის ცხოვრებას ტყუილად  
აგინა.

მოგვიანებით, ყოველი სიგარეტის მოკიდებისას  
ახსენდებოდა ბიჭს მამის კეთილშობილური სიტყვე-  
ბი, მერე რა მოხდაო, ვის არ მოუწევიაო, ბავშვს  
არაფერი უთხრაო და რცხვენოდა უმადური საქ-  
ციელის, მაგრამ მაინც ეწვია და სინდისს ქრთა-  
მად აღლევდა "ამ ცხოვრების" გინებას.

### პირველი ძალი

ეს იყო სასცენარო ისტორია - ჯარი, თავმოშ-  
ნონე მეთაური, სიყვარული - რომელიც ჭუჭყიანი  
დეკორაციების ფონზე განსაკუთრებით ხასხასა რო-  
მანტიულობას იძენდა. აგურის ქარხნის ტერიტორია  
დაბლა უშრობი ტალახით (ზაფხულობითაც) და  
მალა უშრუბი მტკრით, ერთი დატყუპნილი ბილი-  
კით საცხოვრებელ კვარტალამდე და ამ ბილიკზე მი-  
მოჩრდილაღუ ადამიანი-ალკოჰოლიდებით, რომელთა  
სქესის გარჩევა მხოლოდ გამოშვლებით თუ შეიძ-  
ლებოდა. არას ყველა ერთ ყალიბში გაეტარებინა.

საზოგადოების მონინავე ფენა რამდენიმე ადამი-  
ანი თუ შოქოსაზღვრებოდა. ესენი რყვნენ ქარხნის  
ხელმძღვანელები და ცვლის უფროსები. მათ შორის



ერთადერთი მამაკაცი - ქარნის დირექტორი 60 კმ-ის მოშორებით ცხოვრობდა, უკვდავი პოეტის სახელობის პატარა ქალაქ პუშკინოში და ადამიანური სახე შენარჩუნებული ჰქონდა.

ადგილობრივი მამაკაცები საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის ვერ იცლიდნენ. ისინი დაკავებულები იყვნენ არყის მოპოვებისა და ცოლებთან ლავირების თანამედროვე მეთოდების შემუშავებით. ამიტომ ქარნის მუშა ხელმძღვანელობაში დანიშნული იყო ჯერ კიდევ მდებარეობითი სქესის რამდენიმე ქალი. ისინი, ფაქტობრივად, წარმოებამდე საკუთარი ქმრების უფროსები იყვნენ.

სამხედრო ნაწილი, რომელშიც ჩემი პატრონი სერჟანტობდა, შორიასლოს იდგა და კლუბს აშენებდა. აგურის საფასურად კი ქარხანაში ჯარისკაცებს ამუშავებდა. ერთ-ერთი მორიგი ჯგუფის უფროსად "ჩვენც" დაგვაცენეს, როგორც დისციპლინირებული, გამოცდილი და ფრიადოსანი მეთაური.

ქარხნის ტერიტორიაზე პირველივე გამოჩენისთანავე გავარღვიეთ 40-გრადუსიანი ბურუსი და მონიათლო-ყავისფერი აგურის მტვრის სიმაგრე. ამისთვის საკმარისი აღმოჩნდა ორი ბრძანება: "სტროვიმ შაგომ მარში" და "ზაპევი!"

განსაკუთრებით გამოცოცხლდნენ მოხუცები, რომლებმაც ჯარის ბიჭების მხედრული სვლა სასიამოვნოდ გაიკვირვეს, ჩვენთან ეს არავის გაუკეთებიაო. ბავშვების რეაქცია უცნობი დარჩა, ვინაიდან ასეთი ობიექტები ქარხნის ტერიტორიაზე არ შეინიშნებოდნენ.

ქარხნის მუშა ხელმძღვანელობამ ახალ ჯგუფს ხილი და სამამნეთიანი პრემიები დაუნიშნა, ხოლო მის მეთაურს არნახული სიმამაცისთვის სიყვარული და პატივისცემა მიაგო. საქმე ისაა, რომ ჩვენი სერჟანტი, ლამის ცვლის შემდეგ, სახიფათო ზონაში მცხოვრებ ქალებს აცილებდა და ლოთებით ოკუპირებულ ტერიტორიას ორივე მიმართულებით სერავდა.

მის შემართებას ქარხნის ერთადერთმა პატიოსანმა ქალმა, ცვლის უფროსმა გალინამ საკუთასრი

რეპუტაცია კი შესწირა, რაც მისთვის სულაც არ ყოფილა ადვილი გასაკეთებელი. ამ საქმეში გამოუცდილი მეთაური თავიდან ვერაფერს ხედებოდა და პატივცემული ქალის ზემოქმედებას დიდად მორიდებით იღებდა; ხოლო მასთან სახალისო უხერხულობას რომ გაცქეოდა, თავისი ჯარისკაცების დასახმარებლად ყველაზე რთულ უბნებზე მიდიოდა. მუშაობა არც გალინას ევალებოდა, მაგრამ საქმის ხელის წასაკრავად, ისიც უშვალ იმავე რთულ უბნებზე აღმოჩნდებოდა ხოლმე.

აგურების გადაწყობა ისეთი პროცესია, რომ გულმოლეული სიფრიფანა კაბით მუშაობა მამაკაცთა გაუმართლებლობას ნიშნავს. სწორედ აქ იმარჯვა გალინამაც, რომელმაც თავისი ქალური ღირსებებით აღყვამი მოაქცია მეთაური და რამდენიმე სიტყვით გამანადგურებელი დარტყმა მიაცენა: "მე 28 ლეტი მუყივი, ვო, კაკ ნადა!"

ქალთა გასახდელში ჩემი კაპიტულირებული პატრონის 100-პროცენტთან დაეჯაკაცებას გალინას მხოლოდ ერთი დაქალი ყარაულობდა. ასეთი კონსპირაციის მიუხედავად, საბჭოეთის დედაქალაქის მიმდებარე ოლქის აგურის ქარხნის ერთ-ერთი სამაყო ცვლის უფროსის რეპუტაცია მალე მინც ზეპირსიტყვიერების ნიმუხად იქცა. გალინა ამბობდა, ჩემი ქმრის მეტმა ყველამ რაღაც იცის და ჭორაობენო.

სამი თვის თავზე პირველად დაირღვა ჰუსარული ჰარმონია. გალინამ აბორტი გაიკეთა და კინაღამ გადავიდა. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ კი "თავის" მეთაურს უთხრა: "მი სტაბოი ტაკოვა პარნია ზაგუბილიო..."

### ბილსნიტჰვაობით გავილასე

ყველაფერი ჩვეულებრივად იყო - ტარიანი, უზომო ხარხარი, ერთი გოჭის შექმა, მაგრამ მერე უცებ ცუდად გახდა და ძლივს მოაბრუნეს.


თავად ყვებოდა, მკერდზე კუზი გამოიმივიდაო, თავზე ქაჯების ჯარი დამესხაო, ხელ-ფეხი ველარ ვიპოვეო, ვერც გავიქვიო, ვერც დაგრჩიო და საბოლოოდ დავიკარგეო, ამ ცხოვრების ასე და ისეო. ამის მერე, სანამ უკანასკნელ საღამომდე მივიდოდით, კიდევ ბევრმა პლუს-მინუსმა გაიპოლუსა.

### შუპანასქალი დიალოგი

ასეთი აპრობირებული ცხოვრება ვიყავი, მაგრამ პატრონი მანც გამოიუცხოვდა. სულ ტკბილი უნდოდა და სიმწარეს ველარ იტანდა. ყველფერი კი იმის ბრალი იყო, რომ ჩემს ტალღაზე ზოგჯერ სხვისი ცხოვრება აციმციმდებოდა ხოლმე და მასთან მაპირისპირებდა.

ახლა დროა ამოვიხვენიო - ოოჰ, არ ვიცი, არ ვიცი, როდის დაფუშვი შეცდომა და როგორ გამოემპარა საზღვრების გახსნა. ისე ხომ არაფერი მემუქრებოდა.

თვალსაჩინოებისთვის ერთ-ერთ თავდამსმელს გაგაცნობთ. ეს არის ორი ბერის ურთი-



ერთგამოკითხვის ისტორია, რომელიც ჩემმა დამ-  
ლუპველმა შემთხვევით ამოიკითხა ლიბონარში:

“კლიკაში, ქალაქ ელონთან ახლომდებარე ერ-  
თი დაბის, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში მსა-  
ხურობდა ერთი მოხუცი, ღმერთის წინაშე დიდი  
წმინდა ხუცესი. ეთხელ მას მამა ივილიანოს მესვე-  
ტემ გამოუგზავნა ნაჭერში გამოკრული სამი ანთე-  
ბული ნაკვერჩხალი და მოიკითხა. ხუცესმა მადლო-  
ბით მიიღო, ნაკვერჩხლები ამოიღო, ნაჭერში წყა-  
ლი გამოკრა და ივილიანოს გაუგზავნა. თან შეუთ-  
ვალა, ილოცე ჩემთვის, წმინდა მამა!”

გაუყურადღებულმა ახლის მიძიებულმა თავიდან  
ვერადფერი გაიგო და გაუკვირდა, ეს რა დასაწერი  
იყო, მაგრამ როგორღაც მიხვდა ნაჭერში გამოკ-  
რული ნაკვერჩხლებისა და წყლის სასწაულს და აქ-  
ეთ-იქით გაფაციცებთ დაუწყო ძებნა გავოგნებას.  
მერე უცებ სისრაულს წააწყდა, სტაცა ხელი, ცრემ-  
ლებში ამოავლო და გულში ჩაიტენა.

არ გასულა დიდი ხანი და მოსახდენიც მოხდა.  
პატრონი გამებულა და ჩეთან დაჭეროხანას თამაშს  
თავი დაანება.

ცხადია, მაინც არ ვკარგავდი შერიგების იმედს.  
ამსობაში შიშიც მოვიდა და გამეხარდა, ვიფიქრე,  
ჩემი მოჯანყე შიშისგან გასავათდება და მერე, რომ  
მოვასულიერებ, ჩვეულებისამებრ ისევ მომეკედლე-  
ბამეთქი, მაგრამ ჩემთვის სრულიად წარმოუდგენე-  
ლი რამ მოხდა. შიში ჯერ კიდევ არ იყო წასული,  
როცა “ქვამ” ხმა ამოიღო და ჩვენს შორის დიალო-  
გი გაიმართა:

- *წადი, მომავალს დაუძახე!*
- მომავალი არ ვიცი, სად არის. ანმყო მოგიყ-  
ვან.
- *მაგას რა მოყვანა უნდა, ისედაც სულ ჩემ-  
თან გდია და ნერვებს მიშლის. ვერ ხედავ, ახ-  
ლა რას აკეთებს?! მეზობლის ძაღლის ყმუილს  
დირიფორობს!*
- მაშინ, წარსული...
- *გათორით აქედან შენც და შენი წარსუ-  
ლიც და ეს თქვენი შიშიც თან წაიღეთ! შეგიძ-  
ლიათ ანმყოც გაიყოლოთ თავისი ყმუილით და  
ჩაბარდეთ ისტორიას.*
- მერე შენ?!
- *უთქვენოდაც კარგად ვიქნები მომავალში.*

- არა, გენაცვალე, ეგრე არაფერი გამოვა. ხომ  
იცი, ჩვენ - ცხოვრებებს ისტორიაში უპატრონოდ  
არ გვიშვებენ. თუ მაინცდამაინც, ერთი რომელიმე  
ნაწილი უნდა მოიკვეთო და გამატანო ვიზად. რომ-  
მელს შემომწირავ, ჩემო ძვირფასო?!

- ?!

- ხედავ? ეგრე, მე და წარსული მუდამ შენთან  
უნდა ვიყოთ.

- *მოგიცლებო!*

- ჩენი მოცილება კი არა, გვერდის შეცვლაც  
არ შეგიძლია და მთელი დღე მაგ გაბაზრებულ პო-  
ზაში გდინარ. აბა, თავი ლაჯებში ჩაყავი და გუ-  
ლის მხარეს დაწეცი, თუ მაგარი ხარ!

ამ სიტყვების მერე ჩალიმებასაც ვერ ვასწრებ,  
უცებ ბრუნდება და შიშს თავზე მამხობს. მერე ხი-  
ხინებს, ნერწყვს აგროვებს და მათურთხებს, აპა, ჩე-  
მი ნაწილიო.


- არა, არა, ფურთხი არ ითვლება - ვყვირივარ,  
მაგრამ (ვაა) “ვეყ” რომ გამოაკლო, ვირი ვარ გამო-  
დის) მისი ფურთხი მთლიანად მფარავს და ისტო-  
რისაც ჩავბარდი. სამარემდე მისული არ ვიყავი,  
როცა შიშმა კივილით ჩამიქროლა და გული გამი-  
ხეთქა.

მაშინ გამიელვა თავში მომავალსაც ხომ თავისი  
შიში ექნება-მეთქი, და... მკვდარი რომ არ ვყოფი-  
ლიყავი, გადავიხარხარებდი.

**საილი**



თარგმანის საგამომცემლო ცენტრი “სომლი” დამწყები მთარგმნელებისათვის 2001  
წლის 15 იანვრიდან დარგის ცნობილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით აწყობს მას-  
ტერკლასებსა და სემინარებს. მასტერკლასები და სემინარები უფასოა. უკვე ჩატარდა 4  
სემინარი და 4 მასტერკლასი (თითოეული ჯგუფისათვის). ინფორმაციის მისაღებად  
მსურველებს შეუძლიათ დარეკონ ტელეფონზე - 99-83-00, ორშაბათობითა და ხუთშაბათო-  
ბით, დღის პირველი საათიდან სამ საათამდე, ან მობრძანდნენ ლესელების ქუჩის 4 ნო-  
მერში, მეორე სართულზე, კვირის იმავე დღეებსა და იმავე საათებში.



<http://www.opentext.org.ge/arili>

გვერდს HERE



640/7

AM

